

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL FILM CENTER

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა

საბოლოო ანგარიში

აპრილი, 2009



ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა
“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

შინაარსი

1	რეზიუმე.....	1
2	შესავალი.....	3
2.1	მეთოდოლოგია	3
3	ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია	4
3.1	შესავალი.....	4
3.2	ქართული კინემატოგრაფიის სკოლები.....	5
3.3	ქართული კინემატოგრაფიის მიმართ მხარდაჭერის პოლიტიკა	8
3.4	ქართული კინემატოგრაფიის განვითარების შემათყრებები დაწმორები	11
3.5	ადგილობრივი კონსულტაციების მიზნები	14
3.6	ფინანსური ანალიზი.....	16
3.7	SWOT ანალიზი	17
4	საერთაშორისო კონტექსტი.....	19
4.1	კინემატოგრაფია საერთაშორისო კონტექსტში	20
4.2	მსოფლიო კინემატოგრაფიის ეკონომიკის მიმოხილვა.....	20
4.2.1	ახალი ტენდენციები მსოფლიო კინემატოგრაფიის ინდუსტრიაში.....	21
4.3	კინემატოგრაფიის მიმოხილვა ეფროკავშირის კონტექსტში	22
4.4	კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო მასშტაბით.....	24
4.4.1	კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო მასშტაბით (მთავარი ფაქტების მატრიცა).....	25
5	რეკომენდაციები ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის განვითარებისთვის	28
5.1	“ღირებულების ჯაჭვის” განვითარება	28
5.1.1	ტრენინგი	30
5.1.2	ფილმის ჩვენება	33
5.1.3	უფლებების რაციონალიზაცია.....	33
5.2	დაფინანსება.....	35
5.2.1	ფილმების წარმოებისა და დისტრიბუციის მხარდაჭერი ფონდის განვითარება	35
5.2.2	საგადასახადო შედაგათების განვითარება.....	36
5.2.3	დაფინანსების დამატებითი წყაროები	
5.2.4	პრიორიტეტული სამოქმედო პუნქტები	42
5.3	სტრატეგიული მხარდაჭერის განვითარება	42
5.3.1	ქსელური გაპიტალის განვითარება	
5.3.2	ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ	
5.3.3	კვლევა და მონაცემები	44
5.3.4	შეთანხმებები ერთობლივ წარმოებაზე	45
5.3.5	კინემატოგრაფიის სფეროში თანამშრომლობის გაფართოება	47
5.3.6	პრიორიტეტული სამოქმედო პუნქტები.....	48
6	დასკვნა	48
დანართი I- კონვენცია ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ	51	
დანართი II- საერთაშორისო კომპარატორი ქვეყნები	52	
საფრანგეთი.....	52	
საფრანგეთის შესახებ	52	

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

შინაარსი

კინგმატოგრაფიის პოლიტიკა	54
სპეციფიკური ინტერვენციები კინგმატოგრაფიაში	55

უნგრეთი.....	56
---------------------	-----------

კინგმატოგრაფიის პოლიტიკა	59
სპეციფიკური ინტერვენციები კინგმატოგრაფიაში	61

ირლანდია	64
-----------------------	-----------

ირლანდიის შესახებ	64
კინგმატოგრაფიის პოლიტიკა	66
სპეციფიკური ინტერვენციები კინგმატოგრაფიაში	68

ახალი ზელანდია.....	71
----------------------------	-----------

ახალი ზელანდიის შესახებ	71
კინგმატოგრაფიის პოლიტიკა	73
ახალი ზელანდიის კინგმატოგრაფიის კომისია	74
შეთანხმებები ერთობლივი წარმოგბის შესახებ	74
სპეციფიკური ინტერვენციები კინგმატოგრაფიაში	75
სერტიფიცირება და საგადასახადო სისტემა	78

პოლონეთი.....	79
----------------------	-----------

პოლონეთის შესახებ.....	79
კინგმატოგრაფიის პოლიტიკა	81
სპეციფიკური ინტერვენციები კინგმატოგრაფიაში	84

თურქეთი	88
----------------------	-----------

თურქეთის შესახებ.....	88
კინგმატოგრაფიის პოლიტიკა	90
არაოფიციალური ინტერვენციული “კოდაკის” რეგიონალურ მენეჯერთან, გოჰან თუდემირთან	90
სპეციფიკური ინტერვენციები კინგმატოგრაფიაში	91

ქართული კინგმატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოფ-პი ქონსალტინგი, 2009”

შინაარსი

გრაფიკი

გრაფიკი 1: ფილმის წარმოების პროცესი	29
გრაფიკი 2: საგადასახადო კომპაქტსაციის მოდელი უნგრული ფილმების ინდუსტრიაში	62
გრაფიკი 3: დაკვეთის გარეშე წარმოებული ფილმების საგადასახადო შეღავათები უნგრეთში.....	63
(კხრილი)	
კხრილი 1: საგამოყენო ინფრასტრუქტურა საქართველოში.....	6
კხრილი 2: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კენტრის ბიუჯეტი და სპეციალური სფეროსთვის თანხების გამოყოფა	9
კხრილი 3: საგადასახადო ტიპოლოგია საქართველოში	16
კხრილი 4: შემოსავალი ფილმების ინდუსტრიიდან ქვეყნებში/რეგიონებში (აშშ დოლარებში), 2007 წლის მონაცემები	21
კხრილი 5: შემოსავალი ფილმების ინდუსტრიიდან ქვეყნებში/რეგიონებში (აშშ დოლარებში), 2012 წლის პროგნოზი	21
კხრილი 6: კინემატოგრაფიის ინდუსტრიისა და ინტერენციების შედარება ქვეყნების კონკრეტული მაგალითების საფუძვლზე	25
კხრილი 7: საგადასახადო შეღავათების სარგებელი უნგრეთის კინემატოგრაფიის ინდუსტრიაში	61
კხრილი 8: სახელმწიფოს დანახარჯები კულტურის სფეროში: (სექტორების მიხედვით, ევროში, 2006 და 2007 წლის მონაცემები)	66
კხრილი 9: პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროგრამები	84
კხრილი 10: პოლონეთში წარმოებული ფილმების რაოდენობა, 2004-2006 წლების მონაცემები	86
კხრილი 11: კინოთეატრების მაყურებელთა რაოდენობა ევროპის ქვეყნებში (2004-2008 წლების მონაცემები)	87
კხრილი 12: ეროვნული ფილმების საბაზრო წილი ევროპის ქვეყნებში	87

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

1 რეზიუმე

ქართული ფილმების ინდუსტრია კრიტიკულ მდგომარეობაშია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინდუსტრიამ 10-12 წლიანი სტაგნაციის პერიოდი გამოიარა, რადგან საბაზრო ეკონომიკაზე გადასცლის პროცესს თან ახლდა მთელი რიგი პრობლემები. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ეს. “ინტელექტუალური ინვესტიციებიც” შემცირდა, რამაც თავის მხრივ, შეაფერხა დირებული პროდუქციის შექმნის პროცესი სათანადო პროფესიული მომზადებისა და უნარ-ჩვენების დეფიციტის გამო. თუმცა, ეს ანგარიში დასტურია იმისა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს აქვს იმის ამბიცია და სურვილი, რომ ფილმების ინდუსტრია განვითარდეს, შემოიღონ საზღვარგარეთ აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკა, შეიმუშავონ თანამიმდევრული და პროგრესული პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიაში კინემატოგრაფიას მთავარ პოზიციას მიუჩენს.

ახლა ნამდვილად შესაფერისი მომენტია ასეთი პროექტისთვის. ციფრულმა ტექნოლოგია, სექტორის ტრანსფორმაცია მოახდინა, რამაც, ერთი მხრივ პრობლემები შეუქმნა დამკიდრებულ, ლეგალურ ბიზნესს მზარდი ფალსიფიკაციის გამო და მეორე მხრივ კი, განვითარებად ქამქრებს ახალი შესაძლებლობები მისცა ფილმების დისტრიბუციისთვის. უფრო მეტიც, კინემატოგრაფიის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის კვლილებებმა და აღმოსავლეთ ეკონომიკური ინდუსტრია და ჩინეთში ადგილობრივი წარმოების ზრდამ დაადასტურა, რომ მსოფლიოში მზარდი მოთხოვნა არსებობს ისეთ ფილმებზე, რომლებსაც ადგილობრივი და ეროვნული ფილმები აქვს, მაგრამ ამაკი დროს გლობალურ ამბიციებსაც მოიცავს.

ამ ფართო კონტექსტში აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს ქართული კინემატოგრაფიის ამჟამინდებული მდგომარეობის სტრატეგიულ მიმოხილვას და გვთავაზობს სტრატეგიულ ხედვასა და რეკომენდაციებს სექტორის განვითარების თვალსაზრისით.

კალიგა კხადჭყოფს, რომ დღესდღიობით ქართული ფილმების წარმოებამ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გაითვალისწინოს:

ადგილობრივი წარმოების მთავარი ხელისშემსრულებელი ფაქტორი არის კომერციული და ტექნიკური უნარების ნაკლებობა წარმოების სფეროში.

არ არსებობს ადგამატური ინფრასტრუქტურა პროფესიული მომზადებისთვის, წარმოებისა და წარმოების შემდგომი ეტაპისთვის. აუცილებელია შესაბამისი ინვესტიცია. ინფრასტრუქტურა მოიცავს 6 წამყვან მწარმოებელ კომპანიას, ორიოდე ფირმას, რომელიც წარმოების შემდგომ ეტაპს უზრუნველყოფს და გაყიდვისა და დისტრიბუციის ნამდვილად არასახარბიერლო სისტემას. 2000-2008 წლებში საქართველოში მხოლოდ 18 მხატვრული ფილმი გადაიღის. ქამანაში არის ორი ძირითადი საგანმანათლებლო დაწესებულება (თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), სადაც ფილმების ინდუსტრია სასწავლო პროგრამის ერთეული საგანმანათლებლოში გადაიღის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პროფესიონალურ ტრენინგებს ატარებს ამ სფეროში (აი-ეფ-ეი-ეს-სი).

ქართული ფილმების ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

შემათებული ფაქტორია პროფესიონალების ნაკლებობა, მოძველებული ინფრასტრუქტურა, მონოპოლიზებული კინოთეატრების ქსელი და დისტრიბუციის სუსტი სისტემა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ფილმების მწარმოებელი კომპანიებისთვის დაწესებული მაღალი გადაღი გადასახადები.

ამ პრობლემების მოსაგარებლად და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენი რეკომენდაციია, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ყურადღება გააძახვილოს შემდეგ 3 საკითხზე:

- 1. “დირექტულების ჯაჭვის”** (ფილმის წარმოების პროცესის) განვითარება
- 2. დაფინანსება და ფინანსური შედაგათები**
- 3. სტრატეგიული მხარდაჭერის გეგმის განვითარება**

ამ საკითხებზე ორიენტირებით, ჩვენ შემდგაი პრიორიტეტებით სამოქმედო პუნქტები დაგადგინეთ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისთვის შესაბამის პარტნიორებთან ერთად განსახილველად.

“დირექტულების ჯაჭვის” განვითარება

საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავება, რათა მაღალი დონის კადრების საფუძველზე ინდუსტრია კონკურენტუნარიანი იყოს საერთაშორისო ასპარეზე;

მეტი შესაძლებლობების შექმნა ფილმების გასავრცელებლად და ამ მიზნით თანამშრომლობა სკოლებთან, უნივერსიტეტებთან; ციფრული ეკრანის დამოწმებება ისეთ ადგილებში, სადაც კინოთეატრი არ არის;

მოლაპარაკებები ქართული არქივის კონტროლთან დაკავშირებით და სათანადო უფლებებით ხდობით ადგენერაციის უზრუნველყოფა

დაფინანსების სტრატეგიის შემუშავება, რომლის მეშვეობით მოხდება ფილმების დაფინანსება სათანადო მარკეტინგული და სადისტრიბუციო გარემონტის საფუძველზე;

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ორიენტირებული უნდა იყოს სადისტრიბუციო პოტენციალის გამოყენებაზე, კერძოდ ციფრული დისტრიბუციის მოდელზე, რათა უფრო ფართო მასშტაბით მოხდეს ქართული ფილმების გავრცელება.

დაფინანსება

დაფინანსების დამატებითი წაროების გამოვლინება და 1.5%-იანი გადასახადის დაწესება კინოთეატრებისა და ტელევიზიის სარეკლამო, საკაბელო და სატელევიზიო არხების და ფართომასშტაბიანი ტრანსლაციის შემოსავლებზე. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ინდუსტრიისთვის საჭირო ფონდის შექმნას;

საგადასახადო ინსტრუქციების შემუშავება ფილმების ინდუსტრიისთვის არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. ეს შეიძლება მოხდეს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და შესაბამისი საჭირო უწყებების ერთობლივი მუშაობის შემდეგ.

კერძო სექტორის სტიმულირება ქართული კინემატოგრაფიის

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ინდუსტრიაში ინვესტიციების განსახორციელებლად საგადასახადო კომპენსაციის მეშვეობით, როცა კერძო სპონსორი ფილმის წარმოების ბიუჯეტის 20%-ს უხდის მწარმოებელ კომპანიას. კორპორატიული სპონსორი სარგებელს იღებს საგადასახადო შედაგათის სახით და ინაზღაურებს დანახარჯის 20%-ს საშემოსაგლო გადასახადის სანაცვლოდ.

საგადასახდო შედაგათების შემოდება, თუ ადგილობრივი ან უცხოელი პროდიუსერები (კომპანიები) ინვესტიციას დებენ საქართველოში კინემატოგრაფის ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ეროვნული ლაგარების დაფინანსების შემოდება, როგორც ფილმების ინდუსტრიის განვითარების მოდელისა, თუ მთავრობა მხარს დაუჭირს ინციატივას.

დაფინანსების წაროების მოძიება ფილმების პროექტებისთვის მთავარი სამაუწყებლო ორგანიზაციის დახმარებით, როგორც ეს პოლანდის მაგალითშია აღწერილი: 5.2.3.

სტრატეგიული მხარდაჭერის გეგმის განვითარება

ცოდნის გადაცემის ქსელის შექმნა, რათა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს კინემატოგრაფიის ინდუსტრიას, შემოქმედებით და ციფრულ ინდუსტრიებსა და კომერციულ კვლევით ბაზას შორის.

კვრობული ფილმების კომისიაში გაწევრიანება, რათა განვითარდეს ფილმების გაგრცელების სამსახური და მოხდეს ე.წ. “ინტელიქტუალური” ინვესტირება ფილმების წარმოებაში.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პალავაშ და პოლიტიკაშ სათანადო ბაზა უნდა შექმნას ფილმის ინდუსტრიისთვის და სათანადო ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება.

უნდა განიხილონ EURIMAGE-ში გაწევრიანების შესაძლებლობა, რათა მონაწილეობა მიიღოთ მედია პროგრამაში და შეისწავლოთ ერთობლივი წარმოების შესაძლებლობები კინემატოგრაფიული თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონფერენციის საფუძველზე.

დასაკარგი დრო ნამდვილად არ არის, თუ ქართულ კინემატოგრაფიას სურს თავისი სრული პოტენციალი გამოიყენოს. ჩვენ გთავაზობთ საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობის გაფართოებას, როგორც პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპს.

ქართული კინემატოგრაფიის პოლიტიკა ამბიციური უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს, რეალისტური. ინდუსტრია საქმაოდ კონკურენტუნარიანია და ამჟამინდელი კრიზისის ფონზე მას მოუწევს გარეკვეული საკითხების მოგვარება დაფინანსებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს მნიშვნელოვანი მომენტია იმისათვის, რომ სტაბილური და მდგრადი პროგრამა განხორციელდეს სექტორის განვითარების მიზნით, რაც არ იქნება

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

დამოკიდებული საგადასახადო შედავათებზე, მაგრამ მისთვის არსებითი მნიშვნელობა ექნება ფილმის გადაღების პროცესს, “დირებულების ჯაჭვს,” კადრების მომზადებას და ინფრასტრუქტურას სამომავლო განვითარების მიზნით. საგადასახადო შედავათები ძალიან მნიშვნელოვანია, რაც გადამწყვეტ როლს შეასრულებს შემოსავლების მოძიებაში პროგრამის განსახორციელებლად, მაგრამ მხოლოდ საგადასახადო შედავათები არ არის საკმარისი “ინტელექტუალური” ინვესტიციების და თანამწარმოებლების მოსაზიდად. გლობალურ და კონკურენტულ ბაზარზე მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ასოცირდება “დირებულების ჯაჭვთან.”

2 შესავალი

გთავაზობთ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა „გენტრმა“ “ბი-ოუ-ფი კონსალტინგს“ დააგალა ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის სტრატეგიული მიმოხილვის მომზადება საერთაშორისო კონკექსტში, რასაც თან უნდა ახლდეს რეკომენდაციები კინემატოგრაფიის პოლიტიკის სამომავლო განვითარებაზე. ესაა დამატებითი მიმოხილვა იმ ადგილობრივი კავშირების, რომელიც მარკეტინგული კვლევისა და საკონსულტაციო კომპანიის „ეისითის“ მიერ ჩატარდა ქართული ფილმის ინდუსტრიის შესახებ. გადრა ამისა, დამოუკიდებელმა აუდიტორებმა, ირინა დადგანმა და კოტე გორბატკოვა ინდუსტრიის საგადასახდო სისტემის თავისებურებები და პრობლემები შეისწავლეს და ფინანსური ანალიზი მომზადებს. ეს ანგარიში იმისათვისაა გამიზნული, რომ უზრუნველყოფილი იქნას სტრატეგიის ავტორების გადაადგილება ქალაქის მასშტაბით, რომლებიც ეძღვნენ გარკვეულ ბარიერებს და გამოწვევებს ქართული ფილმის ინდუსტრიაში. ანგარიში აგრეთვე დაქმნარება დინამიური და მტკიცე სექტორის ჩამოყალიბებას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია:

მესამე ნაწილში მოცემულია ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის შეჯამება, შესაძლებლობების, დისტრიბუციის, პროფესიული მომზადებისა და უნარების, არსებული ბარიერების შეფასება.

მეოთხე ნაწილში მოცემულია 6 ქალაქის კინემატოგრაფიის ინდუსტრიის ანალიზი, სადაც განხილულია პოლიტიკა, სპეციფიკური ინტერესები (როგორიცაა საგადასახადო შედავათები). ამ ანალიზის მიზანი იყო ქართული კინემატოგრაფიის პოლიტიკის განხილვა საერთაშორისო კონტექსტში და უცხოეთში დაფიქსირებული მაგალითების გათვალისწინება.

მეხუთე ნაწილში არის სპეციფიკური რეკომენდაციები ქართული ფილმების ინდუსტრიის განვითარებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციები კონკრეტულ ფაქტებს ეფუძნება. ისინი ძირითადად ეხება ფინანსურ და საგადასახადო შედავათებს, მიწოდების, წარდგინისა და დისტრიბუციის განვითარებას, კომუნიკაციის საშუალებებს.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-ფი კონსალტინგი, 2009”

2.1 მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა ეფუძნება პირველად და მეორად კვლევებს, რომელიც დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში ჩატარდა.

ანგარიშში გაანალიზებული სექტორი მოიცავს ქართული ფილმის ინდუსტრიას, სადაც, თავის მხრივ, გაერთიანებულია ფილმის მიწოდების ჯაჭვის ყველა ელემენტი:

- წარმოების წინა პერიოდი
- წარმოება
- წარმოების შემდგომი პერიოდი
- მხარდაჭერა, მარკეტინგი და იურიდიული მომსახურება

ეროვნულ დონეზე, მარკეტინგულმა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითომ“ გაიარა საფუძვლიანი კონსულტაცია ქართულ კინემატოგრაფიასთან, რათა სათანადოდ შეისწავლა სექტორში არსებული მდგომარეობა. აღნიშნულ კვლევას ხელმძღვანელობდა წამყვანი საკონსულტაციო ფირმა „ბი-ოუ-პი კონსალტინგი.“ კვლევის მიზანი იყო შემდეგი სფეროების შესწავლა:

- ქართული ფილმების წარმოებაში არსებული პრაქტიკა
- ქართული ფილმების დაფინანსების არსებული პრაქტიკა
- ქართული ფილმების წარმოების ძლიერი და სუსტი მხარეები
- ქართული ფილმების ინდუსტრიის დისტრიბუციის შესაძლებლობები

ქართული ფილმების ინდუსტრიაში არსებული ჩვენების პრაქტიკა ადგილობრივი ფესტივალების, საერთაშორისო ფესტივალებისა და კინოფარმებში ჩვენების თვალსაზრისით

აღნიშნული კვლევის მიგნებები ამ ანგარიშშია დაჯამებული.

ადგილობრივ კვლევასთან ერთად, „ბი-ოუ-პი კონსალტინგმა“ შეისწავლა სტატისტიკური მონაცემები და გაიარა კონსულტაციები სტეროში მოღვაწე პირებთან, რათა ერთ კონტექსტში მოეხდინა ადგილობრივი კვლევის მიგნებების გაერთიანება, წარმოებინა კონკრეტული მაგალითები საზღვარგარეთის პრაქტიკიდან, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართული ფილმის ინდუსტრიის განვითარებისთვის და შეემუშავებინა სტრატეგიული რეკომენდაციები ქართული კინემატოგრაფიის სამომავლო პოლიტიკისთვის.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

„ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009“

3 ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია

3.1 შესავალი

1896 წლის ნოემბერში, რამდენიმე თვის შემდეგ, რაც პარიზში კინოთეატრები აღმოცვინდა, ამ დარგმა საქართველოშიც შემოაღწია. მალე თბილიში გაიხსნა კინოთეატრები— ოდეონი, აკოლო და მულენ ელექტრიკი. 1908 წელი მიიჩნევა კინოთეატრის ოფიციალურად დაბადების წლად საქართველოში.

1921 წელს, საბჭოთა წყობის დამყარებასთან ერთად, კინო პროპაგანდის მთავარ იარაღად იქცა. თუმცა, საქართველოში კალავ იქმნებოდა ეროვნულ კლასიკურ ლიტერატურაზე დაფუძნებული ფილმები. 15 საბჭოთა რესპუბლიკაში იყო ფილმების სტუდიები და ცენტრალური ხელისუფლება მათ კორებს უწესებდა. ამ პერიოდის ქართული ფილმების წარმოება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ რუსეთი და უკრაინა უშვებდა საქართველოზე მეტ ფილმს.

საბჭოთა კაგშირის დაშლის შემდეგ ქართული კინოს სექტორში 10-20 წლიანი სტაგნაციის პერიოდი იყო და ამ დროს ქართული ფილმი საერთოდ არ შექმნილა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს თან ახლდა მთელი რიგი პრობლემები. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ე.წ. “ინტელექტუალური ინგენიერიული” შემცირდა, რამაც თავის მხრივ, შეაფერხა დირექტული პროდუქციის შექმნის პროცესი. ადგილობრივ წარმოებაში არ იყო სათანადო სამეწარმეო უნარჩვენები. “პროდიუსერის” საბჭოთა პერიოდის განმარტება ჰგავს “წარმოების მენეჯერის” თანამედროვე ცნებას, რომელიც აკონტროლებდა მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების პროცესს. შემოქმედებითი ხედვა და წარმოების უნარი არასდროს არ განიხილებოდა მნიშვნელოვან ფაქტორებიდან. ამიტომ, გარდამავალ პერიოდში საერთოდ არ იყვნენ პროდიუსერები, რომლებიც კომერციული თვალსაზრისით განიხილავდნენ ფილმის წარმოებას. ეს პრობლემა ახლაც აქტუალურია ქართულ კინემატოგრაფიაში.

ქართული ფილმის ინდუსტრიის განვითარების პროცესი საკმაოდ ნელი იყო და ახლაც გრძელდება. კიდევ არის საჭირო დრო და ძალისხმეული, რათა ქართულმა ფილმმა დაიმკიდროს სტაბილური და მდგრადი პოზიცია. ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია ხელი შევწყოს ამ პროცესს და დაიცვას ქართული კინოს მემკვიდრეობა. ცენტრის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ სწორი და კეთილგონიკული ძალისხმეული დადებით შედეგებს მოიტანს.

აღნიშნულ ანგარიშში კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დახასიათება ცენტრის მიერ მოწოდებული კონსულტაციებისა და მიგნებებიდან არის გამოყენებული. ჩვენ კვირაბო, რომ ზოგიერთი მონაცემი შეიძლება არ იყოს ზუსტი და საჭიროებდეს მეტი დეტაილს გადმოკვეთას. თუმცა, ეს იმის მანიშნებელია, რომ სექტორი განვითარების საწყის ფაზაშია და ამჟამად არ არსებოს ოფიციალური სტატისტიკური ბაზა და დეტალური კალება ფილმების ინდუსტრიისა და წარმოების ზუსტი მოცულობისა და მისი ეკონომიკური გავლენის შესახებ. მიუხედავად ამისა, ანგარიშში მაიც არის ნაჩვენები კინემატოგრაფიის სექტორის ახლანდელი მდგომარეობის ზოგადი სურათი.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

3.2 ქართული კინემატოგრაფიის სექტორი

ამ ნაწილში წარმოდგენილია ქართული კინემატოგრაფიის სექტორის მოკლე მიმოხილვა და კერძოდ, ფილმის “დირექტორების ჯაჭვის” თითოეული ძირითადი ელემენტი:

წარმოება

ამჟამად საქართველოში ფილმის მწარმოებელი 6 წამყვანი კომპანია მუშაობს..³ ეს კომპანიები ძირითად აქცენტს აკეთებენ ფილმების წარმოებაზე. წლის განმავლობაში ამ კომპანიებში იქმნება ერთზე მეტი მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2000-2008 წლებში საქართველოში შეიქმნა

■ 18 მხატვრული ფილმი

56 მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

■ 20 მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი

50 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი

■ 12 ანიმაციური ფილმი

4 ექსპერიმენტული ფილმი

2001 წლის შემდეგ ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა:

- 12 მხატვრული ფილმი
- 22 სადებიუტო და მოკლემეტრაჟიანი ფილმი
- 13 დოკუმენტური ფილმი
- 6 ანიმაციური ფილმი

საქართველოში მხატვრული ფილმის საშუალო ბიუჯეტი 500 000 ლარის ექვივალენტია.

წარმოების შემდგომი პერიოდი

“ქართული ფილმი” საქართველოში უდიდესი სტუდიაა, რომლის მიზანია ადგილობრივი თუ უცხოელი პროდიუსერებისთვის სრული წარმოებისა და წარმოების შემდგომი სამუშაოების უზრუნველყოფა. ეს სტუდია შეიქმნა ძველი სახელმწიფო სტუდიის ბაზაზე და ნაწილობრივ მისი მფლობელი სახელმწიფოა.

“ქართულმა ფილმმა” შეიძინა წარმოებისა და შემდგომი ეტაპისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკა და მაღე მზად იქნება პროფესიონალური მომსახურებისთვის.⁴ მთავარი პრობლემა, რაც უკავშირდება “ქართულმა

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ფილმს” არის კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ადგილობრივი კადრების ცოდნა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და შეუსაბამოა უახლეს ტექნიკასთან მუშაობის პროცესში.

საქართველოში არის კიდევ 4-5 კომპანია, რომელიც აქირავებს საჭირო აპარატურას და ზოგჯერ ფილმებსაც აწარმოებს. ხმის ციფრული მეთოდით ჩაწერა და წარმოების შემდგომი ეტაპი პრობლემატურია.⁵ გარდა ამისა, მაღალია ტექნიკის დაქირავების ფასი.

გაყიდვა/დისტრიბუცია/ჩვენება

საქართველოში დისტრიბუციის ქსელს კერძო კომპანია ფლობს. არ არსებობს კონკურენცია და ამ კომპანიას სრული მონოპოლია აქვს აღნიშნულ სექტორში.

თბილისში 4 კინოთეატრი ფუნქციონირებს, სადაც დღეში საშუალოდ 5-6 სესიაა. პროგრამაში ძირითადად აშშ-ში წარმოებული ფილმები დომინირებს. თუმცა, ახალი ქართული ფილმების ჩატარებაც ხდება. თბილისში კინოს ბილეთის ფასი დაახლოებით 7-10 ლარია (3-4 ევროს ეპივალენტი). რეგიონებში ფასი შედარებით დაბალია.

ცხრილი 1: ფილმის ჩვენების ინფრასტრუქტურა საქართველოში

ადგილმდებარეობა	#	კინო-თეატრი	სესი	ადგილი
თბილისი	1	რუსთაველი	5	858
			I დაბრაზი	405
			II დაბრაზი	154
			III დაბრაზი	106
			IV დაბრაზი	102
			V დაბრაზი	91
	2	ამირანი	2	566
			I დაბრაზი	450
			II დაბრაზი	116
	4	კინოს სახლი	1	200
	5	ასმეტელი	1	157
ჯამი				1921
ქუთაისი	6	საქართველო	2	300
			I დაბრაზი	150
			II დაბრაზი	150
	7	სულიკო	1	300
			ჯამი	600
ბათუმი	8	თბილისი	1	389
	9	კინოთეატრი	r>	210
			ჯამი	599
რუსთავი	10	რუსთაველი	1	195
ბორჯომი	11		1	220

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

სიღნდაი	12	ქიზიყი	1	126
ზუგდიდი	13	ატრიუმ 3	ii	300
ჭიათურა	14	მაღაროელი	1	150
საჩხერე	15		1	150
აბაშა	16		1	150
თელავი	17		1	120
გორი	18	გამარჯვება	1	600
ბაქურიანი	19^		1	150
კოდორი	20		1	150
ზესტაფონი	21		1	150
ახალციხე	22		1	150
ახალქალაქი	24		1	150
თამარაშენი	23		1	150
სულ	30		5821	

ვიდრე რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტი გამწვდებოდა 2008 წლის აგვისტოში, ფილმების იმპორტი რუსი დისტრიბუტორების მიერ ხდებოდა, რომლებიც სათანადო უფლებით არიან აღჭურვილი დსტ-ს მასშტაბით. ხდებოდა ფილმების დუბლირება რუსულ ენაზე.

კონფლიქტის შემდეგ ქართველი დისტრიბუტორები ფილმების ექსპორტს ეწევიან ევროპის მეშვეობით, რაც უფრო რთულ პროცესს წარმოადგენს. გარიგებები უფრო ძვირი ჯდება და ფილმები ქართულ ენაზეა, რასაც ხშირად მაყურებელი ნეგატიურად აფასებს.

საქართველოში არ არიან გაყიდვების აგენტები. ძირითადად, თავად პროდიუსერები არიან ჩართული გაყიდვების პროცესში. ჯერჯერობით არც ერთი ქართული ფილმი არ გაყიდულა ევროპაში ჩვენების მზინით.

განათლება და სხვა სპეციფიკური ინსტიტუციები კინემატოგრაფიის სექტორში

საქართველოში ორი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც კინემატოგრაფიას ასწავლიან: თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გავრცელებული მოსაზრებით, ორივე სასწავლო დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს პროგრამა. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამა არ შექმნავს თანამედროვე მოთხოვნებს.

მთავარი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც პროფესიულ მომზადებას სთავაზობს მსურველებს არის “დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაციაა (აი-ეფ-ეი-სი-ეს),” რომელიც 2005 წელს დაარსდა.⁶ ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სამსრუთ კავკასიაში (საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში) მუშაობს. ასოციაცია ადგილობრივ პროფესიონალებს ტრენინგებს

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

სთავაზობს. ამ ტრენინგების მიზანია ფილმების წარმოების განვითარება სამხრეთ კავკასიაში და რეგიონის ფილმების მწარმოებელთა ერდმანეთოან დაკავშირება. ასოციაციის მხარდამჭერია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო.

“სააგენტო უფლებების დაცვის სააგენტო” ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს.

ფესტივალები

თბილისი ორ ძირითად საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. ესენია თბილისის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი და ახალგაზრდული ფილმების ფესტივალი სესილი. ორივე ფესტივალის მხარდამჭერია კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

თბილისის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი ჟოგოლტლიურად ჩარდება. ეს არაკომერციული კულტურული დონისმიებაა, რომლის ორგანიზატორია კინოხელოვნების კენტრი “პრომეთე.” მისი მიზანია მსოფლიოს კინემატოგრაფიის საქართველოში წარმოჩენა. ფესტივალს ორი ოფიციალური ჯილდო აქვს: ოქროს პრომეთე და ვიწვევებლის პრომეთე, აგრეთვე ფარაჯანოვისა და ფიპრესის პრიზები.

3.3 ქართული კინემატოგრაფიის მიმართ მხარდაჭერის პოლიტიკა

საქართველოში არსებული კანონმდებლობა, სადაც გათვალისწინებულია ადგილობრივი ფილმების ინდუსტრიის მხარდაჭერა მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას და კანონს კულტურის შესახებ. კანონმდებლობაში შემდეგი სამართლებრივი ჩარჩოებია განსაზღვრული:

- კანონი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კინემატოგრაფიის მიმართ მხარდაჭერის შესახებ
- კანონი საავტორო უფლებების შესახებ
- კანონი შემოქმედებითი მუშობისა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ

კანონი მოზარდებზე მავნე გავლენის შესახებ და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.⁸

კანონი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კინემატოგრაფიის მიმართ მხარდაჭერის შესახებ (2000 წლის 5 დეკემბერი) არის მთავარი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია სახელმწიფოს მხარდაჭერა ფილმის წარმოების ინდუსტრიის მიმართ.

როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, საქართველო სერიოზული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. ამიზომ, კულტურის სექტორი მთავრობისთვის პრიორიტეტული არასდროს ჟოვილა. თუმცა, ქართული კინემატოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი მაიც ახერხებდა ფილმების მწარმოებელთა ინტერესების ლობირებას. მათი საქმიანობის შედეგი იყო 2001 წლის აპრილში კინემატოგრაფიის

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ეროვნული ცენტრის შექმნა. ეს იყო ერთეული პირველი სტრუქტურა საქართველოში, რომელიც აქცენტს აკეთებდა ადგილობრივი ფილმების ინდუსტრიის განვითარებაზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი წარმოადგინს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ავინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამინისტროს საშუალო წლიური ბიუჯეტი 85 მილიონი ლარია. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსება 2 მილიონი ლარით განისაზღვრება.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კანონით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროები შემდეგნაირია:

- თანხა გამოიყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
- სახელმწიფო განკარგულების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი.
- კონტრაქტების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი
- დამატებითი საწარმოო აქტივობებიდან მიღებული შემოსავალი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშემოსავალო წყაროები

მოცემული მონაცემების თანახმად, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ერთადერთი რეალური საშემოსავალო წყარო არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია უზრუნველყოს ქართული ფილმის განვითარება.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საქმიანობა მიმართულია ფილმების ეროვნული წარმოების მხადაჭერისკენ (სახელმწიფო სუბსიდირების მეშვეობით), ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის განვითარებისკენ, ფილმების ჩვენებისა და დისტრიბუციისთვის შესაბამისი პირობების შექმნისკენ, სამწერლის და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერისა და განხორციელებისკენ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საქმიანობა სამინისტროსგან დამოუკიდებელია. მას ხელმძღვანელობს აულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრიების მიერ 3 წლის ვადით დანიშნული დირექტორი. ცენტრს აქვს შემდეგი დეპარტამენტები: ადმინისტრაციული, ფილმების წარმოების, საინფორმაციო და არქივი. თითოეულ დეპარტამენტს პყავს თავისი ხელმძღვანელი.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც ებმარება ფილმების ინდუსტრიას. საკანონმდებლო დებულების მიხედვით, ცენტრი უფლებამოსილია დაეხმაროს ადგილობრივ მწარმოებლებს ფილმების წარმოების სამართლით. თუმცა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული (ცენტრს შეზღუდული ბიუჯეტი აქვს და შესაბამისად, მისი საქმიანობაც შეზღუდულია).

საზღასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2006 წლის შემდეგ საქართველოს

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსება 50%-ზე მეტით გაიზარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მოლიანი დაფინანსება მაინც არ არის საკმარისი. ცხრილში მოცემულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დეპარტამენტების დაფინანსების ბიუჯეტი.

ცხრილი 2: კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი და სპეციფიკური სფეროებისთვის გამოყოფილი თანხები

ბიუჯეტი	2006	2007	2008	2009
ადმინისტრაციული	221,000	244,660	320,000	424,600
ფილმის წარმოების დამარტამენტი	910,000	910,000	1,190,000	1,372,000
ფილმის ექსპორტის კუთხი	39,000	40,040	50,000	70,000
საინფორმაციო დეპარტამენტი	104,000	55,380	90,000	90,000
არქივის დეპარტამენტი	26,000	49,920	50,000	43,400
სულ	1,300,000	1,300,000	1,700,000	2,000,000
განაკვეთი: 1 ევრო	2.23	2.29	2.19	2.18
სულ: ევრო	583,046	568,622	776,901	916,338

წყარო: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, 2009 წელი

ამ ციფრების საერთაშორისო კონტექსტში გადაყვანის მიზნით, გამოიყენეთ შედარების ფორმულა ნაწილში 4.4.1. აქ ნათლადაა ნაჩვენები, რომ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საკმაოდ მცირე სახელმწიფო დაფინანსებაა, რაც ხელს უშლის სტაბილური და დინამიური ინდუსტრიის შექმნას.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ადგილობრივი ფირმების დაფინანსება ხდება ტენდერის მეშვეობით. ცენტრი კონკურსის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას.

2008 წელს საქართველოში 7 მხატვრული ფილმი გადაიღეს, 4 მათგანი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დახმარებით. 2009 წელს 6-7 მხატვრული ფილმი გამოვა, 3 მათგანს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აფინანსებს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ჩამოაყალიბა ექსპერტების კომისია პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. სწორედ ეს კომისია წარმატებული პროექტი უნდა დაფინანსდეს. კონკურსის თემატიკის ცვლილებასთან ერთად კომისიის ექსპერტთა შემადგენლობაც იცვლება. თითოეულ კონკურსს დაახლოებით 5 წელიანი სხვადასხვა კომისია ატარებს. კომისია არჩევს წარმატებულ პროექტს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ძირითადად შემდეგი კატეგორიების ფინანსურ დახმარებას ითხოვს:

- სცენარის შექმნის პროცესის ხელშეწყობა
- პროექტის განხორციელების ხელშეწყობა
- ეროვნული ფილმის წარმოების ხელშეწყობა

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

■ ეროვნული ფილმის დისტრიბუციის ხელშეწყობა

დაფინანსებასთან დაკავშირებით შემდეგი სამართლებრივი პირობა არსებობს: სახელმწიფო სუბსიდია არ უნდა აღემატებოდეს ფილმის წარმოების მთლიანი ბიუჯეტის 75%-ს და ეროვნული ფილმების დისტრიბუციის მთლიანი ხარჯების 50%-ს. დაფინანსების მისაღებად პროდიუსერმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომ ის უზრუნველყოფს დირექტულების 25%-ის დაფარაგს (როგორც საუბარია მხატვრული ფილმის წარმოებაზე).

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია მხოლოდ ეროვნული ფილმების დაფინანსებაზე. ფილმი მიიჩნევა ეროვნულად, თუ

- გადაღებულია ქართულ ენაზ;
 - ფილმის ავტორები საქართველოს მოქალაქეები არიან;
- ფილმის მწარმოებლი ჯგუფის (დამდგმელი რეჟისორები, ოპერატორები, ხმის ოპერატორები, დამდგმელი ოპერატორები, მხატვრები, კოსტიუმების ავტორები, რედაქტორები, მთავარი როლის შემსრულებლები) 30%-ზე ნაკლები სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან;

ფილმის წარმოების, გაქირავებისა თუ ჩვენების სამუშაოთა მინიმუმ 50% საქართველოში დარეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ სრულდება (მუხლი მე-5: კანონი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი კონსულტაციების თანახმად, ადგილობრივი პროდიუსერებს დაღებითი დამოკიდებულება აქვთ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიმართ.

ისინი მიიჩნევენ, რომ ცენტრი ნამდვილად ეხმარება მათ მიუხედავად იმისამ რომ ცენტრის ფინანსები საკმარისი არ არის. ფილმების მწარმოებლები აცხადებენ, რომ კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სექტორის ლობირებაში ისევე, როგორც ადგილობრივი პროდუქციის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საქმეში. თუმცა, სასურველი მიზნის მისაღწევად მეტი დაფინანსებაა საჭირო.

3.4 ქართული კინემატოგრაფიის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრმა დაადგინა კინემატოგრაფიის სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორები მოცემულია ნაშილში 3.5.

■ კვალიფიციური კადრების ნაკლებობა

მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს შემოქმედებითი პროდიუსერების ნაკლებობა, რომელთაც შემოქმედებით ხედვასთან ერთად წარმოების უნარიც გააჩნიათ. საბჭოთა პერიოდში ფილმებს სახელმწიფო აფინასებდა და არ იყო საჭირო

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ზედმეტი ძალისხმევა ფინანსების მოსაზიდად. ამჟამად სერიოზული დეფიციტია სამქარენო შესაძლებლობების მქონე პროდიუსერებისა, რომლებსაც შეუძლიათ დაფინანსონა წარმართვა და კარგად ესმით ინტელექტუალური საკითხების არსი.

მეორე მხრივ, ტექნიკურ პერსონალზე ცვალებადი მოთხოვნის გამო ზოგიერთ უნარ-ჩვევას სათანადო ყოფილება აღარ აქვთ (განათება, წარმოების ბოლო ფაზა) და ზოგადი დონეც დაბალია (ხმის ჩაწერა, წარმოების ბოლო ფაზა, ა.შ.).

ინფრასტრუქტურა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ის ადგილობრივი კომპანიებიც კი, რომლებმაც კაპიტალი დააბნებს თანამედროვე ტექნიკაში (მაგალითად, “ქართული ფილმი, “დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაცია”) ვერ უზრუნველყოფენ მაღალი დონის ტექნიკურ პერსონალს.

მოგადად, საქართველოს რეგიონების ინფრასტრუქტურა (სასტუმროები, გზები, ა.შ.) არაა სათანადოდ განვითარებული. ამიტომ საკმაოდ რთულია ფილმების გადაღება დედაქალაქის საზღვრებს მიღმა.

დისტრიბუცია

საქართველოში 23 კინოთეატრია, მაგრამ, რეგულარულად მხოლოდ 10 მათგანი ფუნქციონირებს. ადგილობრივი კინოთეატრების ქსელი ურთ კერძო კომპანიას ეძულების, რომელიც თავის პირობებს კარნახობს ადგილობრივ პროდიუსერებს. კინოთეატრების სალაროების მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

შემოსავლის სხვა წყაროები, როგორიცაა დივიდი ფორმატი და ინტერნეტ ნაკლებად გამოიყენება, რადგან საქართველოში მრავლადაა არალეგალური წარმოების მაგალითები. კონსულტაციები და არსებული მონაცემები ცხადებულს, რომ მოთხოვნა უფრო დიდია არალეგალურ დივიდი ფილმებსა თუ ინტერნეტით ჩამოტკირვაზე, ვიდრე კინოთეატრებზე.

უცხოური ფილმების დუბლირება ხშირად ძალიან დაბალი ხარისხისაა.

სალხის გარკვეული ნაწილისთვის კინოთეატრში წასვლა გართობის ძვირი საშუალებაა.

საქმიანი ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა

მაუწყებლები არ აფინანსებენ ადგილობრივ ფილმებს.

არ არსებობს ოფიციალური თანაწარმოების პრაქტიკა მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ უკროპული კონვენციის წევრია. თუმცა, კინემატოგრაფიის ეროვნულმა კენტრმა ახლახანს მიიღო კომებენტური უწყების სტატუსი და ახლა გაგმავს კონვენციის მიერ განსაზღვრული შესაძლებლობების შესწავლას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ რაც შეიძლება მაღე უნდა მოხდეს ადგანატური სტრატეგიული ნორმების შემუშავება ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის განვითარების მიზნით.

საქართველოში ფილმების ინდუსტრიის აღმავლობის პროცესი 2 წლის წინ დაიწყო და ახლაც გრძელდება. ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი და გარკვეული დრო დასჭირდება იმას, რომ საბოლოო ჯამში ქართული

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კინემატოგრაფია გკონომიკური თვალსაზრისით ქმედითუნარიანი სექტორი გახდეს. გვჯერა, რომ თუ აღნიშნულ პალეგაში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება, ტრანსფორმაციის პროცესი უფრო დრმა და ხანგრძლივი გახდება.

რასაპარველია, ფინანსური სტიმული მალიან მნიშვნელოვანია. თუ საქართველოში შემოიღებენ შესაბამის საგადასახადო შედაგათვებს, უზრუნველყოფა, დეტალური ანგარიშ-ფაქტურები. ა.შ.), რის შედეგადაც შეიქმნება უფრო მაღალი დონის საწარმოო და პროფესიული კულტურა.

კინემატოგრაფიის ეროვნულ კენტრონის შეუძლია წვლილი შეიტანოს ამ პროცესში და გატაროს კალილებები წარმოების სერთიფიცირების თვალსაზრისით, ისევე როგორც დაადგინოს კრიტერიუმები ეროვნული ფილმების დაფინანსებისთვის. ჩვენი რეკომენდაციებიც დაეხმარება ფილმების ინდუსტრიას, რომელიც შეძლებს მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებას სახელმწიფოსაგან საგადასახადო შედაგათვების, გათამაშებების დაფინანსების, საზოგადოებრივი მაუწყებლების პირდაპირი დაბეგვრის სახით.

ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია. თუ საქართველოს მთავრობის სურვილია, რომ ქვეყანაში ფილმების წარმოება მაღალ დონეზე იყოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საგადასახადო შედაგათვებით საქმეს არ ეშვილება. **სათანადო კურადღება უნდა მიექცეს ტაქნიკური და კომერციული უნარჩვენების განვითარებას,** ისევე როგორც ინტასტრუქტურისა და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელობას, რაც დიდ გავლენას ახდენს უცხოელი პროდიუსერების გადაწყვეტილებაზე ითანამშრომლონ თუ არა საქართველოსთან. საგადასახადო შედაგათო უფრო ფართო სპეციალისტთა მოთხოვნების მხოლოდ ერთერთი შემადგენელი ნაწილია.

ეს მნიშვნელოვანი აღიარებაა არა მარტო იმიტომ, რომ არსებობს ტენდენცია, რომ უცხოელმა პროდიუსერებმა სასურველ ტერიტორიაზე გადაიღონ ფილმი. მაგალითად, 1990-იან წლებში ამერიკელი და ბევრი სხვა დამოუკიდებელი პროდიუსერის სამიზნეს პრადა წარმოადგენდა. დღესდღეობით, ასეთი სურათია უნგრეთში, ბულგარეთში და ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიაზეც კი, სერბეთში. ეს ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ.

ამიტომ, საქართველომ არა მარტო საგადასახადო შედაგათვები უნდა დააწესოს, არამედ მაღალი პროფესიული დონის მომსახურება უნდა უზრუნველყოფა ისეთ სფეროებში, როგორიცაა სასტუმრო, კომუნიკაციები, სტუდიის ინფრასტრუქტურა, უცხოური ენის ცოდნა, მაქსიმალურად მცირე ბიუროკრატია და გადამზები ჯგუფის უსაფრთხოება. ამ ფაქტორების გათვალისწინება პრიორიტეტებით, რათა საქართველომ შეძლოს დირსეული კონკურენცია გაუწიოს უნგრეთსა თუ სხვა რომელიმე ქვეყნას. სახელმწიფო პოლიტიკა, კურადღება უნდა გაამახვილოს პროფესიულ მომზადებაზე, განათლებაზე და საგადასახადო შედაგათვებზე. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი დისტრიბუციის ხელშეწყობას და ქართველ კინემატოგრაფისტთა შორის კომერციული და ამბიციური მიზნების გაღვივებას.

პროგრესული მიღების ჩამოყალიბება ქართული პროდუქციის დისტრიბუციის მიმართ ასევე მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ ადგილობრივ დისტრიბუციას, როგორც აბსოლუტურ პრიორიტეტს მაქიმალურად შეუწყონ ხელი, რადგან მხოლოდ საერთაშორისო დისტრიბუციით ქართული ფილმის ინდუსტრია გერგა გახდება ქმედითუარიანი ეკონომიკური თვალსაზრისით.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

უფრო მეტიც, არცერთი უცხოელი პარტნიორი არ დაინტერესდება ისეთი ქვეყნის ფილმით, რომლის შესახებ სალაროს მონაცემები ხელმისწავდომი არ არის. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი დისტრიბუციის გაძლიერებას და სალაროს მონაცემების მოპოვებას. ამავე დროს, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ტრადიციული სადირიბული მოდელების გარდა გამოიყენოთ ციფრული დისტრიბუციის მეთოდი, რადგან ეს უფრო მარტივი საშუალებაა იმისათვის, რომ ადგილობრივმა წარმოებამ საერთაშორისო ბაზარზე შეაღწიოს.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სტრატეგიულ და ორგანიზაციულ განვითარებას. ადგილობრივი კონსულტაციების მიზნებებისა და საერთაშორისო ანალიზის მიხედვით აუცილებლად უნდა არსებოდეს ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კინემატოგრაფიის სექტორის სტრატეგიული განვითარების კონტროლზე. ლოგიკურია, რომ ეს ფუნქცია სწორად კინემატოგრაფიის ეროვნულმა კენტრმა შეასრულოს. კენტრმა უკვე გამოავლინა თავისი შესაძლებლობები სექტორში პოზიტიური ცვლილებების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კენტრი უნდა გაძლიერდეს, როგორც წამყვანი სახელმწიფო ორგანიზაცია. კენტრმა უნდა გაანალიზოს ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაცია და უმოკლეს დროში დასახოს პრიორიტეტები.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კენტრის შესაძლებლობების გაძლიერება აკლებების ჩატარების შესაძლებლობის ჩათვლით მნიშვნელოვანი იქნება სექტორის წარმატებული განვითარებისთვის. სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს კვლევის გრძელვადიანი პროგრამის საფუძველზე, რათა შემუშავდეს მონაცემთა ბაზა. გარდა ამისა გადაწყვეტილებები უნდა დაეფუძნოს დროულ ინფორმაციას. ზემოაღნიშვნელის გათვალისწინებით, ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები მორიგ აკლებას საჭიროებს და ამ რეკომენდაციების შესრულების ტესტირება ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს. ანგარიშში მოცემული მაგალითები უცხოეთის გამოცდილებიდან სათანადო უნდა იქნას შესწავლილი და მხოლოდ რეკომენდაციისთვის იქნას გამოყენებული. იმის გადასაწყვეტილ, თუ რომელი პრაქტიკაა უმჯობესი საქართველოსთვის, უნდა ჩატარდეს აკლება მისი რეალურად განხორციელების პროცესების შესახებ სპეციფიკურ ინტერესებითან მიმართებაში, როგორიცაა საგადასახადო შედაგათვები, გათამაშების დაფინანსება, ა.შ.

რა თქმა უნდა, საკითხების მოგვარების მეთოდი პირდაპირ არ უნდა გადმოვიდოთ უცხოეთიდან. საუკეთესო გარიანტი კონსულტაციების შედეგად უნდა შემუშავდეს. თუმცა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა კენტრმა ამ ეტაპზე მიღებული სტრატეგიული რეკომენდაციები შემდგომ ფაზაში უნდა გადაიყვანოს და მთავრობასთან კონსულტაცია გამართოს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი რეკომენდაციები კიდევ უფრო დააჩქარებს საქართველოში ფილმის ინდუსტრიის აღმაღლობის პროცესს და ხელს შეუწყობს ქართველი კინემატოგრაფიის მხარდაჭერის გაძლიერებას.

დანართი I აღწერს დეტალებს ეკრანული კონკრეტიდან ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ.

საქართველო არ არის EURIMAGES-ის წევრი. ეს არის ევროსაბჭოს ფონდი,

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

რომელიც კურირებს ფილმების ერთობლივ წარმოებას, დისტრიბუციას და ჩვენებას ევროპის კინემატოგრაფიაში.

■საგადასახადო სისტემა

როგორი საგადასახადო სისტემის და ნადდი ფულის აუცილებლობის გამო ადგილობრივი პროდიუსერები ცდილობენ დამალონ თავიანთი ფილმების რეალური ხარჯები. ასეთ დროს, საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ფილმის რეალური ბიუჯეტი და ოფიციალურად აღრიცხული მაჩვენებლები ერთმანეთს არ ემთხვევა.

3.5 ადგილობრივი კონსულტაციების მიზნებები

ქართული ფილმების ინდუსტრიის მიმოხილვის ფარგლებში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა (კენტრმა დაავალა ადგილობრივ საკონსულტაციო კომპანიას, რომ შეესწავლა სექტორის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შეხედულებები. მარკეტინგის, კალებისა და კონსულტაციების კომპანია “ეისითიმ” ჩაატარა ეს კონსულტაციები. მიზნებებისა და კონსულტაციების სრული გერსია ხელმისაწვდომია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში. გთავაზობთ ძირითადი მიზნებების მოკლე მიმოხილვას:

წარმოება

საქართველოს კინემატოგრაფიის სექტორი განვითარების საწყის ეტაპზეა. ბოლო 5-6 წლის განმავლობაში გაიზარდა ფილმის მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა. თუმცა, ჯერჯერობით არცერთს არა აქვს შემუშავიბული საქმიანობის წლიური გეგმა. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების მოცულობა არ არის სისტემატური (1-2 გამონაკლისის გარდა). კოვიდის ეს ძირითადად ფინანსების ნაკლებობას უკავშირდება

ფილმების წარმოების ერთადერთი ხელმისაწვდომი დახმარება საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოყოფილი ფინანსებით. ცენტრი ყოველთვის ფარავს ფილმის ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს. მთავარი საკითხი ისაა, რომ ქართველ მწარმოებლებს დაფინანსების აღრიცხნარივა არა აქვთ. მაუწყებლები თავს არ იწუხებენ ფილმების დაფინანსებით. ისინი ძირითადად სატელევიზიო სერიალებით შემოიფარგლებიან. კერძო სექტორი არ აღიოჭვამს კინო ინდუსტრიას, როგორც სარფიან ბიზნესს კაპიტალდაბანდებისთვის. არ არსებობს რაიმე ფისკალური ინიციატივა, რაც სტიმულს მისცემდა კერძო ინვესტიციების ჩადებას კინემატოგრაფიაში.

პროფესიონალი კადრები

ადგილობროვი პროდიუსერები ამბობენ, რომ სექტორში პროფესიონალი კადრების დეფიციტია. არარეგულარული წარმოებისა და მოთხოვნის სიმცირის გამო ზოგიერთი სფეროს სპეციალისტი საერთოდ არ არსებობს, ან მისი დონე ძალიან დაბალია. მაგალითად პრობლემებია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვიზაჟისტი, ელექტრო-ინჟინერიმ კოსტიუმების მხატვარი, ა.შ.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურა მოძველებულია. თითქმის არ არსებობს პავილიონები და

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

წარმოების ბოლო ეტაპისთვის საჭირო საშუალებები. თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საჭართველოში კინემატოგრაფიის უმთავრესი პროდლება წარმოების ბოლო ფაზას უკავშირდება. ქვეყანაში არ არის სათანადო პირობები ამ პროცესისთვის, რომ საბოლოო პროდუქტი გამოვიდეს.

თუმცა, ადსანიშნავია, რომ განახლებულმა კომპანია “ქართულმა ფილმმა” 2.8 მილიონი ევროს ღირებულების აპარატურა შეიძინა წარმოების ბოლო ფაზისთვის. მიუხედავდ ამისა, ადგილობრივი პროდიუსერები არ მიმართავენ ამ მომსახურებას, რადგან პერსონალს არაპროფესიონალებად აღიქვამენ და ეშინიათ, რომ ფილმი საერთოდ არ გაფუჭდეს. ეს კიდევ ერთი სფეროა, სადაც პროფესიონალიზმი აქტიურად დგას დღის წესრიგში.

კიდევ ერთი ხელისშემლები ფაქტორია ის, რომ საჭართველოში არ არის ხელმისაწვდომი სპეციალური სადაზღვევო პაკეტი ფილმის წარმოებისთვის,

ზოგადად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა არ არის მზად იმისათვის, რომ წარმოება გაიზარდოს. მაგალითად, რთულია დედაქალაქის საზღვრებს მიღმა გადაღებების უზრუნველყოფა სათანადო ინფრასტრუქტურის-სასტუმროების, გზების უქონლობის გამო.

საგადასახადო სისტემა/ ფისკალური ინიციატივები

ფისკალურ ინიციატივებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. თითქმის ყველა პროფესიონალი აცხადებს, რომ ამჟამინდელ საგადასახადო წესებს დახვეწა და ფილმის წარმოების სპეციფიკურ პროცესებზე ორიენტირება სჭირდება. არ არსებობს რაიმე საერთო პრაქტიკა გადასახადების დაწესებასთან დაკავშირებით.

აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა საგადასახადო შედაგათების შემოღებასთან დაკავშირებითაც. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ფილმების წარმოების ინდუსტრიაში გარკვეული საგადასახადო შედაგათი სტიმულს მისცემს კერძო ინვესტიციების განხორციელებას. სხვები ფიქრობენ, რომ ეს იქნება ფულის გათეთრების კიდევ ერთი საშუალება.

თუმცა, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა ადგილობრივი პროდიუსერი მიიჩნევს, რომ გარკვეული სტიმული საჭიროა, რაც მომგებიანს გახდის ფილმების დაფინანსებას კერძო სექტორისთვის. რესპონდენტებმა სხვადასხვა ვარიანტი განიხილება: ადგილობრივმა კინოთეატრებმა წლიური შემოსავლის გარაჟების ნაწილი გადაურიცხონ კინემატოგრაფიის ეროვნულ კენტრს; სხვა უფრო მომგებიანმა სექტორებმა შემოსავლის ნაწილი გამოყონ ფილმების ინდუსტრიისთვის, ა.შ. ადსანიშნავია, რომ ნებისმიერი ფინანსური ინიციატივა საჭიროებს სათანადო განხილვას ადგილობრივი პროფესიონალების მხრიდან, რათა შეფასდეს მისი განხორციელების პერსპექტივა.

დისტრიბუცია / ჩვენება

კინოთეატრი ფილმების დისტრიბუციის ძირითადი ქსელია საჭართველოში. დგილობრივი მაუწყებლებისთვის ფილმების ლიკენზირების მაგალითები ძალიან ცოტაა. ადგილობრივი პროდიუსერები მიიჩნევენ, რომ ტელეკომუნიკაციების მიერ შემოთავაზებული თანხები ძალიან მცირება (საშუალო 200-300 აშშ დოლარი თითო ჩვენებაზე).

დიგიდის ბაზრის 90% არალეგალურია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თითქმის

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კვლელა ფილმის უფასოდ ნახვა ინტერნეტში. ადგილობრიოვი ფილმები ძალიან იშვიათად გამოდის დივიდი დისკებით, რადგან მწარმოებლების აზრით, ეს არ არის შემოსავლის მომგებიანი წყარო.

ამ მიგნებების მიხედვით, შემოსავლის ერთადერთი წყარო კინოეთეატრია. თუმცა აქაც გარკვეული პრობლემებია, საქართველოში მხოლოდ ერთი დიდი ქსელია, რომელშიც 3 კინოთეატრია გაერთიანებული დედაქალაქში და 4 კინოთეატრი რეგიონებში. ამგარად, ფილმების ჩვენების სექტორში აშკარა მონოპოლიაა, რაც იმის მანიშნებელია, რომ კინოთეატრი თავის პირობებს უყოჩებს ფილმების მწარმოებლებს.

კინოთეატრები აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნზდ გაიზარდა მოთხოვნა ადგილობრივ ფილმებზე და მათ აქვთ სურვილი, რომ აჩვენონ ქართული ფილმები. მაგრამ ჩვენების შეზღუდული შესაძლებლობების გამო ფილმმა შეიძლება მაინც ვერ მიაღწიოს წარმატებას.

სოციალური/კულტურული დირექტულება

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ის ჯაჭრი, რომ ადგილობრივი პროდიუსერები მუდმივად უსამენ ხაზს სოციალურ და კულტურულ დირექტულებებს, რაც ქართულ ფილმს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, კინოეთეატრი კომუნიკაციის საშუალებაა. ფილმი ასრულებს ქალაქის ელჩის ფუნქციას საერთაშორისო ასპარეზზე. რესპონდენტები დარწმუნებულნი არიან, რომ ქართული კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა უფრო გაადვილდება დროთა განმავლობაში, რადგან საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს, რაც საინტერესო და მიმზიდველია საერთაშორისო საზოგადოებისთვის. თუმცა, ჯერჯერობით, ამ სამიზნე აუდიტორიის მისაღწევად საჭირო სპეციფიური საშუალებები არ განიხილება. რესპონდენტები იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო ჩაერთვება ამ პროცესში.

3.6 ფინანსური ანალიზი

საქართველოს საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვანდ გამარტივდა ბოლო 4 წლის განმავლობაში და ამჟამად ის ერთეული საუკეთესოა ბიზნესის საწარმოებლად რეგიონში.

ცხრილი №3 აღწერს გადასახადების ძირითად სახეებს და ამჟამინდელ და სამომავლო მონაცემებს.

ცხრილი 3: საგადასახადო ტიპოლოგია

გადასახადები	2008	2009	2010	2011	2012	2013
საშემოსავლო	25%	20%	20%	18%	18%	15%
მოგების	15%	15%	15%	15%	15%	15%
სადიკიდენდო	10%	5%	5%	3%	0%	0%
საპროცენტო	10%	7.50%	5%	0%	0%	0%
დღგ	18%	18%	TBD	TBD	TBD	TBD
ქონების გადასახადი	1%	1%	TBD	TBD	TBD	TBD

ცხრილი 1: ფინანსთა სამინისტრო www.mof.gov.ge

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ქართული კინემატოგრაფიის ფინანსური მხარდაჭერა განისაზღვრება საქართველოს კანონით ეროვნული კინემატოგრაფიის მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერის შესახებ. ამ კანონში განსაზღვრულია დახმარების გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსებისა და საგადასახადო შედაგათების სახით არაპირდაპირი დაფინანსების შესახებ. ოუმცა, ეს უკანასკნელი რეალურად არასდროს განხორციელებულა და ფილმის მწარმოებლებს არასდროს უსარგებლიათ საგადასახადო შედაგათებით.

ამჟამად ფილმების წარმოებით დაკავშირული კომპანიები იმავე ოდენობის გადასახადს იხდიან, რასაც სხვა ბიზნესის წარმომადგენლები. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე სახის შედაგათს კინოინდუსტრიისთვის. ანგარიშის საერთაშორისო ანალიზის მეოთხე ნაწილის თანახმად, ეს უცნაური პრაქტიკაა. ახლანდები საგადასახადო მოდელი ასევე არ ითვალისწინებს ფილმების წარმოების სპეციფიკურ მახასიათებლებს და ბევრი გაურკვევლობაა საგადასახადო უწყისებთან მიმართებაშიც.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კენტრის დაგალებით, ადგილობრივმა საგადასახადო კქსპერტებმა დაადგინეს, რომ კინოინდუსტრიაში შემდეგი მთავარი პრობლემები გამოიკვეთა:

დამატებითი დირექტულების გადასახადი

ქართული კინემატოგრაფიის შესახებ ნორმატიული დოკუმენტები შეიცავს ისეთ ცნებას, როგორიცაა “დირექტორი,” “ფილმის მწარმოებელი,” “ფილმის დისტრიბუტორი,” ა.შ. ამ ტერმინებზე დაყრდნობით რთულია განსაზღვრო, რომელს შეესაბამება “დამატებითი დირექტულების გადასახადი.” ეს გადასახადი დაკავშირებულია წარმოების/მომსახურების მფლობელობის გადაცემას ერთი მფლობელისგან მეორე მფლობელზე. კინოინდუსტრიაში საკმაოდ რთულია დაამტკიცო, რომ ფილმის მფლობელობა ქონებას ნიშნავს.

საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს პრივილეგიებს ეროვნული ფილმების წარმოებისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია სამედიცინო და განათლების სექტორებში (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 230-ე მუხლი)

მოგების და საშემოსავლო გადასახადი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის

საგადასახადო და სხვა სახის კანონმდებლობა ზუსტ პასუხს ვერ სცემს გადასახადზე დაქვემდებარებული მოგების შესახებ კითხვებს. რთულია კინოინდუსტრიაში შემოსავლისა და გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯების განსაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების (სუბსიდიების) დაბეგვრაც რთული საკითხია. ამჟამად, ასეთი სუბსიდიები მოგებასთან ერთად ითვლება და იბეგრება, რაც აშკარად ამცირებს კინოინდუსტრიის მიმართ სახელმწიფო დახმარების მოცულობას.

ქონების გადასახადი

საგადასახადო კოდექსში ნათლად არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის პროდუქტია ფილმი, შეიძლება თუ არა მისი, როგორც

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

მატერიალური აქტივის აღქმა და ეფისრება თუ არა მას ქონების გადასახადი.

საგადასახადო სისტემაში კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია - ხარჯების აღიარება. კინოინდუსტრიის თავისებურებიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ საგადასახადო კოდექსი უფრო იოლად გასაგები და შესაფერისი იყოს სექტორისთვის.

ადგილობრივი ექსპერტების მიგნებებმა ცხადჲყო, რომ სათანადო ასენას დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო კოდექსის გამოყენებაში. საგარაუდოდ, უფრო მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა გასაგებად იყოს ფორმულირებული და ამის შემდეგ მოხდეს ფინანსური ინიციატივების წარდგენა.

3.7 SWOT ანალიზი (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები)

ძლიერი მხარეები

ქართული კინოინდუსტრიის ერთეულთი მთავარი ძლიერი მხარე არის მისი მდიდარი მემკვიდრეობა. სექტორში არსებული პრობლემების მიუხედავად, მასში იგრძნობა ქართული ნიჭი. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართულ ფილმზე და მის განვითარებაზე ზრუნვას.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და ზომიერი კლიმატი საქმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორებია იმისათვის, რომ საქართველო რეგიონში ყველაზე საუკეთესო ქვეყნად იქცეს ფილმების წარმოების თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული წესები საქართველოში მარტივია. არ არის გადაადგილების პრობლემა. არ არის აუცილებელი რაიმე განსაკუთრებული უფლების მიღება ფილმის გადასაღებად. ქართველ ხალხს დადებითი დამოკიდებულება აქვს კინოინდუსტრიის მიმართ და ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ გადამდებ ჯგუფს.

სუსტი მხარეები

ძირითადი სუსტი მხარეები პროფესიონალურ კადრებს უკავშირდება. ეს საკითხი ამაღლა კონსულტაციაში დომინირებს. გადამდები ჯიუტის პროფესიონალიზმი კი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საქართველომ წამყვანი პოზიცია დაიგავოს. რეგიონში კინოინდუსტრიის თვალსაზრისით. საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რათა გაუმჯობესდეს პროფესიონალიზმის დონე.

აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარება. საჭიროა სათანადო რაოდენობის სასტუმროები, კარგი გზები, საკომუნიკაციო საშუალებები, ა.შ. გარე ადგილობრივი და გარე უცხოული პროდიუსერი გერ გადაიღებს ფილმს ქვეყანაში, სადაც შესაფერისი ინფრასტრუქტურა არ არის. ერთეული მთავარი მიზეზი ისაა, რომ ბევრი დრო და ფული იხარჯება სამუშაო პროცესის პრობლემების მოგვარებაზე.

განუვითარებელი სადისტრიბუციო ქსელი კიდევ ერთი ნაკლოვანებაა ქართულ კინოინდუსტრიაში. კონსულტაციებიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი კერძო კომპანია აკონტროლებს სადისტრიბუციო ქსელს და შესაბამისად, კონკურენცია არ

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

არსებობს. უფრო მეტიც, კინოთვარების რაოდენობა მცირება. შემოსავლის მიღების შანსი ადგილობრივ დონეზე თითქმის არ არსებობს.

ფილმის მწარმოებლებისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო თანხები მინიმალურია. კინემატოგრაფიის ეროვნული კენტრი ერთადევრთი უწევბა, რომელიც ეხმარება პროდიუსერებს. დაფინანსების ალტერნატიული წყაროები შესასწავლია.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების ფონზე ქართულ ფილმს არა აქვს სათანადო პოპულარიზაცია და აღიარება საერთაშორისო დონეზე. ამ ბოლო დროს კინემატოგრაფიის ეროვნულმა კენტრმა დაიწყო ქართული ფილმების ჩვენება ევროპულ ფესტივალებზე, მაგრამ მაინც ძალიან ნაადრევია ამ ფაქტის გავლენის შეფასება. შემდეგი ფაქტორები უფრო დრმა შესწავლას მოითხოვს: შეთანხმებები ერთობლივი წარმოების შესახებ, Eurimages-ში გაწევრიანება, ა.შ.

არსებული საგადასახადო სისტემა არ უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს პროდიუსერებისთვის.

შესაძლებლობები

საქართველოში ფილმების ახლადაღმოცემაზე ბაზარია. ქართული ფილმის ნიჭი ჯერ არ არის ცნობილი საზღვარგარეთ და შესაბამისი ხელშეწყობის მეშვეობით შესაძლებელია საერთაშორისო აღიარების მოპოვება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს შეუძლია ორიგინალური შინაარსის ფილმების შეთავაზება საერთაშორისო ბაზრისთვის.

კინოინდუსტრიის გაძლიერება და აღნაგარებული პოპულარიზაცია ისეთ დადგებით შედეგებსაც გამოიღებს, როგორიცაა ტურისტების რაოდენობის გაზრდა და საქართველოს შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება.

კინოინდუსტრიის სათანადო ფუნქციონირება წელილს შეიტანს ქვეყნის კონომიკურ განვითარებაში, გაიზრდება მოთხოვნა და დასაქმება, ისევე როგორც წარმოება.

ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველო საერთაშორისო ყურადღების ცენტრშია პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთთან კონფლიქტის შედეგით. ეს კი ქართველი პროდიუსერებისთვის ერთგვარი საშუალებაა გამოიყენონ ეს სიტუაცია.

სექტორი უფრო და უფრო თანმიმდევრული და ჰარმონიული ხდება. უფრო მეტი კომპანია თანამშრომლობს ერთმანეთთან.

საფრთხეები

კინოინდუსტრიის განვითარების პროცესში ყველაზე მთავარი საფრთხე გეოპოლიტიკურ ასპექტებს უკავშირდება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში სამი ქვეყნაა - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ეს ქვეყნები რუსეთის მეზობლები არიან. სომხეთს და აზერბაიჯანს არა აქვს პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები მთიან ყარაბაღთან და კავშირებული კონფლიქტის გამო. რეგიონალურ დონეზე თანამშრომლობა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობითაა შესაძლებელი. მუდმივად არსებობს იმის საფრთხე, რომ ახალი კონფლიქტი გადგივდება.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

სომხეთი პრო-რუსული სახელმწიფოა და საქართველო-რუსეთის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ სომხეთის, როგორც საქართველოს პოტენციური პარტნიორის სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

რეგიონალური პრობლემები დაბრკოლებებს უქმნის ნებისმიერი სექტორის განვითარებას, მათ შორის კინოინდუსტრიას. მყარი და სტაბილური რეგიონალური ურთიერთობების დამყარება უპირატესობას წარმოადგენს კინოინდუსტრიისთვის.

2004 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილები მოხდა და 2008 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა საშუალოდ 10%-ით გაიზარდა. სიტუაციის გაუმჯობესება განაპირობა ცვლილებებმა ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკაში, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია პირდაპირი ინვესტიციების გაზრდა. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. რასაცირკელია, ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ადგილობრივ კინემატოგრაფიაზე.

ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი პროფესიონალიზმისა და ნიჭიერების საკითხებს უკავშირდება. ქვეყნაში პროფესიონალური კადრების სიმცირის და არარეგულარული მოთხოვნის გამო ნიჭიერი პროდიუსერები საქართველოდან მიღიან. მრავალი მაგალითი არსებობს. მაგალითად არიან ქართველი რეჟისორები, რომლებიც გარმანულ და ფრანგულ ფილმებს იდებენ (გელა ბაბლუანი, ოთარ იოსელიანი, დიტო ცინცაძე, ა.შ.).

4 საერთაშორისო კონტექსტი

ანგარიშის ამ ნაწილის მიზანია კინემატოგრაფიის საერთაშორისო პოლიტიკის მიმოხილვა ამ სფეროს ზედმიწევნით შესწავლისა და სპეციფიკური სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. ანგარიში მოიცავს კინოინდუსტრიის ანალიზს 6 ქვეყნაში. თითოეული ქვეყნის სრული ანალიზი გათვაზობს უფრო ფართო კონტექსტს, თუ როგორ მიესადაგება კინოინდუსტრიის პოლიტიკა ქვეყნის კულტურულ პოლიტიკას და ეკონომიკურ სიტუაციას. ეს ინფორმაცია მოცემულია დანართში. საქართველოს კინემატოგრაფიის გროვნულ ცენტრთან კონსულტაციების შედეგად შერჩეულ იქნა სწორედ ეს 6 კომპარატორი ქვეყანა. მოცემული თავი მიზნად ისახავს ქართული კინოინდუსტრიის პოლიტიკის გაერთიანებას საერთაშორისო კონტექსტში, რათა შეიქმნას ეფექტური მონაცემთა ფაზა სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციები ანგარიშის მომდევნო ნაწილშია მოცემული.

სტატისტიკური მონაცემების შესწავლისა და კონსულტაციების პროცესში აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სათანადო ინფორმაცია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა კინოინდუსტრიის პოლიტიკის, სპეციფიკური ინტერესების და ზოგადად სექტორის შედარება კომპარატორ ქვეყნებთან. აღნიშნული ანგარიშის მიზანია ამ საკითხის მოგვარება იოლად კონტროლირებადი მატრიცის მეშვეობით, რომელიც შეაჯამებს 6 ქვეყნის პოლიტიკას და სპეციფიკურ ინტერესების (საგადასახადო შედაგათები, შეთანხმებები ერთობლივ წარმოებაზე, ა.შ.). ნაწილში 4.4.1 ეს მატრიცაა მოცემული.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ქართული და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებისას აღმოჩნდა, რომ საქართველოში ფილმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ფიქსირდება პრობლემები და გკონომიკური ბარიერები. ამ მიზეზით, არ არის რეკომენდირებული საერთაშორისო პრაქტიკის კოპირება ქართულ სინამდვილეში.

ანგარიშში ხაზგასმულია თუ რომელი კინოინდუსტრიის პოლიტიკაა უფრო შესაფერისი ქართული მოდელისთვის.

4.1 კინემატოგრაფია საერთაშორისო კონტექსტში

ცალკეული ქვეყნებისთვის კინემატოგრაფია ძალიან მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა გკონომიკის თვალსაზრისით, რომელსაც დიდი წელიერი შეაქვს ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტში, ექსპორტა და სავაჭრო ბალანსში. გარდა ამისა, კინოინდუსტრიას კიდევ ერთი არაპირდაპირი გკონომიკური სარგებელი აქვს აულტურის, ტურიზმის, კაჭრობის და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ფილმი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვანია კულტურული პოლიტიკის შემუშავებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თუმცა, ბევრი განვითარებული ქვეყნის გარდა, სადაც კინოინდუსტრია მაღალ დონეზეა (ძირითადად აშშ), განვითარებადი ქვეყნებიც ცდილობენ კონკურენტუნარიანები იყვნენ და ამიტომ, მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესის საჭიროებენ, რომ განვითარონ ეს სექტორი. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო კინოინდუსტრიას საგადასახადო შედაგათებით და პირდაპირი დაფინანსებით ეხმარება, რათა სექტორმა მარცხი არ განიცადოს ბაზარზე.

ამ ანგარიშისთვის ჩატარებული კვლევა გვთავაზობს დეტალებს სხვადასხვა ინტერესის შესახებ, რომელთა მიზანია კინოინდუსტრიის განვითარება. მაგრამ პირველ რიგში, ანგარიში აფასებს გლობალური კინოინდუსტრიის გკონომიკის მოცულობას და სექტორში ახლადაღმოცვენებულ ტენდენციებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის.

4.2 გლობალური კინოინდუსტრიის ეკონომიკის მიმოხილვა

მსოფლიო კინემატოგრაფიის ბაზარზე დიდი, განვითარებული ქვეყნები აკლაგ დომინირებს. აშშ მსოფლიო ბაზრის ლიდერია. 2007 წელს აშშ-ს კინოინდუსტრიამ მსოფლიო წარმოების 41% შეადგინა, მეორე პოზიცია იაპონიამ დაიკავა 9.1%-ით. შემდგა მოდიან ქვეყნები დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ავსტრალია.

გლობალურ კინოინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია, მაგრამ დრო საჭირო, რათა ამ ცვლილებების შედეგი ნათელი გახდეს. აღსანიშნავია, რომ ინდური ბაზარი საკმაოდ მოცულობითია. ინდოეთსა და ჩინეთს დიდი მოსახლეობა ჰყავს და ეს ქვეყნები სწრაფად მზარდია ეკონომიკური თვალსაზრისით. მათი კინოინდუსტრიის ბაზარი კი მაინც აშშ დოლარებში იანგარიშება და ჩამოუვარდება ავსტრალიის (მოსახლეობა- 21 მილიონი) და იტალიის (მოსახლეობა- 59 მილიონი) ბაზრებს.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ცხრილი 4: შემოსავალი კინონდუსტრიიდან ქვეყნების/ რეგიონების მიხედვით, აშშ დოლარებში, 2007 წლის მონაცემები

ქვეყანა/რეგიონი	შემოსავალი აშშ მილიონ დოლარში	პროცენტული მაჩვენებელი
აშშ	35,517	41.3
იაპონია	7,839	9.1
დიდი ბრიტანეთი	6,447	7.5
კანადა	5,908	6.9
დასავლეთ ევროპის სხვა	5,604	6.5
საფრანგეთი	3,823	4.5
გერმანია	3,220	3.7
აზია-წჟენარი ოკეანის სხვა	2,793	3.3
ლათინური ამერიკა	2,303	2.7
იტალია	2,107	2.5
ავსტრალია	2,110	2.5
ინდოეთი	1,929	2.2
სამხრეთ კორეა	1,769	2.1
ცენტრალური და აღმოსავლეთ	1,782	2.1
ესპანეთი	1,689	2.0
ჩინეთი	641	0.7
ახლო აღმოსავლეთი და	423	0.5
სულ	85,904	100.0

წყარო: ფრაისუოთერპაუსტეპერი, გლობალური გასართობი ინდუსტრიისა და მედიის კლეის, 2008-2012, იქნის 2008.

4.2.1 ახალი ტენდენციები მსოფლიო კინემატოგრაფიის ინდუსტრიაში

პროგნოზის მიხედვით, 2012 წლისთვის სურათი შეიცვლება. “ფრაისუოთერპაუსტეპერის” თანახმად, ინდოეთი მესამე უდიდესი ქვეყნა იქნება კინემატოგრაფიის თვალსაზრისით და ის თითქმის გაუტოლდება საფრანგეთს, ხოლო გერმანიას, სამხრეთ კორეას, ავსტრალიას, იტალიასა და ესპანეთს უკან ჩამოიტოვებს. აშშ დარჩება მსოფლიოში უდიდესი კინოინდუსტრიის მქონე ქვეყნად. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ეკონომიკ შეინიშნება პროგრესი ამ თვალსაზრისით.

ცხრილი 5: შემოსავალი კინონდუსტრიიდან ქვეყნების/რეგიონების მიხედვით, აშშ დოლარებში, 2012 წლის პროგნოზი

ქვეყანა/რეგიონი შემოსავალი აშშ მილიონ დოლარში (2012) პროცენტული მაჩვენებელი		
აშშ	44,528	40.0
იაპონია	10,341	9.3
დიდი ბრიტანეთი	7,893	7.1
კანადა	7,499	6.7
დასავლეთ ევროპის სხვა	6,578	5.9
საფრანგეთი	4,442	4.0
ინდოეთი	4,278	3.8
გერმანია	4,079	3.7
აზია-წჟენარი ოკეანის	3,490	3.1
ლათინური ამერიკა	3,182	2.9
ცენტრალური და	3,113	2.8
სამხრეთ კორეა	2,632	2.4

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ავსტრალია	2,708	2.4
იტალია	2,586	2.3
ესპანეთი	1,746	1.6
ჩინეთი	1,531	1.4
ახლო აღმოსავლეთი და სუმ	575	0.5
სუმ	111,199	100.0

წყარო: ფრაისუოთერპაუსკუპერი, გლობალური გასართობი ინდუსტრიისა და მედიის კვლევა, 2008-2012, იქნის 2008.

“ფრაისუოთერპაუსკუპერსმა” გარკვეული პროგნოზი გააკეთა მსოფლიო კინოინდუსტრიის შესახებ:

მსოფლიო მასშტაბით, კინოინდუსტრიის ხარჯები 5,3%-ით გაიზრდება, 2007 წლს ემ მაჩვენებელი 85,9 მილიარდ დოლარს უდრიდა, 2010 წლისთვის კი ნაგარაუდებია 111,2 მილიარდი დოლარი.

გლობალური მასშტაბით, კინოეთერატურების სალაროებში ბილეთების გაყიდვები 6,1%-ით გაიზრდება და 2012 წლისთვის 36,9 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამრიგად, კინოეთერატურის პროცენტული მაჩვენებელი უკან ჩამოიგოვებს სახლის ვიდეოს მაჩვენებელს, რაც 4,9%-ით გაიზრდება 74,3 მილიარდ დოლარამდე.

კინოთერატურების სალაროებში ბილეთების გაყიდვები კიდევ უფრო გაიზრდება ციფრული კინოს მეშვეობით.

ბაზარზე ყველაზე სწრაფად მზარდი კომპონენტი იქნება ციფრული და ინტერნეტით გამოწერილი პროდუქტი. 2012 წლისთვის ამ სექტორის 32,4%-იანი ზრდაა ნაკარაუდები, რაც 10,8 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ციფრული და ინტერნეტით გამოწერილი პროდუქტი სახლის ვიდეოს დანახვაზების 52%-ს მოიკავს მომდევნო 5 წლის განმავლობაში.¹⁴

ფილმების წარმოება საერთაშორისო მასშტაბის გახდა. 2009 წლის ოსკარი დაჯილდოვებაზე აშკარა იყო, რომ წარმარებულ ფილმებს საერთაშორისო მასშტაბით აფინანსებენ და ფილმის გადაღების პროცესიც სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობს. მაგალითად, ბრიტანული ფილმი *Slumdog Millionaire* 2009 წლის ოსკაროსანი ფილმი გახდა. მისი თანადამტინანსებელი იყო ევროკავშირის კინოინდუსტრიის მხარდაჭერის პროგრამა “მედია” (სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად). ახლახანს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ინდოეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ, გადაღებები მუშაობის მიმდინარეობდა..¹⁵ ჯერჯერობით მსოფლიო მასშტაბით ამ ფილმის კინოთერატურებში ჩვენებამ 159 226 072 მილიონი დოლარის შემოსავალი მოიტანა. ⁶ დოკუმენტური ფილმი *Man on Wire*, რომელიც ასევე გახდა 2009 წლის ოსკაროსანი ფილმი გადაიღეს საფრანგეთსა და ამერიკაში. დამტინანსებელი დიდი ბრიტანეთი.

ქოვილივე ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კინოინდუსტრიის პოლიტიკა ფეხდავებს უნდა მისდევდეს გლობალურ ტენდენციებს და ხელს უნდა უწეობდეს ერთობლივ წარმოებას, საგადასახადო შედაგათებს ფილმის უცხოეთში პოპულარიზაციისთვის და”ინტელექტუალურ” ინვესტიციას. ეროვნული წარმოება კონკურენტურიანი უნდა გახდეს მსოფლიო ბაზარზე.

4.3 კინოინდუსტრიის მიმოხილვა ევროკავშირის კონტექსტში

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

როგორია ეკროპული კინოინდუსტრიის შესახებ რეზიუმეს გაკვთვა კულტურული, ინდუსტრიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით. არ არსებობს “ეკროპული კინოს” ცნება. არსებობს ეკროპული ფილმების ნაირსახეობა კულტურის, ენის, ადმინისტრაციული სტრუქტურის, ისტორიისა თუ პოლიტიკური წყობის მიხედვით. თუმცა, კინოინდუსტრიას ეკროპაშიც აქვს გარკვეული პრობლემები:

მცირე რაოდენობის ეკროპულ ფილმს ჰყავს იმდენი მაყურებელი, რომ საკმარისი შემოსავალი მიიღოს კინოინდუსტრიის შესანარჩუნებლად. ასეთი ტენდენცია დღესაც გრძელდება, როცა სახელმწიფო დაფინანსება ნაკლებად ხელმისაწვდომია. ყოველწლიურად 700-ზე მეტი ფილმი იწარმოება ეკროპული. მათი უმრავლესობა სახელმწიფო დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ეკროპულ ფილმების პროდიუსერები, დისტრიბუტორები და პრეზენტარები სუბსიდიებზე არიან დამოკიდებული, რათა შეავსონ მზარდი სხვაობა დანახარჯებსა და შემოსავალს შორის. ბევრი პროდიუსერისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის მიღება, კიდრე შემოქმედებითი ან ორგანიზაციული სამუშაო.

ამ ტენდენციამ სახელმწიფო დამფინანსებლების მისია შეცვალა წარმოების მხარდაჭერად, რომელსაც მხოლოდ მცირე როლის აქვს კარგი ხარისხისა და საინტერესო სცენარის ხელშეწყობაში.

ურთიერთკავშირი, ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რეკოლეულია მნიშვნელოვანი ფაქტორებია კინოინდუსტრიის პოლიტიკაში. არჩევანი ნათელია: კინოინდუსტრიის პოლიტიკის მოდერნიზება უნდა მოხდეს ციფრული ტექნოლოგიების გამჭის შესაბამისდ ან ეკროპული კინოინდუსტრიის კულტურა პროგრესს ჩამორჩება და არ განვითარდება.

ფილმები, რომლებიც წარმატებას აღწევენ საკუთარ ქვეყანაში, ხშირ შემთხვევაში შეიძლება უინტერესო აღმოჩნდეს საზღვარგარეთ. 700 ფილმიდან, რომელიც ყოველწლიურად იქმნება ეკროპაში, მხოლოდ 10% შეიძლება იხილონ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ფილმების უმრავლესობა სახელმწიფო სუბსიდიებით იქმნება (წელიწადში დაახლოებით 2.5 მილიარდი დოლარის სუბსიდია გამოიყოფა ეკროპაში ამ მიზნით). აქ უნდა გავითვალისწინოთ გადასახადები ფილმების შემოსავლიდან, მაუწყებლებისგან, საგადასახადო შეღავათები წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალზე და პირდაპირი სახელმწიფო გრანტები. სუბსიდია წარმოების ხარჯის დაახლოებით 80%-ს ფარავს, აქედან უდიდესი ნაწილი მოდის სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ტელევიზიებისგან. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები ცხადებულის, რომ 2005 წელს 1,5 მილიარდი დოლარი დაიხარჯა ფრანგული ფილმების წარმოებაზე, მაგრამ ეკროპის საზღვრებს მიღმა გაყიდვების მოცულობამ მხოლოდ 70 მილიონი დოლარი შეადგინა.¹⁸

უფრო მეტიც, ბოლოდროინდელი ავლენის მიხედვით, რომელიც ეკროპის 29 ქვეყანაში ჩატარდა, ფილმების წარმატება დამოკიდებული იყო ფესტივალებსა და ჯილდოებზე, კიდრე მაყურებლის რეაქციაზე.¹⁹ ზოგ შემთხვევაში ეკროპული ფილმების მთავარი პრობლემა არის ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც არა მარტო სუბსიდირებას უზრუნველყოფს, არამედ წახალისებს ფილმის წარმოების პროცესს, რომლებიც წარმატებული იქნება საერთაშორისო ასპარეზზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შეუძლიათ თუ არა ეკროპულ რეჟისორებს ფეხი აუწყონ გლობალიზაციას და მრავალფეროვან მაყურებელს წარუდგინონ პროდუქტი. სერიოზული გამოწვევა საერთაშორისო მასშტაბით მუშაობა ფილმის წარმატების მიზნით.

ეკროპის მასშტაბით მუშაობას მნიშვნელოვანი სარგებელი აქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში კინოინდუსტრია უფრო კონკურენტულიანი და გლობალური ხდება.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ამ თვალსაზრისით შემდეგი უპირატესობები შეიძლება აღინიშოს:

სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან და წარმატებული პრაქტიკიდან გამომდინარე უფრო მტკიცე არგუმენტები უნდა შემუშავდეს სახელმწიფო დაფინანსების აუცილებლობის დასასაბუთებლად

უნდა შემუშავდეს რეალური ხედვა ევროპული კინოინდუსტრიისთვის.

როგორც “კოპენჰაგენის ანგარიშის” ავტორები ამბობენ, იმისათვის, რომ ევროპულმა კინოინდუსტრიამ შეინარჩუნოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სახელმწიფო მხარდაჭირა, ისეთ საკითხებზე, უნდა იყოს ორიენტირებული, რაც საზოგადოებას უფრო მნიშვნელოვანდ მიაჩნია არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების თვალსაზრისით.

“კინოინდუსტრიის პოლიტიკა ორ საყრდენზე დგას. ესაა ეროვნული კულტურა და ეკონომიკური კონკურენციარიანობა. ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სხვადასხვა ქავების კულტურების ურთიერთპატივისგანმდებრივი თანამშრომლობა და ხალხს შორის ანგაგონიზმისა და გაუცხოების აღმოფხვრა. ფილმის უნარი, რომ მოაგვაროს ეს საკითხები, ძალიან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ კულტურასა და ეკონომიკაში.”

4.4 კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო მასშტაბით

ამ ანგარიშისთვის ჩატარებულ ანალიზში დეტალურადაა აღწერილი კინოინდუსტრიის პოლიტიკა და ინტერვენციები 6 ქვეყანაში. ინფორმაცია ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტშია მოცემული. აღნიშნული 6 ქვეყნის მაგალითი გასათვალისწინებელია ქართული კინოინდუსტრიის სფეროში. ეს ქვეყნებია საფრანგეთი, უნგრეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია, პოლონეთი და თურქეთი. სიტუაცია განსხვავდება ყველა ქვეყნაში, რადგან თითოეულ მათგანს აქვს სპეციფიკური კინოინდუსტრია და განვითარების სხვადასხვა დონე. მიუხედავად ამისა, ეს მაგალითები მაინც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

მეორე დანართში მოცემულია ამ ქვეყნების კინოინდუსტრიის პოლიტიკისა და სპეციფიკური ინტერვენციების სრული მიმოხილვა. თითოეული კონკრეტული მაგალითი შემდეგ თემებადაა დაყოფილი:

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ- ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და სოციალური მდგრმარეობა;

საგადასახადო სისტემის ძირითადი მიმოხილვა- ფაქტორივი ინფორმაცია გადასახადების სახეობების შესახებ აღნიშნულ ქვეყნებში. ეს ნაწილი კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაკვეთით შემუშავდა. რეკომენდირებულია, რომ ხელისუფლების ფინანსურა გუნდმა კონსულტაცია გაიაროს და სათანადო გამოიკვლიოს საგადასახადო სისტემა;

კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა- ქვეყნის პოლიტიკა კულტურის, ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობასთან მიმართებაში;

კინოინდუსტრიის პოლიტიკა- ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკა კინოინდუსტრიის


განვითარებასთან მიმართებაში; დეტალური ინფორმაცია დაწესებულებების შესახებ, რომელებიც ამ მიზნებისთვისაა შექმნილი; სპეციალიკური ინტერვენციები (საგადასახადო შედაგათვები, პირდაპირი დაფინანსება და სუბსიდიები), რომელთა მიზანია ინდუსტრიის დაფინანსება;

შედეგი/გავლენა- ინფორმაცია ქალწილების კინოინდუსტრიის ახალი მიღწევების შესახებ და დეტალები პოლიტიკისა და ინტერვენციების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის თაობაზე.

5 რეკომენდაციები ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის განვითარებისთვის

მომდევნო თავში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოში კინემატოგრაფიის ინდუსტრიის განვითარებისთვის. რეკომენდაციები დაყოფილია სპეციფიკურ სფეროებად და მიზნად ისახავს მაღალი დონის ინსტრუქტაჯს ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევაზე დაყრდნობით.

Figure 1: The Film Value Chain



5.1 “ლირებულების ჯაჭვის” განვითარება

ქართული კინოინდუსტრიის განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია “ლირებულების ჯაჭვზე” ორიენტირება. ამ გზით, შესაძლებელი იქნება სფეროში

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

არსებული პრობლემების მოგვარება. პროცესის წარმატებულად გაძლიერდის შემთხვევაში, მაყურებელი სათანადოდ შეაფასებს ფილმს და გარდა ამისა, ინდუსტრია შეძლებს მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნას საერთაშორისო ბაზრისთვის. “ღირებულების ჯაჭვი” არის ფილმის შექმნის მთელი პროცესი. ფილმი, როგორც პროდუქტი, გადის თანმიმდევრულ სტადიებს და თითოეულ ეტაპზე ის გარკვეულ ღირებულებას იძენს. ფილმში ღირებულების ჯაჭვი შეიძლება აღვიქვათ როგორც შემდეგი აქტივობების მთლიანობა: განვითარება-სცენარის, ბაზრის კვლევის, დაფინანსების უზრუნველყოფა

- წარმოება
- წარმოების ბოლო ფაზა
- ჩვენება, დისტრიბუცია და გაყიდვა

ცხრილი 1 ასახავს ღირებულების ჯაჭვის მთლიანობას განვითარებიდან გაყიდვამდე. “ნეგატიური წყარო” ნიშნავს “ნეგატიურ” ხარჯებს, რაც ასოცირდება წარმოების ხარჯებთან, კაპიტალიზაციის პროცენტთან, სტუდიის ხარჯებთან. “ბეჭდვისა და რეკლამირების” დანახარჯი მოიცავს დუბლირებას, დისტრიბუციას, რეკლამირებას და ზოგადად, ფილმისთვის ბაზრის მომზადებას.

მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ღირებულების ჯაჭვის რთული პროცესი და მისი მნიშვნელობა არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ ფილმს ღირებულება ემატება გადაღების და დამუშავების დასრულების შემდეგ, არამედ იმიტომაც, რომ ყველა ასკექტი უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ საბოლოო პროდუქტმა მაქსიმალური ღირებულება შეიძინოს, გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნას სექტორის განვითარება. ღირებულების ჯაჭვში წარმოების წინა პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპია, სადაც ბეჭრი შესაძლებლობაა სწავლისთვის, უნარჩვევების დაუფლებისთვის და ნიჭის განვითარებისთვის. ამიტომ აუცილებელია ამ სფეროზე ორიენტირება. მნიშვნელოვანია სპეციალური იურიდიული და ფინანსური მომსახურება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი უნიკალური მეთოდია გამოცდილი იურიდიული და საბუღალტრო ფირმების დახმარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

მესამე ნაწილში მოცემული ანალიზის მიხედვით, საქართველოში ღირებულების ჯაჭვი არ არის სათანადოდ განვითარებული. განსაკუთრებით არასახარბიერო მდგრმარებებია ისეთ ეტაპებზე, როგორიცაა განვითარება და წარმოების ბოლო ფაზა.

ღირებულების ჯაჭვზე ორიენტირებით მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ მხელოდ საგადასახადო შედაგათები ვერ შექმნის ქმედითუნარიან კინო-ინდუსტრიას. სახელმწიფომ სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი უნდა შეასრულოს ინდუსტრიის განვითარებაში სათანადო განათლებისა და პოლიტიკის უზრუნველყოფით, რაც საშუალებას მისცემს ნიჭიერ პიროვნებებს და ხარისხიან პროდუქტებს მიაღწიონ სამიზნე ბაზარს. თუ აქცენტს გააკეთებენ ღირებულების ჯაჭვის განვითარებაზე ხელისუფალი შეძლებენ იმ ძირითად საკითხებზე ორიენტირებებას, რაც ხელს უშლის სექტორის წარმატებას.

ქვემოთ მოცემულია ანგარიშის სპეციფიკური რეკომენდაციები მიწოდების ქსელში არსებული პრობლემების გადასაჭრელად:

5.1.1 ტრენინგი

საკითხი: საქართველოში ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების ინფრასტრუქტურის ნაკლებობაა. ადგილობრივმა კვლევამ დაადგინა, რომ

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კინემატოგრაფიის სექტორში პროფესიონალური კადრების დეფიციტია. არასისტემატური წარმოებისა და ზოგიერთ უნარებზე მოთხოვნის სიმცირის პირობებში საქმაოდ დაბალია პროფესიონალიზმის დონე. მაგალითად, დეფიციტია შემდეგ პროფესიებში: ვიზუალისტი, ელექტრო-ინჟინერი, კოსტიუმების მხატვარი, ა.შ.

უფრო მეტიც, შემოქმედებითი ჯგუფები საქართველოში ნაკლებად თანამშრომლობენ ადგილობრივ დონეზე. ნდობის დეფიციტია პროდიუსერის მიმართ, რადგან რეჟისორები და სცენარისტები ხშირად ფიქრობენ, რომ საქართველოში არ არსებობენ კრეატიული პროდიუსერები, რომლებსაც კარგად ესმით შემოქმედებითი მუშაობის პრობლემები (ეს საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილია). ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდური მუშაობა და პროფესიონალიზმი ტრენინგის მთავარი ნაწილი უნდა იყოს. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნას უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება იმის საჩვენებლად, რომ თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია დირექტორების ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: მთელი მსოფლიოს მაგალითზე ჩანს, რომ ტრენინგებისა და პროფესიონალიზმის განვითარებისთვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა.²³ ასე სწრაფად მზარდ ინდუსტრიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალ კადრებს, სტრუქტურული პროგრამას და კინოინდუსტრიის ტექნიკის სათანადო ცოდნას.

რეკომენდაცია: საქართველოს სჭირდება საგანმანათლებლო და სატრენინგო როგორამების შემუშავება, რათა კინო-ინდუსტრია კონკურენტუნარიანი გახდეს გლობალურ ბაზარზე. ანგარიშის რეკომენდაციაა სტრუქტურული სტრატეგიის ჩამოყალიბება პროფესიული მომზადებისთვის შემდეგ სფეროებში:

ინფორმაცია, რჩევა და ინსტრუქტაჟი კარიერასთან დაკავშირებით-შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმების საშუალება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ნიჭიერი ადამიანების სექტორში მოსაზიდად და ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითი პოტენციალის გასაფაროთოებლად.

■ **შემდგომი და უმაღლესი განათლების შესაბამისი პროგრამების შემუშავება აღნიშნულ სფეროში.** შემდგომი და უმაღლესი განათლების პროგრამები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ახალგაზრდების ისეთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით უზრუნველყოფა, რაც საჭიროა კინო-ინდუსტრიაში სამუშაოდ.

ტრენინგი სფეროში ახლადმოსული ადამიანებისთვის, პროფესიული მომზადება პრაქტიკანტებისთვის და მხარდაჭერა კომპანიებისთვის- ყველა შემოქმედებითი ინდუსტრიის მსგავსად, კინო-ინდუსტრია ძალიან სწრაფად მზარდი სექტორია, რომელსაც ახასიათებს ტექნოლოგიური აღაპტაცია, წარმოების, დისტრიბუციისა და ჩვენების ახალი მეთოდები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრმა უზრუნველყოს პროფესიული მომზადება და ტრენინგები ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის ყველა დონეზე, რათა საქართველოს კინო-ინდუსტრია კონკურენტუნარიანი იყოს.

კვლევა და შრომის ბაზრის მიმოხილვა- პროფესიულ მომზადებაში ინვესტირებას საფუძვლიანი არგუმენტი სჭირდება, რათა ინვესტიცია ეფექტური და მიზნობრივი აღმოჩენებს. ამიტომ, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს სჭირდება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება, რომ შეიმუშავოს სათანადო სტრატეგია (იხილეთ ქვემოთ).

ასეთი პროგრამა საჭიროებს დაფინანსებას კინოინდუსტრიის ფონდისგან, რაც შეიძლება იყოს გათამაშების დაფინანსებისა და დამატებითი წყაროების

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კომბინაცია. იხილეთ ნაწილი 5.2.

მაგალითი 1: “უკეთესი მომავალი”- დიდი ბრიტანეთის კინოინდუსტრიის პროფესიული გადამზადების სტრატეგია

გაერთიანებული სამუშაოს კინემატოგრაფიის საბჭოს აქვს პროფესიული გადამზადების პროგრამა „უკეთესი მომავალი,” რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ამ სფეროში.

აღნიშნული პროგრამა 2003 წელს დაიწყო დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფიის საბჭოს მიერ. ეს 5 წლიანი პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო და სატრენინგო სტრატეგიას კინო-ინდუსტრიაში მოღვაწე ადამიანებისთვის, რაც ხაშუალებას აძლევს გაერთიანებული სამუშაოს კინო-ინდუსტრიას კონკურენციას გაუწიოს მსოფლიოს სხვა ქვეყნების კინო-ინდუსტრიებს. პროგრამის მთავარი მიზანი იყო წელიწლის შეტანა ბრიტანეთის კინო-ინდუსტრიის სტაბილურობასა და კონკურენციუნარიანობაში. პროგრამის განხორციელება 2004 წელს დაიწყო და 2009 წელს მთავრდება.

“უკეთესი მომავალი” დიდი ბრიტანეთის პირველი ეროვნული სტრატეგიაა კინემატოგრაფიის სფეროში, რომელიც აქცევს აქტოებს შემდეგ ფაქტორებზე: ინფორმაცია, რჩევა და ინსტრუქტური კარიერასთან დაკავშირებით, შემდგომი და უმაღლესი განათლება, ტრენინგი სფეროში ახლადმოსული ადამიანებისთვის, პროფესიული მომზადება პრაქტიკანტებისთვის და მხარდაჭერა კონკანიებისთვის.

გარდა ამისა, პროგრამას ხელს უწყობს ხამი “ოქროს ძაფი”- მრავალფეროვნება, დიდი ბრიტანეთის ერქბი, რეგიონები და ახალი ტექნოლოგიები. პროგრამას აფინანსებს კინო-ინდუსტრიის ფონდი, გათამაშება და ინვესტიცია მხატვრული ფილმების დაბეჭდვიდან.

2004 წლის აპრილიდან 2008 წლის მარტამდე 29 მილიონზე მეტი გამოიყო პროგრამის “უკეთესი მომავალი” განხორციელების მიზნით. ანუ ერთ წლიწადში გამოყოფილი თანხა 7.3 მილიონია. აქდაც 25.6 მილიონი გათამაშების ფონდობაზ იყო, ხოლო 3.4 მილიონი უნარ-ჩეკების ხასიათებიც ფონდიდან. ამ ფონდმა 21.4 მილიონი ინვესტიცია ჩადო ახალი კადრების ტრენინგების, ხასიათო კურსების და სხვა აქტივობების დაფინანსების საქმეში. ამ ღონისძიების ფარგლებში 96 ორგანიზაციამ 270-ზე მეტი გრანტი მიიღო. მაგრამ მხოლოდ 9 ორგანიზაციამ ჰითონ ამ ინვესტიციის 2/3-ზე მეტი და უდიდესი ნაწილი ამ თანხისა (21.4 მილიონის 25%) გადაეცა ეროვნული კინოსა და ტელევიზიის სკოლას.

5.1.2 ფილმის ჩვენება

საკითხი: როგორც აღწერილია ნაწილში 3.4.ამჟამად საქართველოში საქმაოდ შეზღუდულია ფილმის ჩვენების ინფრასტრუქტურა. ამ სფეროში არსებული მონოპოლია საშუალებას არ აძლევს ფილმების მწარმოებლებს, რომ ცოტაოდენი ფინანსური სტიმული მიიღონ. ეს კი უმთავრესი მიზეზია იმისა, თუ რატომ ცდილობენ ქართველი ფილმების მწარმოებლები კომერციულ წარმატებას ადგილობრივ ბაზარზე მიაღწიონ. უფრო მეტიც, საქართველოში კინოთეატრის მაჟურებელთა დიდი ნაწილი პოლივუდის პროდუქციას ამჯობინებს. ასე რომ, კინოთეატრის მთავარი ქსელი არ უთმობს დიდ დროს ადგილობრივ ფილმებს. საქართველოში ძალიან მცირე რაოდენობის დამოუკიდებელი კინოთეატრია. ერველივე ეს უარყოფითად აისახება ქართული ფილმის წარმოებაზე.

ინტერვენციის დოგიგური საფუძველი: უფრო განვითარებული კინოთეატრის ქსელის შემნა საქართველოში ხელს შეუწყობს ფილმის წარმოების პროცესს. თუმცა, მხოლოდ ადგილობრივი ბაზარი არ იქნება საკმარისი, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით შენარჩუნდეს ქართული ფილმი წარმოების დონე. უფრო მეტი საშუალება რომ არსებობდეს ფილმების ჩვენებისა, დროთა განმავლობაში მოხველე გაიზრდებოდა და უფრო მეტი სტიმული ექნებოდა ქართველ პროდიუსერებს ფილმების წარმოების თვალსაზრისით.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში განვითარდეს სტრატეგიული მიღმა, რათა ფილმებს მეტი შესაძლებლობები ჰქონდეთ. ამის მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს კინოთეატრების სექტორთან თანამშრომლობით. სასურველი იქნება კლუბების ჩამოყალიბება სკოლის მოსწავლეებისთვის, რომ მათ შეძლონ ფილმების ნახვა; უნდა ჩამოყალიბდეს კონტაქტები უნივერსიტეტებთან..კინოთეატრის ნებისმიერი ქსელი საქართველოში დაინტერესებული უნდა იყოს მაყურებლის რაოდენობის გაზრდით. ამისათვის საჭიროა მოსახლეობისთვის გარკვეული შესაძლებლობების უზრუნველყოფა. საერთაშორისო მაგალითებიც ცხადჰყოფს ამას. მაგალითად, კინემატოგრაფიის განათლების სისტემას დიდ ბრიტანეთში, სადაც სპეციალური პროგრამები ხორციელდება სკოლებში, მხარს უჭერენ ძირითადი კინოთეატრები, რადგან ამ გზით იზრდება კინოს მაყურებელთა რაოდენობა და ვითარდება ფილმის, როგორც კულტურული და გასართობი საშუალების ღირებულება. კიდევ ერთი ფაქტორი საქართველოში ფილმის ჩვენების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით არის დიდი ბრიტანეთის მაგალითის გათვალისწინება და **ციფრული ქსელის განვითარება**, ანუ ფილმის ჩვენებისთვის არატრადიციული ადგილების გამოყენება, როგორიცაა ბარი, ხელოვნების საგამოფენო ადგილები, ა.შ. ციფრული ჩვენება ამცირებს ფილმის გამოსვლის ხარჯებს (ფილმის ციფრული ვერსია გაცილებით იაფი ჯდება). ამიტომ დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფიის საბჭომ და ინგლისის ხელოვნების საბჭომ შექმნეს ციფრული კინოგენების ქსელი. 120 მილიონიანი ინვესტიცია განხორციელდა დიდი ბრიტანეთის 210 კინოთეატრში 240 ციფრული ეკრანის დასამონტაჟებლად ამით ბრიტანელ მაყურებელს უფრო დიდი არჩევანის საშუალება მიეცა.

5.1.3 უფლებების რაციონალიზაცია

საკითხი: დღესდღეობით ქართულ ფილმებზე საავტორო უფლება თავად ფილმების ავტორებს ეკუთვნით. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო. ამის შესახებ გადაწყვეტილება “ქართული ფილმის” საბჭომ (ყოფილმა სახელმწიფო კინოსტუდიამ) მიიღო. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი მოლაპარაკება ფილმთან დაკავშირებით მის ყველა ავტორთან უნდა გაიმართოს (იქნება ეს რეჟისორი, სცენარის ავტორი თუ კომპოზიტორი). ეს პროცესი საქმაოდ როცენდა და ხელისშემსლელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ წარმოებაში.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი:: ეს არის ქართული კინოინდუსტრიის მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც ითლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისთვის.. ამ უფლებების გამოყენება ნიშანდობლივია კომერციული თვალსაზრისით. ამჟამად მათი გამოყენება შეუძლებელია, რადგან საქმაოდ როცენდა მოლაპარაკებების წარმოება საავტორო უფლებების ამდენ მფლობელთან.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია გარკვეული ზომების მიღება, რათა შეიმქნას არქივი და მასზე ყველა უფლება ნდობით აღჭურვილ პირს გადაეცეს. დღესდღეობით ასობით ადამიანს აქვს მინიჭებული ეს უფლება, და ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათთან მოლაპარაკებების გამართვა და მასალის გამოყენება (რაც ქართული კინემატოგრაფიის მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს).

5.1.4 დისტრიბუცია, გაყიდვები და მარკეტინგი

საკითხი: ადგილობრივი სადისტრიბუციო სისტემა არასახარბიელო მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, მას ერთი კერძო კომპანია აკონტროლებს და სექტორში ფაქტობრივად არ არსებობს კონკურენცია. ეს კომპანია უზრუნველყოფს ფილმების ჩვენებასაც და დისტრიბუციასაც. მეორე მხრივ, არ არსებობს სათანადო სტრატეგია მაყურებლის

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

მოსაზიდად, განსაკუთრებით რეგიონებში.

საქართველოშო გაყიდვების აგენტები არ მუშაობენ. ამის შედეგად, ქართული ფილმები არ ხვდება ევროპული კინოეთეატრების ქსელში.

ისიც აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ფილმებისთვის მარკეტინგული საქმიანობაც არ არის სათანადოდ განვითარებული.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: ძლიერი სადისტრიბუციო ქსელის არსებობა ფილმის წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია. ადგილობრივი მაყურებლის მოთხოვნა და ადგილობრივი გაყიდვების პოტენციალი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია უცხოელი პარტნიორისთვის. ასევე აუცილებელია, მაყურებლის შეხედულებების და გემოვნების გათვალისწინება ადგილობრივ თუ პოტენციურ უცხოელ პარტნიორთან მუშაობის დროს. აქედან გამომდინარე, პროცესში გაყიდვების აგენტის ჩართვას არსებითი დატვირთვა აქვს.

მიუხედავად ამჟამინდელი დებატებისა იმის შესახებ, შეამცირებს თუ არა ციფრული დისტრიბუცია გაყიდვების აგენტის მნიშვნელობას წარმოების ციკლში, ქართული კინემატოგრაფიის განვითარებისთვის მაინც აუცილებელია ადგილის დამკვიდრება საერთაშორისო ასპარეზზე. განვითარების საწყის ეტაპზე რეკომენდირებულია გამოცდილი შუამავლების, მაგალითად გაყიდვების აგენტის მომსახურების გამოყენება ამ მიზნით.

ეფელივე ამის გათვალისწინებით, მარკეტინგი და გაყიდვები მნიშვნელოვანია ფილმის წარმოების განვითარებაში. ყურადღება უნდა მიექცეს სამიზნე აუდიტორიის დაგენერას, სცენარის მართებულობას და ფილმის გამოშვების სტრატეგიას. მარკეტინგული ელემენტები მუდმივად უნდა იყოს დღის წესრიგში, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების ფილმებთან მიმართებაში, რომლებიც ნაკლებად ცნობილია მსოფლიოში და ნაკლებად ცნობილ რეჟისორს ეკუთვნის. რადგან ასეთი ფილმებისთვის, როგორც წესი, უფრო რთულია საერთაშორისო მაყურებლის კურადღების მიპყრობა.

რეკომენდაცია: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსების მიღების უმთავრესი კრიტერიუმი უნდა იყოს მარკეტინგთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებული გეგმა. ამ შემთხვევაში, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს იმას, რომ მწარმოებლები დაიწყებენ სტრატეგიულად ფიქრს ახალი პროდუქტის შექმნისას. გარდა ამისა, ეს უზრუნველყოფს თანამშრომლობას პროდუქსერებსა და დისტრიბუტორებს შორის ადგილობრივ დონეზე.

ნათელია, რომ დღეს ბევრ კომპანიას არ შეუძლია ან არ სურს ერთმანეთთან თანამშრომლობა. თუმცა, რეკომენდაცია ამის შესახებ ნამდვილად გასათვალისწინებელია, რადგან თანამშრომლობა საფუძველს უქმნის მნიშვნელოვან პროცესებს. სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში სტრუქტურების ჩამოყალიბება ნაკლებად რთული იქნება. ამ თვალსაზრისით, კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური შემოთავაზებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება რეგიონებში ფილმების დისტრიბუციაზე. კველაზე დიდი პოტენციალის მქონე პროექტები დაფინანსებას მიიღებს, რათა ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის მოდელებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივ და საერთაშორისო დისტრიბუციასთან იქნება დაკავშირებული.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა კიდევ ერთი სფერო უნდა შეისწავლოს- ციფრული დისტრიბუცია. ცენტრმა მონაწილეობა უნდა მიიღოს

საერთაშორისო დისკუსიაში ციფრული დისტრიბუციის პოტენციალის შესახებ. კინემატოგრაფიის ცენტრმა აქცენტი უნდა გააკეთოს იმ ფაქტზე, თუ რა სარგებელს მიიღებს ციფრული დისტრიბუციის ახლადჩამოყალიბებული ბიზნეს-მოდელი ქართული ფილმების ფართოდ გარცელებისგან. კინემატოგრაფიის ცენტრი, როგორც სტრატეგიული საჯარო უწყება უფლებამოსილია ახალ ბიზნესს შესაძლებლობების მისცეს და საცდელი პრაქტიკა დაიწყოს.

ამის კარგი მაგალითია დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფიის საბჭოს ციფრული ინოვაცია ფილმების პროექტში, სადაც 12 ბიზნესი გაურთიანდა სპეციალურ პარტნიორებთან, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ფილმების ციფრულ ფორმატს და მათ გავრცელებას საერთაშორისო ბაზარზე. 12 კინო-ინდუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესი იქნა შერჩეული დიდ ბრიტანეთში 18-თვიან პროექტში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ითვალისწინებდა ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობას.

პროგრამის უკელაზე მნიშვნელოვანი ამოცანებია მიზნობრივი პროგრამის შემუშავება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-მოდელების ტრანსფორმაციას ისე, რომ გამოყენებულ იქნას ციფრული დისტრიბუციის შესაძლებლობები და ახალ და უკვე ადაპტირებულ ბიზნესს პქონდეს ინვესტირების მზაობა.

თუ სათანადო დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი დაიწყებს საცდელ პროექტს, რომლის მიზანია ციფრული დისტრიბუციის, როგორც ბიზნეს-მოდელის შესწავლა საქართველოს რეალობაში. საცდელი პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს ძლიერი ქსელის ჩამოყალიბებაზე და ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენაზე.

ადგილობრივი ფილმების გაყიდვების პოტენციალის გაზრდის მიზნით საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი შუამავლის ფუნქციას ასრულებს და ქართული ფილმები სხვადასხვა ფესტივალზე გააქვს. თუმცა, უმჯობესია, თუ ჩამოყალიბენა კომპანია, რომელიც მეტად იქნება ორიენტირებული გაყიდვებზე და ექნება გაყიდვების გრძელვადიანი სტრატეგია.

ახალი ზელანდიის გაყიდვების სააგენტო შეიძლება საუკეთესო მაგალითად ჩაითვალოს ქართული რეალობისთვის. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულს ცენტრს შეუძლია შექმნას გაყიდვებზე ორიენტირებული უწყება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მწარმოებლებისთვის და გაუწევს მათ იურიდიულ კონსულტაციას და დაეხმარება ფილმების პოპულარიზაციაში. ეს ორგანო ადგილობრივ და უცხოურ “მინიმალური გარანტიის” ინვესტიციებსაც შეუწყობს ხელს. მაგალითად, საფრანგეთში “მინიმალური გარანტია” მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაფინანსების გაზრდაში.

ზოგადად, როცა ბაზარი ადეკვატურია, ჩნდება მოთხოვნა ახალ ბიზნეს-მოდელებზე გაყიდვებისა და დისტრიბუციის სფეროში. ჯერჯერობით, წარმოება არასტაბილურია, ადგილობრივი დისტრიბუცია სუსტია და არსებობს სხვა სტრუქტურული პრობლემებიც. ამიტომ ოთვლია ადგილობრივი გაყიდვების კომპანიის ჩამოყალიბება, რომელსაც საკმარისი ფინანსები ექნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ინტერვენცია იქნება საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოკლე და საშუალო ვადიანი ზრდა.

პრიორიტეტული სამოქმედო პუნქტები

- საგანმანათლებლო და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ასპარეზზე პროფესიონალი კადრების მეშვეობით

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

- მეტი შესაძლებლობების შექმნა ფილმის დისტრიბუციისთვის სკოლებთან, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე და ციფრული კინოსეანსების ქსელის შექმნა ისეთ ადგილებში, სადაც კინოთვატრი არ არის.
- არქივზე კონტროლისა და ყველანაირი უფლების მინიჭება ნდობით აღჭურვილ პირზე
- დაფინანსების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ფილმების დაფინანსებას, მარკეტინგისა და დისტრიბუციის სათანადო გეგმას
- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ორიენტირებული უნდა იყოს ახლადაღმოცენებული ბიზნეს-მოდელების სადისტრიბუციო პოტენციალის გამოყენებაზე, რათა ქართული ფილმების ფართო მასშტაბიანი დისტრიბუცია მოხდეს.

5.2 დაფინანსება

2004 წლიდან საქართველოში სახელმწიფო წლიური დახმარება კინოინდუსტრიის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა. წელს ეს თანხა 419 000 ევროდან 930 000 ევრომდე გაიზარდა. მაგრამ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან კონკურენციის თვალსაზრისით მეტი დაფინანსებაა საჭირო. ინდუსტრიის არასაკმარისი დაფინანსება საკმაოდ მწვავე პრობლემაა, რაც აფერხებს სექტორის განვითარებას.

ქვემოთ ჩამოთვლილ შემოთავაზებებს შორის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფისკალური სტიმულირება. მაგრამ საჭიროა იმის გაცნობიერებაც, რომ ფისკალურ სტიმულს ორი სხვადასხვა ფუნქცია აქვს: ადგილობრივი კინოინდუსტრიის მხარდაჭერა და საერთაშორისო მობილური მწარმოებლების მოზიდვა ფილმის, ან მისი ნაწილის საქართველოში გადაღებასთან დაპავშირებით.

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ ქართული კინოინდუსტრიის დაფინანსების შესაძლო ვარიანტებს, მათ შორის საგადასახადო შედაგათებს, გათამაშების დაფინანსებას და ფისკალურ დაბეგორას.

5.2.1 ფილმების წარმოებისა და დისტრიბუციის მხარდამჭერი ფონდის განვითარება

საკითხი: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც ადგილობრივ კინო-ინდუსტრიას ეხმარება. თუმცა, ამჟამად მისი წლიური ბიუჯეტი - 776 901 ევრო, არ არის საკმარისი და საკმაოდ მცირეა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დაფინანსებასთან შედარებით (იხილეთ თავი 4.4.1.), ქვეყნების უმრავლესობაში პირდაპირი დაფინანსების გზით ხდება მხატვრული ფილმების წარმოება. ევროპის თითოეულ ქვეყანაში მხატვრული ფილმების პირდაპირი დაფინანსება და საგადასახდო შედაგათები სულზე დაახლოებით 4-5 დოლარს უდრის. საქართველოში ფილმების დაფინანსება გაცილებით ნაკლებია, რასაც თან ახლავს საგადასახდო შედაგათების არარასებობა.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: უფრო მეტი დაფინანსებაა საჭირო, რათა კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს საშუალება ჰქონდეს დაეხმაროს კინოინდუსტრიას დირექტულების ჯაჭვის ყველა ეტაპზე.

რეკომენდაცია: გვჯერა, რომ საქართველოს დაუყოვნებლივ სჭირდება დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება. ერთ-ერთი უმთავრესი ქმედება ამ

თვალსაზრისით უკავშირდება ფილმების წარმოებისა და დისტრიბუციის მხარდამჭერი ფონდის შექმნას. საგარაუდოდ, მისაბაძ მოდელად გამოდგება პოლონეთის მაგალითი, სადაც მსგავსი უწყება შეიქმნა 2005 წელს. ეს ორგანო წელიწადში 25 მილიონ ევროს იღებს ეროვნული კინო-ინდუსტრიის დასაფინანსებლად.

საქართველოში შეიძლება მსგავსი ფონდის შექმნა. იმისათვის, რომ წარმოების დონე გაიზარდოს და უზრუნველყოფილი იქნას მისი გრძელვადიანი სტაბილურობა გაონომიკური თვალსაზრისით, უნდა გაიზარდოს დაფინანსების ბიუჯეტი და განხორციელდეს კომერციულად ქმედითუნარიანი პროექტები. გარდა ამისა, საგრძნობლად უნდა გაიზარდოს დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, რომ შესაბამისად გაიზარდოს წარმოების მოცულობაც. დაფინანსება შემდეგ ფაქტორებზე უნდა იყოს მიმართული:

- ეროვნული შინაარსის ფილმების
- კომერციულ-შემოქმედებითი კომპანიები, რომლებიც პროექტებს ახორციელებენ
- პროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი კრიტერიუმები შემოსავლის მიღების თვალსაზრისით.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში ჩვენი რჩევაა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მოახდინოს თანხების დისტრიბუცია. საჭირო იქნება დამატებითი კვლევის ჩატარება, რათა შეფასდეს ტექნიკური დეტალები და დაზუსტდეს შესაძლო დაფინანსების მოცულობა.

5.2.2 საგადასახადო შეღავათების განვითარება

საკითხი: საქართველოში დაფინანსება მხელოდ სახელმწიფო სუბსიდიების სახითაა ხელმისაწვდომი. დაფინანსება შეზღუდულია და ვერ უზრუნველყოფს რეგულარულ წარმოებას. უცხოელი პროდიუსერები ერიდებიან საქართველოში ფილმების გადაღებას, რადგან ქვეყანა სახიფათო ტერიტორიად მიიჩნევა. გარდა ამისა, ადგილობრივი საგადასახადო სისტემაც არ არის თანმიმდევრული.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: საგადასახადო შეღავათები არის საშუალება უცხოური წარმოების მოსაზიდად. ადგილობრივი კომპანიებისთვის კი ეს არის სტიმულის მომცემი ფაქტორი კინო-ინდუსტრიაში ინკუსტიუტების თვალსაზრისით.

ნაკლებად საგარაუდოა, რომ მოკლე ხანში საქართველო გახდება ქვეყანა, სადაც უცხოელი პროდიუსერები ფილმების გადაღებას მოისურვებენ. საქმე არ ეხება მხელოდ საგადასახადო შედაგათებს, რაც შეიძლება მიმზიდველი იყოს უცხოელებისთვის. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც გადამდები ჯგუფი ჩადის სათანადო ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საქართველოში კი ყოველივე ამის დეფიციტია და ადგილობრივი ინფრასტრუქტურა არ არის მზად უმასპინძლოს მხატვრული ფილმების ორზე მეტ გადამდებ ჯგუფს. თუ ეს საკითხები არ მოგვარდა, უცხოელების ინტერესი საქართველოს მიმართ არ გაიზრდება. ადგილობრივი კონსულტაციების ფონზე ისიც ნათელია, რომ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსება მცირეა და სხვა ალტერნატიული წყაროც არ არის ხელმისაწვდომი.

ამ ბოლო დროს საქართველოში მნიშვნელოვანდ გამარტივდა საგადასახადო სისტემა. ადგილობრივი კვლევა საგადასახადო და ფინანსური საკითხების შესახებ ხაზგაზმით აღნიშნავს, რომ მთავარი პრობლემა მდგომარეობს არა გადასახადების სახეობებში, არამედ მის პროცედურულ საკითხში.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოსილება

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

რეკომენდაცია: როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების პრობლემა არა მხოლოდ ფისკალურ სტიმულირებას უკავშირდება. საქართველოში არის მკეთრი საჭიროება იმისა, რომ ფილმის წარმოების დირექტორების ჯაჭვი განვითარდეს. მაგრამ დღევანდელი საგადასახადო სისტემის გამოყენების გამარტივება მაინც ყველაზე აქტუალური საკითხია.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა გამოუშვას სპეციალური საგადასახადო ინსტრუქტაჟი კინოინდუსტრიის დაფინანსებისთვის ამჟამინდელი კანონმდებლობის საფუძველზე. ადგილობრივი კვლევის ანგარიში საგადასახადო და ფინანსური საკითხების შესახებ აქცენტს აკეთებს გადასახადების პროცედურულ სირთულეებზე და არა თავად გადასახადების სახეობებზე. ამიტომ, ამ შემთხვევაში საჭიროა პრიორიტეტების თანახმად მოქმედება. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა უხელმძღვანელოს ადგილობრივი ბიზნესისთვის საგადასახდო ინსტრუქტაჟის შექმნის სტრატეგიულ პროცესს. ამ მიზნით კინემატოგრაფიის ცენტრმა უნდა ითანამშრომლოს ფინანსურ უწყებებთან, მაგალითად ფინანსთა სამინისტროსთან და საგადასახადო უწყებასთან. ამგარად, ადგილობრივი ბიზნესი შეძლებს თანამიმდევრულად მუშაობას საგადასახადო სისტემასთან მიმართებაში.

კვლევის კიდევ ერთი სფერო არის კერძო სექტორის სტიმულირება კინოინდუსტრიაში ინვესტირებისთვის. ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა არასახარბისელობა ამ თვალსაზრისით. თუმცა, საქართველოს რეალობაში შეიძლება უნგრული მოდელის გამოყენება.

ამ მოდელში მწარმოებელი კომპანია და კერძო სპონსორი (მირითადად დიდი კომპანია) საგადასახადო შედაგათებით სარგებლობენ. ამ გარემოებაში, კორპორატიული სპონსორი ფილმის ბიუჯეტის 20%-ს უხდის მწარმოებელ კომპანიას. თავის მხრივ, კორპორატიული სპონსორი საგადასახადო შედაგათით სარგებლობს და მას უნაზღაურდება 20%-იანი წვლილი. ასეთ შემთხვევაში საგადასახდო შედაგათი სპონსორისთვის არის ინვესტიციის უკან ამოღება. მწარმოებელი კომპანიისთვის კი ეს არის ნადირი ფული. თუ ფილმი ერთობლივი ნაწარმია, მაშინ ქართველი თანამწარმოებელი 20%-იან საგადასახადო შედაგათს იღებს და ამით, წვლილი შეაქვს ფილმის ბიუჯეტში.

სამართლებრივი თვალსაზრისით, სპონსორს არ უნდა ჰქონდეს ფინანსური დაინტერესება მწარმოებელი კომპანიის მიმართ და სარგებელი არ უნდა მიიღოს სადისტრიბუციო შემოსავლისგან.

ამ მოდელის პერსპექტივის შესამოწმებლად შემდეგი ტექნიკური საკითხები უნდა მოგვარდეს:

- 1) ადგილობრივი მწარმოებელი კომპანია და თავად წარმოებაც დარეგისტრირებული უნდა იყოს ფილმის მწარმოებელ ადგილობრივ ორგანოდ (უნგრულ მოდელში ეს არის ეროვნული კინოინდუსტრიის უწყება)
- 2) ადგილობრივმა ფილმის მწარმოებელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს ფილმის პირობითი დანახარჯი, რაც შეიძლება საგადასახადო შედაგათის ზედა ზღვარი იყოს (უნგრულ მოდელში ამ ფუნქციას ეროვნული კინოინდუსტრიის უწყება ასრულებს)
- 3) ბიუჯეტი და წარმოების ხარჯები უნდა შემოწმდეს (უნგრეთში ფილმის პირობითი დანახარჯი განისაზღვრება როგორც ნებისმიერი გადასახადი ფილმის წარმოებასთან დაკავშირდებით. ამ პროცედურის შესრულება შესაძლებელია წარმოების ანგარიშ-ფაქტურის ეროვნული კინემატოგრაფიის უწყებისთვის წარდგენით).
- 4) სპონსორმა უნდა მიიღოს სერთიფიკატი შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურების

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

გადახედვის შემდეგ, სერთიფიკატის აღების შემდეგ სპონსორს შეუძლია ისარგებლოს საგადასახადო შედაგათით იმ პირობით, თუ მან ნამდვილად შეიტანა წვლილი ფილმის წარმოების პროცესში (ნადი ფულის გადარიცხვის სახით).

ფილმის წარმოების პროცესის პირდაპირი მხარდაჭერის ალტერნატიული მეთოდი ახალი ზელანდიის მოდელია.

ფილმის მწარმოებელი ქართული კომპანია შეიძლება გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან, თუ ის ეროვნულ ფილმს გადაიღებს. ახალ ზელანდიაში ეს სისტემა საქმაოდ დახვეწილია და ითვალისწინებს დროებით და საბოლოო სერთიფიცირებას ეროვნული ფილმების გადაღებაზე. საქართველოში კინო-ინდუსტრია ჯერჯერობით არ არის სათანადოდ განვითარებული და ამიტომ ასეთი მექანიზმის შემოღება არ იქნება ადვილი.

თუმცა, კარგი იქნება, თუ საქართველოს მთავრობა 3-4 წლის განმავლობაში კინო-ინდუსტრიას საშემოსავლო გადასახადისგან გაათავისუფლებს. ეს საცდელი მოდელი შეამოწმებს პროცესის ქმედითუნარიანობას და გეგმის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს დაადგენს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სტრატეგიული რეორგანიზაციაც ძალზე მნიშვნელოვანია: მან უნდა ჩატაროს ფილმების მწარმოებელი კომპანიების მონიტორინგი და სერთიფიცირება. საშემოსავლო გადასახადის გაუქმება უნდა მოხდეს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის საფუძველზე, რომელიც კომპანიას აძლევს ფილმების მწარმოებელი ქართული კომპანიის კვალიფიკაციას, ხოლო ფილმს - ქართული ეროვნული ფილმის სტატუსს.

გეგმის განხორციელების პერსპექტივა შესაბამისმა ფინანსურმა უწყებებმა უნდა შეისწავლონ. იმდენად, რამდენადაც საქართველოში საგადასახადო სისტემა გამარტივდა, დამატებითი საგადასახადო შედაგათები შეიძლება აღარ დაწესდეს.

საქართველოს ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ფილმის წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამ შემთხვევაშიც უნგრული მოდელი შეიძლება საუკეთესო ადგილობრივი ალტერნატივა აღმოჩნდეს.

მთავრობამ გარკვეული საგადასახადო შედაგათები უნდა წარმოადგინოს, თუ ადგილობრივი ან უცხოური პროდიუსერები (კომპანიები) კინო-ინდუსტრიის ინფრასტრუქტურაში დაბანდებენ. მაგალითად, უნგრეთში გადამხდელმა შეიძლება მოითხოვოს 10 წლამდე პერიოდის შედაგათი, თუ ინვესტიცია გადააჭარბებს 100 მილიონ ფორინგს (400 000 ევროს). ფინანსთა სამინისტრო გასცემს ლიცენზიებს საგადასახადო შედაგათებზე და პროცენტული მაჩვენებელი დამოკიდებული იქნება ინვესტიციების ლოკაციაზე, მაგალითად, ინვესტიციების 35% ბუდაპეშტში. გადამხდელმა ასევე შეიძლება ისარგებლოს ფასდაკლებით უძრავ ქონებასა და აღჭურვილობაზე (15-50%-იანი ფასდაკლება უნგრეთში). მსგავსი სქემა შეიძლება შესწავლილი იყოს საქართველოს მაგალითზე.

5.2.3 დაფინანსების დამატებითი წყაროები:

საკითხი: ქართული კინემატოგრაფიის სტრატეგიული განვითარებისთვის საჭირო კაპიტალის შესაქმნელად დამატებითი ფინანსური შედაგათები შეიძლება გახდეს საჭირო. გარდა ამისა, ფილმების წარმოებისა და დისტრიბუციის მხარდამჭერი ფონდის ჩამოყალიბებამ შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს კომერციულ სექტორში და ვერ მოხერხდეს სათანადო კანონმდებლობის მიღება. ამიტომ,

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

სავარაუდოდ, საქართველოს დასჭირდება შემოსავლის სხვა პოტენციური წყაროების მოძიება

5.2.3.a გათამაშების დაფინანსება

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: გათამაშების დაფინანსება კინო-ინდუსტრიის დამატებითი დაფინანსების წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც ეს ბევრ სხვა ქვეყანაში ხდება, მაგალითად გაერთიანებულ სამეცნიეროსა და ახალ ზელანდიაში.

ეროვნული გათამაშებების ინიციატორი და ორგანიზაციონი ქვეყნის ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობაა. გათამაშებაში ბევრი პრიზია. ზოგიერთი მთავრობა ამ მეოდეს კანონგარეშე აცხადებს, ზოგი კი პირიქით. გათამაშება ანუ ლატარეა დამატებითი შემოსავლის წყაროა. ზოგ ქვეყანაში ეროვნული გათამაშებებიდან მიღებული შემოსავალი კინო-ინდუსტრიის დაფინანსებისთვის გამოიყენება.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კინემატოგრაფიის საბჭო ეროვნული ლატარეის ფულს იყენებს ახალბედა ფილმების მწარმოებლების დასახმარებლად, ისეთი საინტერესო ფილმების დასაფინანსებლად, როგორიცაა *'Touching the Void'* და *'Vera Drake'*. ამით მაყურებლებს საშუალება ეძლევათ მსოფლიოს საუკეთესო ფილმები ნახონ. ეროვნული ლატარეიდან მიღებული თანხა ასევე გადაეცემა რეგიონალურ სააგენტოებს, რომლებიც შემდეგ აფინანსებენ ფილმების წარმოებას. ეს თანხები ხშირად ინვესტიციების ფორმას იძენს და მოგვიანებით შეთანხმების საფუძველზე ხდება ინვესტიციის კომპენსირება. დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფიის საბჭო ეხმარება კინო-ინდუსტრიას განვითარების, ახალი კინოსა და პრემიერ ფონდების მეშვეობით.

ეროვნული გათამაშებების ფონდი მნიშვნელოვნად ზრდის იმ კაპიტალის მოცულობას, რაც დიდ ბრიტანეთში კულტურის სფეროს დაფინანსებაზე იხარჯება. ეროვნულ ლატარეას 1994 წელს ჩაეყარა საფუძველი. მისი წყალობით ხელოვნების სფერო წელიწადში 250 მილიონზე მეტს იღებს. იგივე თანხა გადაეცემა სპორტს, საქველმოქმედო საქმეს, მემკვიდრეობას და სხვა აქტივობებს. ეროვნულ ლატარეას მხოლოდ კაპიტალური პროექტების დაფინანსება შეუძლია. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით, ფილმის წარმოებაზე დახარჯული თანხა აღიქმება როგორც კაპიტალური დანახარჯი, რადგამ საბოლოო პროდუქტი წარმოადგენს კაპიტალურ აქტივს.

რეკომენდაცია: საქართველომ უნდა შეისწავლოს ლატარეის პრინციპის გამოყენება კინონდუსტრიის განვითარებაში. როგორც კინო-ინდუსტრია, აგრეთვე კულტურის მთელი სექტორი შეიძლება დაფინანსდეს ეროვნული ლატარეის მიერ. თუმცა, ჯერჯერობით ქვეყანაში არ არსებობს ასეთი ლატარეის ცნება. კანონმდებლებმა უნდა გაითვალისწინონ შესაძლო ვარიანტები და გამოიყენონ გათამაშების არსებული სახეობები კინოინდუსტრიის დასახმარებლად.

რა თქმა უნდა, ეს საქმაოდ გაბედული ნაბიჯი იქნება და მთავრობამ სათანადოდ უნდა შეისწავლოს განხორციელების გეგმა. არსებობს გარკვეული შესაძლებლობები, რაც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა შეიძლება მთავრობასთან ერთად განიხილოს.

5.2.3.b საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: საერთაშორისო ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ქვეყანა უზრუნველყოფს დაფინანსებას საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეშვეობით. ბევრ ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლობა, როგორც ასეთი,

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისა და პოპულარიზაციის საქმეში

დიდ ბრიტანეთში მეოთხე არხი და ბიბისი აფინანსებენ კინო-პროექტებს. მეოთხე არხის განყოფილებამ “ფილმი ოთხი” ბევრი პოპულარული ფილმი დააფინანსა წლების განმავლობაში. მეოთხე არხი 1982 წელს გაისწა. მას დიდი წელილი შეაქვს ინოვაციურ და ექსპერიმენტულ პროექტებში, ტელევიზიაში და კინო-ინდუსტრიაში. 1982-დან 2000 წლამდე ის ძალიან დაეხმარა ბრიტანულ კინო-ინდუსტრიას, რომელსაც როგორიც პერიოდი პქონდა. მის მიღწევა შესაძლებელი გახდა მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რომლებიც სუფთა ბრიტანული ხასიათის იყო.

მაგალითად, მაიკ ლეიპის ბევრი ფილმი ბრიტანულ საზოგადოებაზე “ფილმი ოთხის” დაფინანსებულია. 1990-იან წლებში ამ განყოფილებამ ინვესტიცია ჩადო ისეთ დიდ პროექტში როგორიცაა *Four Weddings and a Funeral*. მან არაერთი ახალგაზრდული ფილმი დააფინანსა, *Shallow Grave*, *Trainspotting*, სადაც ვარსკვლავების გუნდია თავმოყრილი: მსახიობი ევან მაკრევორი, რეჟისორი დენი ბოილი, პროდიუსერი ენდრიუ მაკდონალდი და სცენარისტი ჯონ პოდჯი. ფილმი *Trainspotting* 1.7 მილიონი დაჯდა. ის მსოფლიო პიტი გახდა და 20-ჯერ მეტი შემოსავალი მიიღო.

რეკომენდაცია: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა შეისწავლოს დაფინანსების ალტერნატიული წეაროები ფილმების პროექტებისთვის სახელმწიფო მაუწყებელი კომპანიების დახმარებით. ამჟამად, ამ თვალსაზრისით დადგებითი ტენდენცია იკვეთება. მაგალითად, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კერძო კომპანიამ დააფინანსებს საცდელი პროექტი “კონფლიქტის ზონა” და ის მაღე გამოვა ასპარეზზე. ძალიან მისასალმებელი ფაქტია, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებელი და ის აფინანსებს პროექტებს.

აღსანიშნავია პოლანდიური მოდელიც, რომელიც შესაძლოა ადაპტირებული იქნას ქართულ რეალობაში.

მაგალითი 2: მაუწყებელთა ვალდებულება ფილმების დაფინანსების შესახებ: პოლანდიური მოდელი

პოლანდიური მაუწყებელი ორგანიზაციები ფუნდამენტალურ როლს ასრულებენ ფილმების წარმოების საქმეში კინემატოგრაფიაში აქტიური მონაწილეობა ნებაწილებითია და ეს ტენდენცია 2005 წლიდან აღინიშნება. საზოგადოებრივი მაუწყებლებმა გამოიცხადება, რომ მათ შეიძლება საცდელი პროექტი კინემატოგრაფიის დარგში, რაც ითვალისწინებს კომერციული ინვესტიციებს მხატვრული ფილმების გადაღებაში.

საზოგადოებრივ მაუწყებელთა წელილი პირდაპირი ინვესტიციის ფორმას იძენს. გარდა ამისა, არსებობენ დამფინანსებული ორგანიზაციები, რომელთა მიზანია იმ პროექტების დაფინანსება, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლები არიან ჩართული. კომერციულ მაუწყებლებს უმნიშვნელო როლი აქვთ ამ საქმეში, მაგრამ ახლახანს, ერთერთმა მთავარმა კომერციულმა მაუწყებლებმა პოლანდიაში “არ-ტი-ელ ნედერლანდმა” შეიძლება კინემატოგრაფიის ინვესტირების პოლიტიკა.

პოლანდიის კანონში ერთადერთი დებულება, რომელიც რელევანტურია ამ თვალსაზრისით წარმოადგენს მედიის შესახებ აქტის 170-ე ნაწილს. ის ეხება ფონდს, რომელიც ეხმარება რადიოსა და ტელევიზიის მაუწყებლებს. აღნიშნული ფონდი 1988 წელს დაარსდა. მისი მიზანი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა წარმოების ხარისხის განვითარების აუთით. ფონდი აფინანსებს მხოლოდ სახელმწიფო მაუწყებლებს. დაფინანსება ხელმისაწვდომია მხატვრული ფილმებისთვის. თუ მათ აქვთ კულტურული მნიშვნელობა, მას შემდეგ რაც დახტური მოვა პოლანდიის კინემატოგრაფიის ფონდიდან,

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

აღნიშნულ ფონდს “სტიფოს” უწევს გადაწყვეტილების მიღება ფინანსების გამოყოფის შესახებ.

მედიის შესახებ აქტის 170.5-ე ნაწილში ნათქვამია, რომ კოველ წელს საზოგადოებრივ მაუწყებელთა სარეკლამო შემოსავლის მინიმუმ 1/16 ვადაეცემა ფონდ სტიფოს.” საშუალოდ ეს თანხა 16 მილიონ უკროს უდინის წელიწადში აღსანიშნავია, რომ ვარდა ამისა, განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტრო პირდაპირ გადასცემს “სტიფოს” მისი შემოსავლის მინიმუმ 1/16-ს. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნულ ფონდს 15.621.384 უკრ გადასცა 2004-2008 წლებში.

ამ თანხიდან 0.8 მილიონი უკრო განკუთვნილია “სტიფოს” მიერ საზოგადოებრივ მაუწყებლების დაფინანსებისთვის მხატვრული ფილმების საწარმოებლად. “სტიფოს” აგრეთვე აფინანსებს დოკუმენტურ ფილმებს და ანიმაციურ ფილმებს, რომელთა ნაწილი კიოთებატრებშიც გამოდის.

ფონდი პოლანდიის კულტურის სამინისტრომ დააფუძნა, მაგრამ აგზონომიური უფლებებით სარგებლობს, ის თავად აღგენს საკუთარ პოლიტიკას და იდებს გადაწყვეტილებებს, რომელ პროექტებს დაუჭიროს მხარი. სამინისტრო არ ერევა ფონდის საქმეებში, თუმცა ფონდი ანგარიშვალდებულია მის წინაშე. “სტიფოს” მიერ მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება სწორედ ფონდის შიდა გადაწყვეტილებაზეა დამოუკიდებული და არ წარმოადგენს იურიდიულ კალდებულებას.

5.2.4 პრიორიტეტული სამოქმედო პუნქტები

- დამატებითი დაფინანსების მიღება შესაძლებელია კინოსა და ტელევიზიის რეკლამებიდან შემოსავლის 1.5%-იანი დაბეგვრიდან, საკაბელო და სატელიტური მაუწყებლობის მოგებიდან, ფართომასშტაბიანი მაუწყებლობიდან და სათამაშო ბიზნესიდან. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს წარმოების დაფინანსების ფონდის შექმნას.
- საჭიროა, რომ საგადასახადო ინსტრუქციები ფილმის წარმოებასთან დაკავშირებით ეფუძნებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. ამ საკითხებზე შესაძლებელია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და შესაბამის საფინანსო უწყებების ერთობლივი მუშაობა.
- კერძო სექტორის სტიმულირება კინოინდუსტრიის დასაფინანსებლად საგადასახადო შედავათებითაა შესაძლებელი, როცა კერძო ინვესტორი ფილმის ბიუჯეტის 20%-ს უხდის მწარმოებელ კომპანიას. თავის მხრივ, კორპორატიული სპონსორი სარგებელს იღებს საგადასახდო შედავათიდან და ინაზღაურებს 20%-იან წვლილს საშემოსავლო გადასახადის სახით.
- შესაძლებელია, რომ შესწავლილ იქნას ფილმების მწარმოებელთა გადასახადებისგან გათავისუფლება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ ისინი დააკმაყოფილებენ მოთხოვნას ეროვნული ფილმების წარმოებასთან დაკავშირებით.
- საგადასახადო შედავათების დაწესება, თუ ადგილობრივი ან უცხოელი პროდიუსერები (კომპანიები) ინვესტიციას ახორციელებენ კინოწარმოების ინდუსტრიის განვითარებაში.
- ეროვნული ლატარეის დაფინანსების მოდელი შემოღება, თუ საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს აღნიშნულ ინიციატივას.
- ფილმების პროექტების დაფინანსების წყაროების განვითარება მთავარი საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით, როგორც მიღებულია პოლანდიურ მოდელში (ნაწილი 5.2.3.).

5.3 სტრატეგიული მხარდაჭერის განვითარება

“ეისითის” მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამჟამად კინოინდუსტრიის სტრატეგიული მხარდაჭერის გეგმა არ არის სათანადოდ შემუშავებული.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი მთავარ როლს ასრულებს სექტორის განვითარებაში, თუმცა მას მხოლოდ შეზღუდული ბიუჯეტი აქვს. მაინც მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ისეთ ქვეყნებში დამკვიდრებული მოდელის მიხედვით მოქმედებს, სადაც კინო-ინდუსტრია დინამიურად ვითარდება. ანგარიშში ნახვენებია რამდენიმე მეოთვის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სექტორის მსარდაჭერა მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში. აღნიშნული რეკომენდაციები დამოკიდებულია დაფინანსების დამატებით წესროგებზე, რასაც უზრუნველყოფს მანამდე მოცემული რეკომენდაციების შესრულება

5.3.1 ქსელური კაპიტალის განვითარება

საკითხი: ქართული კინოინდუსტრიის ძირითადი სუსტი მხარე არის ქსელური შესაძლებლობების და ცოდნის გაზიარების ნაკლებობა. ეს კი დაკავშირებულია სტრატეგიული მხარდაჭერის რესურსის ნაკლებობასთან, რასაც შეუძლია სექტორში გ.წ. “ქსელური კაპიტალი” განვითარება.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: სფეროში ჩატარებულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიის ქსელის განვითარება ინოვაციებისა და ცოდნის გადაცემის, ისევე როგორც ეკონომიკური ზრდის საწინდარია. ქსელის განვითარება საშუალებას აძლევს ფირმებს ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და პრაქტიკა და საფუძველი დაუდონ ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას.

ამიტომ საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დირებულების ჯაჭვის გველა ასპექტისთვის სათანადო შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

რეკომენდაცია: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა ითანამშრომლოს უნივერსიტეტებთან და ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, რათა შეიქმნას ცოდნის გაზიარების შესაძლებლობები სფეროს ნებისმიერი ასპექტისთვის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია აქცენტის გაკეთება ცალკეულ ფაქტორებზე, როგორიცაა წარმოების ბოლო ფაზა, ციფრული ფილმების შექმნა, ა.შ. ამ საკითხების განხილვისას სასურველი იქნება საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, რათა მათ თავიანთი გამოცდილების შესახებ ისაუბრონ და გარდა ამისა, ურთიერთობები დამყარდეს სექტორებს შორის.

შემოქმედებითი ინდუსტრიის ქსელის საინტერესო და წარმატებული მოდელი ფუნქციონირებს ლონდონში. ამ მოდელს ეწოდება “სინკი,” რომელიც ორიენტირებულია ახალ აზროვნებაზე, ინოვაციებზე, კომერციულ თანამშრომლობაზე და შემოქმედებით პარტნიორობაზე. თუ დირებულების ჯაჭვის პროცესი წარმატებით განხორციელდება, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი შეძლებს სექტორის ეკონომიკურ განვითარებაზე აქცენტის გაკეთებას.

5.3.2 ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ

საკითხი: ინფორმაცია ადგილმდებარეობის, ნიჭის, შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ არ არის სათანადო ორგანიზებული საქართველოში. ეს კი დაბრკოლებას წარმოადგენს ადგილობრივი და პოტენციური უცხოელი პროდიუსერებისთვის, რომლებსაც სურ ფილმის გადაღება საქართველოში. ზოგიერთი კერძო ორგანიზაცია ცდილობს ამ ინფორმაციის შეგროვებას და ბაზის შექმნას, მაგრამ პროცესი ჯერჯერობით არაეფექტურია.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძველი: მწარმოებლების მოზიდვის და ქვეყნის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით, ისევე როგორც ადგილობრივ

მომსახურებასა და ნიჭიერ კადრებზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით, საჭიროა ფართომასშტაბიანი სამუშაოს ჩატარება. ორგანიზებული ქმედება უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით, კვლევის გაუმჯობესებას, სახელმწიფო მაღალჩინოსნებისთვის მთელი რიგი საკითხების დღის წესრიგში დაყენებას, ა.შ. ამ ფართომასშტაბიანი სამუშაოს შედეგი იქნება უკეთესი მარკეტინგი და პოპულარიზაცია, რაც თავის მხრივ, გულისხმობს პირდაპირი და არაპირდაპირი დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და ტურიზმის განვითარებას.

რეკომენდაცია: ევროპის კინემატოგრაფიის კომისიის ქსელი არის არაკომერციული ასოციაცია, რომელიც ეხმარება ევროპულ კინო-ინდუსტრიას და კულტურას. ამჟამად ასოციაციაში 60 წევრია 20 ქვეყნიდან. ისინი ერთობლივად მუშაობენ და საერთო მიზნით ხელმძღვანელობენ, რომელიც უკავშირდება ფილმების წარმოების მხარდაჭერას. ადგილობრივ დონეზე ყველა წევრი თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს.

რეკომენდირებულია, რომ საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა განიხილონ ეს მქანიზმი და შეისწავლონ ერთობლივი ქსელის შექმნის საკითხი. ერთი მხრივ, ასეთი ქსელი ხელს შეუწყობს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მეორე მხრივ, ადგილობრივი უწყება იმუშავებს, რომელიც პროფესიონალურ მომსახურებას შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს.

ქვეყნებში სხვადასხვა სახის კომპანიები მოღვაწეობენ. ესენი არიან ფონდები ან ცენტრები (ბულგარეთი, ირლანდია, ა.შ.) ან დამოუკიდებელი კომისიები (საფრანგეთი, ფინეთი, ა.შ.). ორივე სახის ორგანიზაცია ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებს დაფინანსებას.

ქართულ რეალობაში, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სტრატეგიულ მნიშვნელობას და იმ ფატქს, რომ ამ სექტორში არ არსებობს სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა დაიწყოს მოღაპარაკება ევროპის კინემატოგრაფიის კომისიის ქსელთან, რათა შეისწავლოს იქ გაწევრიანების პოტენციალი.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადგილობრივი განყოფილება შეიძლება შეიქმნას, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იქნება პასუხისმგებელი. დაფინანსების ფორმები და სქემის თავისებურებები სათანადოდ უნდა გამოიკვლიონ.

მაგალითი 3: კინო-ინდუსტრია სერბეთში

“კინო-ინდუსტრია სერბეთში” 2009 წელს დაფუძნდა, რომლის მიზანია საურთაშორისო თანამდებობების სერბეთში ფილმების გადასაღებად. ორგანიზაციის დაფუძნება 20-ზე მეტი მწარმოებელი კომპანიის და აშშ-ს განვითარების სააგენტოს კონკურენტუნარიანობის პროექტის ინიციატივა იყო. ვაიხსნა სპეციალური ვებ-გვერდიც. ერთეულები ეს იმიტომ გაკეთდა, რომ კინო-ინდუსტრია სერბეთში ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია. აშშ-ს განვითარების სააგენტოს მორიგი ნაბიჯი იქნება სერბეთის კინემატოგრაფიებთა კომისიის ჩამოყალიბება.

ხატონების კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმაც უნდა გამოიკვლიოს დაფინანსების ამგვარი წევრობი და საურთაშორისო მასშტაბით უნდა ეძებოს პარტნიორები.

ამ კონტექსტში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმაც უნდა შეძლოს დასაბუთება, თუ რატომაა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მსგავსი კომისიის ჩამოყალიბება. ამისთვის ცენტრმა უნდა გაითვალისწინოს და შეასრულოს რეკომენდაციები, რომელიც მოცემულია ნაწილში 5.3.3

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ხერბერთის შემთხვევაში ფილმის წარმოების ხარჯები 20%-ით ნაკლებია, ვიდრე ჩეხეთსა და უნგრეთში. სერბეთი მეორე ადგილზე დგას მსოფლიოში უცხოური ფილმების გადაღების ოკალსა ზრისით. ქვეყანა მაღალი დონის მომსახურებას სთავაზობს გადამდებ ჯგუფს. აქეს საეციალური დაბორატორიები საეცეფექტებით, დიდი სტუდია და სხვა ტექნიკური აღჭურვილობები. ინგლისური ენა ძალიან პოპულარულია სერბეთში. ბელგრადი დამის ცხოვრების ურთერთი საუკუთხეო მაგალითობა. ფისკალური შედავათები კინო-ინდუსტრიაში მოიცავს 18%-იან დღგს შეღავათს. <http://www.filminserbia.com/ProductionServices.aspx>

5.3.3 კვლევა და მონაცემები

საკითხი: ამჟამად საქართველოში არ არსებობს ემპირიული კვლევის მონაცემები შემოქმედებით ინდუსტრიასთან დაკავშირებით. ეს საკმაოდ ფართო საკითხია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კინოინდუსტრიისთვის.

ინტერვენციის დოგიკური საფუძველი: შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების საერთაშორისო პრაქტიკა და ადგილობრივი კინოწარმოება ადასტურებს კვლევის შედეგებისა და მონაცემების შეგროვების აუცილებლობას. აღნიშნული ინფორმაცია კანონმდებლებს უსსნის სექტორის ეკონომიკურ გავლენას, მისი განვითარების ხელისშემსრულ ბარიერებს და ეკონომიკური განვითარების პოტენციალს. ეს ინფორმაცია გამოიყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკის შემუშავების, სექტორის ლობირების და მისი ინტერესების პოლიტიკურ სპექტრში გატარებისთვის. გარდა ამისა, მისი მეშვეობით კანონმდებლები შეძლებენ, რომ მონაცემთა ბაზის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები ინგესტიციების თაობაზე, რაც ასე მნიშვნელოვანია შეზღუდული რესურსების პირობებში.

რეკომენდაცია: ჩვენი რეკომენდაციაა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ჩამოაყალიბოს კვლევისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელიც სექტორის სხვადასხვა ასპექტში ჩაატარებს სათანადო კვლევას. თუმცა საჭირო იქნება სიღრმისეული ემპირიული კვლევა, რომელიც უფრო ნათელ წარმოდგენას შექმნის სექტორის მოცულობასა და გავლენაზე, ასევე სექტორის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე.

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა დაიწყოს ყოველწლიური კვლევითი პროგრამა, რათა დაზუსტდეს პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, სფეროში დასაქმებულთა და დამსაქმებელთა პრობლემები და ტრენინგის გამოცდილება ჩვენ გთავაზობთ დიდ ბრიტანეთის „სკილსეთის“ მოდელს, რომლის ადაპტირება შეიძლება ქართულ რეალობაში.

მაგალითი 4: “სკილსეთი”

“სკილსეთი” არის დიდი ბრიტანეთის ურთერთი პროგრამა, რომელიც სწავლობს კადრების საკითხს კინოინდუსტრიაში. აღნიშნული პროგრამა შემოქმედებით მედია ინდუსტრიებს სთავაზობს პროფესიულ მომზადებას, რათა მოხდეს ინდუსტრიის კონკურენტულობის და სერიალურობის შენარჩუნება.

“სკილსეთი” ორიენტირებულია მხატვრული ფილმების შემოქმედებითი ჯგუფის შესწავლაზე და ამ პროცესში ის თანამშრომლობს დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფიის საბჭოთან. მუშაობის პროცესში ხდება ინდუსტრიების მოცულობის და ფორმის განსაზღვრა, სფეროში დასაქმებულთა და დამსაქმებელთა პრობლემების გაცნობა და სამომავლო პერსპექტივის დასახვა. ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია სფეროსთვის და ასევე მთავრობისთვის, რომ მას ხრული წარმოდგენა პქონდეს შემოქმედებითი მედია ინდუსტრიების მოცულობასა და ფორმაზე.

„სკილსეთის“ და დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფიის საბჭოს მიერ ჩატარებულ კვლევებში

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ხაუბარია პრიტანელი კინოსწარმატებრიის 10 000 წევრიანი სამუშაო ჯგუფზე, მათ მუშაობაზე, ტრენინგებზე, პრაქტიკაზე, კვალიფიკაციაზე და დემოგრაფიულ სურათზე. ეს კვლევა ეხმარება დიდი პრიტანელი კინემატოგრაფიის საბჭოს პარტნიორებთან მუშაობაში და გეგმა ზომიერი დაფინანსების უზრუნველყოფაში. ამ თვალსაზრისით, მონაცემებს გადამწვერი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

5.3.4 შეთანხმებები ერთობლივი წარმოების შესახებ

საკითხი: ერთადერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლესაც საქართველო აწერს ხელს არის ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ ევროპული კონვენცია. ხელშეკრულების რატიფიცირება 2001 წელს მოხდა, მაგრამ ის ჯერ არავის გამოუყენებით, როგორც თანამშრომლობის უმთავრესი საშუალება. უფრო მეტიც, ადგილობრივ პროდიუსერებს ისეთი შთაბეჭდილება აქვთ, რომ საქართველო არც არის ამ კონვენციის წევრი. რადგან საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი, ამიტომ მეტიც პროგრამების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. დარდა ამისა, საქართველო არც EURIMAGES-ის წევრია.

ინტერვენციის დოგიკური საფუძველი: შეთანხმება ერთობლივი წარმოების შესახებ, როგორც წესი, ზრდის ფილმის დაფინანსების შესაძლებლობებს. ძალიან ხშირად ფილმის ერთობლივი წარმოების მიზეზი სწორედ დაფინანსების პოტენციალის გაზრდა, ვიდრე შემოქმედებითი თანამშრომლობა. თუმცა, შემოქმედებითი თანამშრომლობის მაგალითებიც არსებობს. საქართველოში დაფინანსების წეარ კინოინდუსტრიისთვის ძალიან შეზღუდულია. ერთობლივი წარმოების შესახებ შეთანხმება კი შეიძლება იყოს ალტერნატიული გზა დაფინანსების გაზრდისთვის. თუ რეგიონის რთულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, დღესდღეობით ნაკლებად სავარაუდოა ამ კუთხით ოფიციალური თანამშრომლობა.

ქართველ მწარმოებლებსა და ევროპელ პროფესიონალებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ევროპულ ინიციატივაში მონაწილეობის მიღება. ერთ-ერთი ასეთია „მედია“ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული და თეორიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. დაფინანსების და გამოცდილ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაზრდის თვალსაზრისით სასურველია განხილულ იქნას EURIMAGES- ში გაწევრიანების საკითხი.

რეკომენდაცია: ქართველი პროდიუსერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული წარმოებისა და ერთობლივი წარმოების შესაძლებლობების სათანადო ცოდნა. ამ თვალსაზრისით საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის როლი არსებითა. ცენტრმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის და მითითებების მიწოდება კინოინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის.

ამიტომ, ვიდრე დაიწყება მომავალ პარტნიორებთან ერთობლივი წარმოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხის განხილვა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა უზრუნველყოს, რომ ევროპული კონვენცია ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ გამოიყენება, როგორც თანამშრომლობის საშუალება.

საწყის ეტაპზე კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა მიიღოს კომპეტენტური ორგანოს სტატუსი, რაც იმის გარანტი იქნება, რომ ადგილობრივი მწარმოებლები ინფორმირებული იქნებიან მათ შესაძლებლობებზე. სასურველია, რომ მომზადდეს ხელშეკრულების შემაჯამებელი განმარტებითი ანგარიში ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. აქტიური თანამშრომლობა სხვა წევრ ქვეყნებთან და შესაბამის ორგანოებთან პარტნიორური პარტნიორობის საწინდარია.

იმისათვის, რომ “მედია” პროგრამის დაფინანსება ხელმისაწვდომი იყოს, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს “მედიას” წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობას. ამჟამად “მედია” პროგრამაში სერიოზული ცვლილებები ხორციელდება. პროგრამა იწვევს ევროკავშირის წევრებს სათანამშრომლოდ. ესაა მოსამზადებელი პერიოდი იმისათვის, რომ შემუშავდეს საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირს, აზისა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის პროგრამისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღოს “მედია ინტერნეშენალის” მიმდინარე კონსულტაციებში (მორიგი დისკუსია ტარდება 2009 წლის განის ფილმების ფესტივალზე). ამაში გამოხატული იქნება თანამშრომლობის სურვილი და აღნიშნული სტრატეგიული სვლა უზრუნველყოფს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებას. კინემატოგრაფიის ცენტრის მიერ ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა არსებითი მნიშვნელობისაა საცდელი პროექტების განხორციელებაში.

EURIMAGES- ში გაწევრიანების პერსპექტივა სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი. ერთობლივი წარმოების მექანიზმების გარდა საქართველოსთვის ხელსაყრელი იქნება ფილმის დისტრიბუციაში მხარდაჭერის მიღება. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარება, რომლებისთვისაც ნაკლებად ხელმისაწვდომია “მედია პროგრამა.” **EURIMAGES-** ში გაწევრიანებისთვის გარკვეული მოთხოვნების დაკავშირებებაა საჭირო, მაგალითად სათანადო კანონმდებლობა, საერთაშორისო მოლაპარაკებების სქემა, ტექნიკური ინფრასტრუქტურა. ა.შ.. ამიტომ საქართველო უნდა მოემზადოს **EURIMAGES-** ში გაწევრიანებისთვის და ინტენსოს საჭირო კრიტერიუმების დაკავშირებაზე, რაც მოცემულ ანგარიშშია აღნიშნული.

იხილეთ http://www.coe.int/t/dg4/eurimages/Source/Regulations/CriteresAdhesion_en.pdf.

ადგილობრივი პროდიუსერები არ არიან ინფორმირებული “კიევის” ინიციატივაზე, რომელსაც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი უწოდებს ერთ-ერთ საერთაშორისო პროექტს. **რეკომენდირებულია**, რომ ამასთან დაკავშირებით გამოუშვან საინფორმაციო გაზეთი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ როგორ უწყობს ხელს კიევის ინიციატივა რეგიონალურ თანამშრომლობას შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში და სპეციფიკურ აქტივობებს, რაშიც ჩართულია ქართული კინო-ინდუსტრია.

უფრო ღრმადაა შესასწავლი რომელი ქვეყანა იქნება საინტერესო საქართველოსთვის, რომ გაფორმდეს ხელშეკრულება ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ. როგორც წესი, ასეთი ოფიციალური თანამშრომლობის უკან დგას შედავათები, რომლითაც ორივე ქვეყანა სარგებლობს. ოფიციალურ ერთობლივ წარმოებას იგივე სტატუსი აქვს, რაც ეროვნულ ფილმს და ამიტომ, ორივე მხარე სარგებლობს ფინანსური შედავათებით.

ერთობლივი წარმოების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა უნდა გაითვალისწინოს, შეუძლია თუ არა საქართველოს მიმზიდებული პირობები შესთავაზოს პარტნიორ ქვეყანას. რისი შეთავაზება შეუძლია საქართველოს პროფესიონალი კადრებისა თუ მომსახურების თვალსაზრისით? თუ პროფესიონალიზმის დონე და ინფრასტრუქტურა არ არის სათანადო სიმაღლეზე, მაშინ ვერაფერი მოიზიდავს უცხოელ პარტნიორს. მაგალითად, საფრანგეთში სარკოზის მთავრობამ წამოაყენა ინიციატივა 20%-იანი საგადასახადო შედავათის შესახებ საერთაშორისო წარმოებისთვის. ამ კატეგორიაში მოსახვედრად ხარჯების მინიმალური ზღვარი 1 მილიონი ევრო უნდა იყოს, მაქსიმალური კი 4 მილიონი ევრო. ამგვარად, თანამწარმოებელი ქვეყანა

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

20%-იანი შედავათით სარგებლობს და იყენებს პროფესიონალების სერვისებს. თუ საქართველოში კინო-ინდუსტრია სათანადოდ განვითარდება, მაშინ შესაძლებელი იქნება მოლაპარაკებების დაწყება ერთობლივ წარმოებაზე. დღესდღეობით კი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა აქცენტი უნდა გააკეთოს ადგილობრივი კადრების პროფესიულ მომზადებაზე და სექტორის კონსოლიდაციაზე.

5.3.5 სექტორში თანამშრომლობის გაფართოება

საკითხი: ადგილობრივი კონსულტაციების ფონზე ჩანს, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ერთადერთი უწყებაა, რომელსაც სტრატეგიული როლი აქვს კინოინდუსტრიის განვითარებაში. ის ერთადერთი დამფინანსებელი ორგანიზაციაცაა. არ არსებობს სხვა სამთავრობო ორგანიზაციებთან, ან კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის სხვა განხევებთან მუდმივი თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობდა განვითარების პროცესს და უკეთესი ოპერატორი სისტემების ხელმისაწვდომობას.

ინტერვენციის ლოგიკური საფუძვლი: ფილმის წარმოების პროცესი თანამშრომლობას მოითხოვს. საბოლოო პროდუქტის მისაღებად მუშაობის პროცესში სხვადასხვა ადამიანური რესურსია ჩართული. თანამშრომლობა ფილმის წარმოების ყველა ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, იქნება ეს განვითარება თუ ჩვენება. ეს არა მარტო წარმოების ციკლს ეხება. ადგილობრივი სურათი საკმაოდ არასახარბიელობა დაფინანსების, დაკვალიანებისა თუ ქსელური შესაძლებლობების თვალსაზრისით.

რეკომენდაცია: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი უნდა გაუძლვეს სტრატეგიულ მუშაობას ადგილობრივი თანამშრომლობის შესაძლებლობების შესასწავლად. მან უნდა წამოიწყოს დიალოგი შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, რომელიც პასუხისმგებლები არიან ტურიზმის, ინვესტიციებისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებზე. უპრიანი იქნება თურქელი მოდელის შესწავლა, სადაც თურქეთის ტურიზმის დეპარტამენტი აფინანსებს ადგილობრივი ფილმების პოპულარიზაციას ევროპის ფესტივალებზე.

ახალი ზელანდიის კინემატოგრაფისტთა კომისიაც აქტიურად ეხმარება სხვადასხვა აქტივობებს ამ სფეროში. საქართველოშიც უნდა განიხილონ მსგავსი სტრატეგიული პარტნიორობის მოდელები. ამ საქმეში პოტენციური პარტნიორები შეიძლება იყვნენ მერია, რეგიონალური ხელისუფლება, ა.შ. თანამშრომლობის პროცესში აქცენტი უნდა გაკეთდეს ერთობლივ მუშაობაზე, რათა უკეთესი პირობები შეიქმნას ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური ქმედითუნარიანობისთვის.

სექტორებს შორის ურთიერთობაც ძალზე მნიშვნელოვანია. საჭიროა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აქტიურად ჩაერთოს კულტურის არსებულ ინფრასტრუქტურაში, რათა უფრო ფართო კულტურული ურთიერთობები დამყარდეს. მაგალითად, საქართველოში ლიტერატურისა და თეატრალური სექტორის ძლიერი ტრადიციაა. ეს ქვესექტორები უნდა გაერთიანდეს კინო-ინდუსტრიასთან პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითუნარიანობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს დიდი კულტურა აქვს ლიტერატურისა და თეატრის თვალსაზრისით და წარმატების ერთერთი გარანტი ამ კუთხით უნარჩვევებისა და ორგანიზაციული განვითარების ურთიერთგაზირებაც იქნება.

5.3.6 პრიორიტეტული სამოქმედო პუნქტები

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

- ცოდნის გაზიარების ქსელის განვითარება, რათა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდეს კინო-ინდუსტრიას, შემოქმედებით და ციფრულ ინდუსტრიას შორის და შეიქმნას სათანადო კვლევითი ბაზა;
- ევროპის კინემატოგრაფიის კომისიის ქსელში გაწევრიანება ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების და “ინტელექტუალური” ინვესტირების ხელშეწყობის მიზნით;
- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კვლევის სტრატეგიაში და პოლიტიკაში უნდა შეიმუშავოს მონაცემთა ბაზა კინოინდუსტრიისთვის და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღლოს გადაწყვეტილებები;
- შესწავლილი იქნას EURIMAGE-ში გაწევრიანების, “მედია” პროგრამაში მონაწილეობის, ერთობლივი წარმოების შესაძლებლობები შესაბამისი ევროპული კონვენციის ფარგლებში

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

6 დასკვნა

ანგარიშში ჩანს, რომ აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება ადეკვატური სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად ქართული კინოინდუსტრიის განვითარებისთვის, რადგან ლირებულების ჯაჭვის ყველა ასპექტს შეეხოს მხარდაჭერა.

ქართული კინო-ინდუსტრიის გამოცოცხლება ორი წლის წინ დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი და გარეველი დროა საჭირო, რათა ქართული კინოწარმოება ეკონომიკურად ქმედითუნარიანი სექტორი გახდეს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ თუ მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება, სექტორის ტრანსფორმაციის პროცესი უფრო ღრმა და ხანგრძლივი იქნება.

რასაკვირველია, ფინანსური სტიმული ძალიან მნიშვნელოვანია. თუ საქართველოში შემოიღებენ შესაბამის საგადასახადო შედაგათებს, ფუნდამენტურად შეიცვლება პროდიუსერთა საქმიანობა (გამჭვირვალე ბიუჯეტის უზრუნველყოფა, დეტალური ანგარიშ-ფაქტურები. ა.შ.), რის შედეგადაც შეიქმნება უფრო მაღალი დონის საწარმოო და პროფესიული კულტურა. კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს შეუძლია წვლილი შეიტანოს ამ პროცესში და გატაროს ცვლილებები წარმოების სერთიფიცირების თვალსაზრისით, ისევე როგორც დაადგინოს კრიტერიუმები ეროვნული ფილმების დაფინანსებისთვის. ჩვენი რეკომენდაციებიც დაეხმარება ფილმების ინდუსტრიას, რომელიც შეძლებს მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებას სახელმწიფოსაგან საგადასახადო შედაგათების, გათამაშებების დაფინანსების, საზოგადოებრივი მაუწყებლების პირდაპირი დაბეგვრის სახით.

ეს საქმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია. თუმცა, თუ საქართველოს მთავრობის სურვილია, რომ ქვეყანაში ფილმების წარმოება მაღალ დონეზე იყოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საგადასახადო შედაგათებით საქმეს არ ეშველება. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური და კომერციული უნარჩვენების განვითარებას, ისევე როგორც ინტესტრუქტურისა და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელობას, რაც დიდ გავლენას ახდენს უცხოელი პროდიუსერების გადაწყვეტილებაზე ითანამშრომლონ თუ არა საქართველოსთან. საგადასახადო შედაგათო უფრო ფართო სპექტრის მოთხოვნების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ეს მნიშვნელოვანი აღიარება არა მარტო იმიტომ, რომ არსებობს ტენდენცია, რომ უცხოელმა პროდიუსერებმა სასურველ ტერიტორიაზე გადაიღონ ფილმი. მაგალითად, 1990-იან წლებში ამერიკელი და ბევრი სხვა დამოუკიდებელი პროდიუსერის სამიზნეს პრადა წარმოადგენდა. დღესდღეობით, ასეთი სურათია უნგრეთში, ბულგარეთში და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზეც კი, სერბეთში. ეს ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ამიტომ, საქართველომ არა მარტო საგადასახადო შედაგათები უნდა დააწესოს, არამდე მაღალი პროფესიული დონის მომსახურება უნდა უზრუნველყოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სასტუმრო, ქომუნიკაციები, სტუდიის ინფრასტრუქტურა, უცხოური ენის ცოდნა, მაქსიმალურად მცირე

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ბიუროკრატია და გადამდები ჯგუფის უსაფრთხოება. ამ ფაქტორების გათვალისწინება პრიორიტეტულია, რათა საქართველოშ შეძლოს დირსეული კონკურენცია გაუწიოს უნგრეთსა თუ სხვა რომელიმე ქვეყანას. სახელმწიფო პოლიტიკა, ყურადღება უნდა გაამახვილოს პროფესიულ მომზადებაზე, განათლებაზე და საგადასახადო შედაგათებზე. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი დისტრიბუციის ხელშეწყობას და ქართველ კინემატოგრაფისტთა შორის კომერციული და ამბიციური მიზნების გაღვივებას.

პროგრესული მიღების ჩამოყალიბება ქართული პროდუქციის დისტრიბუციის მიმართ ასევე მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ ადგილობრივ დისტრიბუციას, როგორც აბსოლუტურ პრიორიტეტს მაქიმალურად შეუწყონ ხელი, რადგან მხოლოდ საერთაშორისო დისტრიბუციით ქართული ფილმის ინდუსტრია ვერ გახდება ქმედითუარიანი ეკონომიკური თვალსაზრისით.

უფრო მეტიც, არცერთი უცხოელი პარტნიორი არ დაინტერესდება ისეთი ქვეყნის ფილმით, რომლის შესახებ სალაროს მონაცემები ხელმისწავდომი არ არის. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი დისტრიბუციის გაძლიერებას და სალაროს მონაცემების მოპოვებას. ამავე დროს, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ტრადიციული სადიგრიბუციო მოდელების გარდა გამოიყენოთ ციფრული დისტრიბუციის მეთოდი, რადგან ეს უფრო მარტივი საშუალებაა იმისათვის, რომ ადგილობრივმა წარმოებამ საერთაშორისო ბაზარზე შეადგიოს.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სტრატეგიულ და ორგანიზაციულ განვითარებას. ადგილობრივი კონსულტაციების მიგნებებისა და საერთაშორისო ანალიზის მიხედვით აუცილებლად უნდა არსებობდეს ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კინემატოგრაფიის სექტორის სტრატეგიული განვითარების კონტროლზე. ლოგიკურია, რომ ეს ფუნქცია სწორედ კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა შეასრულოს. ცენტრმა უკვე გამოავლინა თავისი შესაძლებლობები სექტორში პოზიტიური ცვლილებების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი უნდა გაძლიერდეს, როგორც წამყვანი სახელმწიფო ორგანიზაცია. ცენტრმა უნდა გაანალიზოს ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაცია და უმოკლეს დროში დასახოს პრიორიტეტები.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება კვლევების ჩატარების შესაძლებლობის ჩათვლით მნიშვნელოვანი იქნება სექტორის წარმატებული განვითარებისთვის. სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს კვლევის გრძელვადიანი პროგრამის საფუძველზე, რათა შემუშავდეს მონაცემთა ბაზა. გარდა ამისა გადაწყვეტილებები უნდა დაეფუძნოს დროულ ინფორმაციას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები მორიგ კვლევას საჭიროებს და ამ რეკომენდაციების შესრულების ტესტირება ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს. ანგარიშში მოცემული მაგალითები უცხოეთის გამოცდილებიდან

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი და მხოლოდ რეკომენდაციისთვის იქნას გამოყენებული. იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი პრაქტიკაა უმჯობესი საქართველოსთვის, უნდა ჩატარდეს კვლევა მისი რეალურად განხორციელების პერსპექტივის შესახებ სპეციფიკურ ინტერვენციებთან მიმართებაში, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები, გათამაშების დაფინანსება, ა.შ.

რა თქმა უნდა, საკითხების მოგვარების მეთოდი პირდაპირ არ უნდა გადმოვიდოთ უცხოეთიდან. საუკეთესო ვარიანტი კონსულტაციების შედეგად უნდა შემუშავდეს. თუმცა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ამ ეტაპზე მიღებული სტრატეგიული რეკომენდაციები შემდგომ ფაზაში უნდა გადაიყვანოს და მთავრობასთან კონსულტაცია გამართოს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი რეკომენდაციები კიდევ უფრო დააჩქარებს საქართველოში ფილმის ინდუსტრიის აღმავლობის პროცესს და ხელს შეუწყობს ქართველი კინემატოგრაფიის მხარდაჭერის გაძლიერებას.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

დანართი 2- საერთაშორისო კომპარატორი ქვეყნები

საფრანგეთი

საფრანგეთის შესახებ

დასავლეთ ეკონომიკური ქამანა საფრანგეთი ბისკაის ყურესა და ინგლისის არხს ესაზღვრება და ბელგიას, ესპანეთსა და გაერთიანებული სამეფოს სამხრეთ ნაწილს შორის მდებარეობს. ქვეყნა აგრეთვა ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვის მონაკვეთს იტალიასა და ესპანეთს შორის. საფრანგეთი 26 რეგიონისგან შედგება და მისი ტერიტორია მოიცავს 547 030 კილომეტრის კილომეტრის. ეკონომიკურის წევრ წევნებს შორის საფრანგეთი ყველაზე დიდია. აქ ბუნება საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩრდილოეთით და დასავლეთით სანაპირო დაბლობებია, სამხრეთ-აღმოსავლეთით- ალპები. დასავლეთ ეკონომის უძალლესი მწვერვალი “მონ ბლანი” ზღვის დონიდან 4807 მეტრის სიმაღლითა და ალპების მთებში მდებარეობს საფრანგეთსა და იტალიას შორის.

საფრანგეთის მოსახლეობა 64 მილიონზე მეტია. აქ ძირითადად ეკონომიკური ცხოვრობები და მათი უმრავლესობა კათოლიკი ქრისტიანია. ფრანგული ენა ფართოდ გავრცელებული ყოველდღიური ენაა და რეგიონალური დიალექტები და ენები თანდათან სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება.

პოლიტიკური თვალსაზრისით საფრანგეთის რესპუბლიკა ნახევრად-საპრეზიდენტო ქვეყნაა, რომელსაც დემოკრატიის ძლიერი ტრადიციები აქვს. აღმასრულებელ ხელისუფლებას ორი ლიდერი ჰქავს: რესპუბლიკის პრეზიდენტი (ამჟამად ნიკოლას საკოზი), რომელიც სახელმწიფოს მეთაურია და საყოველთაო არჩევნების გზით ირჩევა 5 წლის გადით და მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი (ამჟამად ფრანსუა ფილონი). საფრანგეთის პარლამენტი ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც შედგება ეროვნული ასამბლეისა და სენატისგან.

საფრანგეთს თანამედროვე და კარგად განვითარებული ეკონომიკა აქვს. ის მექანიკური პოზიციაზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მიხედვით (მშპ უდრის 2,593.78 მილიარდ დოლარს). საფრანგეთი ეკონომიკის ზონის წევრია. გალუტა ეკონომიკური ფრანკი 2002 წელს ჩაანაცვლა.

საფრანგეთის ეკონომიკა მოიცავს უზარმაზარ კერძო წარმოებას (დაახლოებით 2.5 მილიონი კომპანიაა დარეგისტრირებული) მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესებით. მთავრობას დიდი გავლენა აქვს ინფრასტრუქტურული სექტორების ძირითად სეგმენტებზე. მას ეკუთვნის რეინიგზის, ელექტროენერგიის, საავიაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების ძირითადი ნაწილი.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის თანახმად, 2004 წელს საფრანგეთი იქმ მსოფლიოს მეხუთე უდიდესი ექსპორტიორი და მეოთხე უდიდესი იმპორტიორი. 2003 წელს საფრანგეთი პირდაპირი უკბოური ინგესტიციების მიმღები მეორე უდიდესი ქვეყანა იქმ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრებს შორის. ამ ინგესტიციების მოცულობამ 47 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ თვალსაზრისით საფრანგეთს წინ უსწრებდა დუქსებმურგი, თუმცა აშშ საფრანგეთის მომდევნო პოზიციაზე იქმ (39.9 მილიარდი დოლარით), გერმანია (12.9 მილიარდი დოლარი) და იაპონია (6.3 მილიარდი დოლარი). შემდეგ მოდიოდა გაერთიანებული სამეფო (14.6 მილიარდი დოლარი), გერმანია (2.6 მილიარდი დოლარი) და იაპონია (28.8 მილიარდი დოლარი) და გერმანია (2.6 მილიარდი დოლარი) საფრანგეთის შემდეგ იყვნენ სიაში.

დიდი ნაკოფიერი მიწების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეკონაგენირის სუბსიდიების წყალობით საფრანგეთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წამყვანი მწარმოებელი და ექსპორტიორი ქამანაა ეკროპაში. ქამანის უმთავრეს საექსპორტო პროდუქტიას წარმოადგენს ხორბალი, შინაური ფრინველი, რძის პროდუქტები, საქონლისა და ღორის ხორცი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული საკედი პროდუქტები და ღვინო. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სექტორი ეკონომიკურ 14 მილიარდ დოლარს იღებს სუბსიდიის სახით.

6.1.1 საგადასახდო სისტემის მიმოხილვა

საფრანგეთის მოქალაქე ვალდებულია გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი. ზოგიერთი შემოსავალი, როგორიცაა პენსია, ქირა, ა.შ. იბეგრება შესაბამისი სქემის მიხედვით 0-დან 40%-მდე. არსებობს აგრეთვე 18%-იანი ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც უკავშირდება ობლიგაციებს და საბანკო პროცენტებს.

ფულადი ოპერაციების უმეტესობა იბეგრება დამატებითი დირებულების გადასახდით (19.6%).

პირები, რომელთა სუფთა შემოსავალი აღემატება 790 000-ს იხდიან ქონების გადასახდის.

არსებობს ორი სახის ქონების გადასახადი.-საცხოვრებელი ადგილის გადასახადი და მიწის გადასახადი. ქამანაში გადასახადის განაკვეთები განსხვავდება, რადგან რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას საკუთარი განაკვეთები აქვთ დაწესებული.

საცხოვრებელი ადგილის გადასახადს იხდის საცხოვრებელი ფართის მფლობელი, რომელიც ფართის პატრონად დაფიქსირდა 1 იანვარს.

მიწის გადასახადს იხდის სახლის მფლობელი. თუ საფრანგეთში ქონებას გაყიდით, უნდა გადაიხადოთ რეალიზებული კაპიტალის გადასახადი (16%).

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

საფრანგეთის მოქალაქეები ასევე იხდიან 11%-იან სოციალურ გადასახადს.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.worldwide-tax.com/france/france-vat-taxes.asp>

კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა

საფრანგეთის კულტურულ სექტორში დასაქმებული ადამიანების დაახლოებით 2% მუშაობს. ეკონომიკურში კულტურის სფეროში დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 2.4%-ია.³⁹ 2003 წლის შემდგომი მონაცემებით, კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წარმატების საფრანგეთის მთლიან შიდა პროდუქტზე 3.4%-ია და უდრის 79,424 მილიონს.⁴⁰

საფრანგეთს დიდი ტრადიცია აქვს ცენტრალური მთავრობის მიერ კულტურის სფეროს მხარდაჭერის თვალსაზრისით, ეს ტენდენცია ჯერ კიდევ მონარქიის დროიდან მოდის. თუმცა მსოდოდ მას შემდეგ, რაც და გოლმა 1958 წელს მეხუთე რესპუბლიკა ჩამოაყალიბა, ჰავალი მინისტრთა კაბინეტში შედიონა კულტურის სამინისტრო. კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტრო მთავარი სამთავრობო უწყებაა, რომელიც კულტურისა და ხელოვნების სფეროზეა პასუხისმგებელი. სამინისტრო ძირითადად 8 სფეროს კურირებს. ესაა მემკვიდრეობა, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და არქივები, თეატრი, ვიზუალური ხელოვნება, კინო, მუსიკა და ცეკვა, წიგნები და კითხვა, საფრანგეთის კულტურის სფეროს შემდეგი პრიორიტეტები აქვთ: ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხის გაუმჯობესება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რათა ხელოვნება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს, პლურალიზმი და ფრანგული ენის დაცვა.

სხვა სამთავრობო უწყებებიც არიან ჩართული კულტურის სფეროში, როგორიცაა საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის განყოფილება, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს.

საფრანგეთის ადგილობრივ ადმინისტრაციაში მმართველობის 3 ფენაა-კომუნა (ქალაქები და რაიონები), დეპარტამენტები და რეგიონები. დეპარტამენტების და რეგიონების ადგილობრივი ბიუჯეტი 5-ჯერ აღემატება 1980-იანი წლების ბიუჯეტს. ხელოვნების სფეროს დაფინანსების 50.1% (ცენტრალური მთავრობიდან მოღის, ხოლო 49.9%-ადგილობრივი ხელისუფლებიდან (აქვთ 40.6% საოლქო საბჭოებიდან, 7.3% დეპარტამენტების საბჭოებიდან და 2% რეგიონალური საბჭოებიდან). (ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი თანხების პარალელურად აღნიშნული დაფინანსება საშუალებას აძლევს ადგილობრივ მთავრობას მნიშვნელოვანი როლის შეასრულოს კულტურულ ცხოვრებაში).

კინოინდუსტრიის პოლიტიკა

საფრანგეთში კინოინდუსტრიის პოლიტიკის შემუშავების მიზანი იყო ადგილობრივი წარმოების დაცვა პოლიტიკური პოზიციისგან. პოლიტიკის მთავარ ელემენტის წარმოადგენს საგადასახადო შედაგათები და სუბსიდიები.

საფრანგეთში კინოს განსაკუთრებული სტატუსი აქვს და ფრანგ კანონმდებლებს საშუალება აქვთ ხელი შეუწყონ კინოინდუსტრიას ისე, რომ ეს უკანასკნელი არა მარტო შენარჩუნდეს ხელოვნების დარგად და

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ინდუსტრიად, არამედ თანამედროვე მსოფლიოს კულტურის ერთეული ძირითად განხერად. ფრანგული კინემატოგრაფია პოლივუდის დომინანტური ინდუსტრიის ალტერნატივა, რომლის უნიკალურობა განპირობებულია მარგალიორებელი კანონმდებლობით და მხარდაჭერის დახვეწილი პრაქტიკით, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდებოდა. ფრანგული კინემატოგრაფია კარგად ემსახურება ინდუსტრიის პროფესიონალებს როგორც ქამანის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 2005 წელს საფრანგეთში 240 ფილმი გადაიღეს, აქედან ნახევარი უცხოელი პარტნიორებთან ერთობლივად გაადაღებული ფილმი იყო. ფრანგული ფილმის წარმატება ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ქამანაში სერიოზული დამკავი მექანიზმებია ეროვნული ინდუსტრიის მიმართ. თუმცა ქამანაში ფართოდაა გავრცელებული უცხოელი მსახიობების მოწვევის ტრადიცია, რაც ეკროპული კინოინდუსტრიის განვითარებისა და პოპულარიზაციის ერთერთი მნიშვნელოვანი მეთოდია.

საფრანგეთში ფილმების უფრო მეტი ფესტივალი ტარდება, ვიდრე რომელიმე სხვა ქამანაში. საგარაუდოდ, პარიზი კინოს ყველაზე დიდი მოყვარული ქალაქია მსოფლიოში.

ბოლო წლებში, საფრანგეთში არსებული კინოინდუსტრიის მხარდაჭერის სისტემა ეკროპომისისა და მსოფლიო საკარი თრგანიზაციის უცრადლების ცენტრში აღმოჩნდა.

საფრანგეთის მთავრობის მფლობელობაში ან მხარდაჭერის ქვეშ შემდეგი სპეციციალური კულტურული სააგენტოები მუშაობს:

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, რომელიც 1946 წლის 25 ოქტომბერს დაარსდა სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც უუნიკონირებს, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი უწყება. ცენტრი ქამედგბარება კულტურის და კომუნიკაციების სამინისტროს. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მთვარი ფუნქციებია:

- რეგულირება
- კინოინდუსტრიის, მაუწყებლობის, ვიდეო, მულტიმედია და ტექნიკური ინდუსტრიების მხარდაჭერა
- ფილმებისა და ტელევიზიის პოპულარიზაცია მაყურებლისთვის
- კინემატოგრაფიის მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება

არსებობს ორგანიზაცია „ემ-ტე-ემი,” რომელსაც მხარს უჭერს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და სოცურულგალავის სამინისტრო. ეს ორგანიზაცია ფართო სპექტრის ფილმებს სთაგზობს მაყურებელს, რომელთა ძირითადი თემატიკაა ემიგრაცია, დეკოლობაში ქოფნა, ინტეგრაცია და სხვა სოციალური საკითხები

წარმოების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია საგადასახადო შედაგათები. ამ საკითხზე მუშაობს კინოინდუსტრიის დაფინანსების ინსტიტუტი და კულტურული ინდუსტრიების ინსტიტუტი.

6.1.1.a შეთანხმებები ერთობლივი წარმოების შესახებ

საფრანგეთს 44 ქამანასთან აქვს გაფორმებული შეთანხმება ფილმების ერთობლივი წარმოების შესახებ. ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე გადაღებული ერთობლივი ფილმების წილი ფრანგულ კინემატოგრაფიაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. დღესდღეობით

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

გაერთიანებული სამეფო საფრანგეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორია ამ თვალსაზრისით (2003 წელს 23 ერთობლივი ფილმი გამოვიდა, 2004 წელს- 13).

სპეციფიკური ინტერვენციები კინოინსუტრიაში

კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში ფუნქციონირებს მხარდაჭერის სპეციალური ფონდი, რომელიც კინოს ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 10.9%-ით ფინანსდება მიუხედავად ფილმის წარმომავლობისა. ეს ფონდი ასევე იღებს 5.5%-იან გადასახადს ტალაკიზის შემოსავლიდან და 2%-იან ბეგარას ვიდეო და ინტერნეტ სერვისებისგან. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული საფრანგეთი აკტომატურ და შერჩევით მქანიზმებს იყენებდა ფილმების წარმოებისა და ჩვენების მხარდასაჭირად. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფონდიდან თანხის 60% აკტომატურ დასმარებას ხმარდება, 40% კი- შერჩევითს. აკტომატური დასმარება უზრუნველყოფს წარმატების ანაზღაურებას (კომერციულად წარმატებული პროდიუსერებისთვის სასარგებლოდ), შერჩევითი მქანიზმი კი მხარს უჭირს კილტურულ სტრატეგიას და განსაკუთრებულად ეპურობა ახალბედა ნიჭიერ რეჟისორებს.

გარდა ამისა, საფრანგეთში ფუნქციონირებს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტი, რაც საგადასახდო შედავათებს ეფუძნება. ამ თვალსაზრისით, წარმოების მხარდაჭერის გეგმას კინოინდუსტრიის დაფინანსების ინსტიტუტი და კულტურული ინდუსტრიების ინსტიტუტი.

კერძო კომპანია “აი-ეფ-სი-აი-სი” სახელმწიფო კრედიტებით უზრუნველყოფს კინოინდუსტრიის სექტორს. კომპანია იძლევა სპეციალური ინვესტორების ან კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხს. კომპანია “აი-ეფ-სი-აი-სი” მიიღო ვალდებულება კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტროსგან და ფინანსობა სამინისტროსგან, რომ მან წვლილი შეიტანოს კულტურული სფეროს განვითარების საქმეში და გაუმარტივოს სექტორში მოღვაწე კომპანიებს საბანკო სესხების მიღება. “აი-ეფ-სი-აი-სი” ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. ესაა კერძო სექტორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანა, რომელიც საყველთაო დაინტერესების მომსახურებითაა დაკავებული. მისი კაპიტალი ექუთვნის ფრანგულ ბანკებს, დიდი სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტებს და სახელმწიფოს. ბანკები, რომლებიც ამ ორგანიზაციისთან თანამშრომლობენ, არა მარტო ფინანსურ გარანტიებს იღებენ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას პრობლემები შეექმნება, არამედ მათ საფრთხის ანალიზსაც აცნობენ, რაც დამახასიათებელია კინოინდუსტრიისთვის, კერძოდ, როცა საქმე ეხება მოკლევადიან სესხს ფილმის ან აუდიო-ვიზუალური პროექტისთვის. “აი-ეფ-სი-აი-სი” სესხების 50%-ზე იძლევა გარანტიას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კომპანიას პრობლემები შეექმნება, ბანკის ზარალი განახევრდება.

ფილმების დამფინანსებელი კომპანიები საგადასახადო შედავათებს სთაგაზობენ დაინტერესებულ პირებს. ეს კომპანიები აძლიმდებარებიან “სოფიკას” (ფილმებისა და აუდიო-ვიზუალური პროექტების დაფინანსების ორგანიზაციას). კომპანიები, რომლებიც “სოფიკაში” ინვესტიციას განახორციელებენ, გადასახადზე 50%-იანი შედავათით

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ისარგებლებენ. ინდივიდუალურ პირებს შეუძლიათ შემოსავლის 25% დააბანდონ 100%-იანი შედაგათით. ნებისმიერი საგადასახადო შედაგათი უნდა დაიფაროს ინდივიდუალური პირის ან კომპანიის მიერ მაქსიმუმ 5 წლის ვადაში. “სოფიკას” შემადგენლობაში ძირითადად არიან მედია ჯგუფები **Gaumont, Caisse des Depots** და **Le Studio Canal Plus**.

არსებობს სუბსიდირების შერჩევითი სქემაც- *Avance Sur Recettes*. ეს სქემა ხელმისაწვდომია ფრანგულენოვანი ფილმებისთვის. არის სტიმულირების სხვა საშუალებებიც კრეატიული განვითარებისთვის, ერთობლივი წარმოებისთვის, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის, ა.შ.

შედეგები/გავლენა

ფრანგული კინემატოგრაფიის უნიკალურობა განპირობებულია მარყვაულირებელი კანონმდებლობით და მხარდაჭერის დახვეწილი პრაქტიკით, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდებოდა. ფრანგული კინემატოგრაფია კარგად ემსახურება ინდუსტრიის პროფესიონალებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 2005 წელს საფრანგეთში 240 ფილმი გადაიღეს, აქედან ნახევარი უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად გაადაღებული ფილმი იყო.

საფრანგეთში ფილმების უფრო მეტი ფისტივალი ტარდება, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნაში. საგარაუდოდ, პარიზი კინოს ქვეყნაში დიდი მოყვარული

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

უნგრეთი

უნგრეთის შესახებ

უნგრეთი არის რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობა 10,197,119 10 მილიონს შეადგენს (გაერო, 2008). უნგრეთი 93,030 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული და მისი დედაქალაქია ბუდაპეშტი. ქვეყნის ექსპორტის ძრითადი ნაწილი მანქანა-დანადგარებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და ქიმიკატებზე მოდის. ევროკავშირის წილი უნგრეთის საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის 77 %-ს და იმპორტის 68 % -ს შეადგენს. მშპ-ს რეალური ზრდა **2.2%-ის** ტოლია (2007). სხვა მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ და რუსეთი.

უნგრეთის პისტ-კომუნისტური ეკონომიკის გარდაქმნა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა. კომუნისტური სისტემის დამხობიდან ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური საწარმოების თითქმის ნახევარი კერძო სექტორს გადაეცა და 1998 წლისთვის უნგრეთის თავის რეგიონში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის ნახევარი მოიზიდა.

ათი წლის თავზე არსებული სურათი გაცილებით ნაკლებად ოპტიმისტური იყო. როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ვალების მაღალი დონის გამო ქვეყნა განსაკუთრებით დაუცველი აღმოჩნდა 2008 წლის საკრედიტო შეზღუდვის წინაშე. ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად მთავრობა იძულებული გახდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტეტებისთვის, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისთვის მიემართა და დიდი კრედიტები მოეთხოვა. (უფრო დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ აქ:

http://news.bbc.co.uk/1/hi/world/europe/country_profiles/1049641.stm).

კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა

უნგრეთს იმ სახელმწიფო უწყებების საქმაოდ ცენტრალიზებული სისტემა აქვს, რომლებიც ეროვნული კულტურული პოლიტიკის შემუშავებაზე არიან პასუხისმგებელი. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია ვანათლების და კულტურის სამინისტროს.

სამინისტრო მონიტორინგს უწევს უნგრელ ხელოვნებას, მედიას და აუდიო-ვიზუალურ პროდუქციას და ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუტების, ორგანიზაციების და ხელოვნების მუშაკთა დასახმარებლად სახელმწიფო ადმინისტრირების საშუალებებს იყენებს.

უნგრეთის კულტურული პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს: ეროვნული კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირება, უნგრელი კულტურის წარმოდგენა სახლვარგარეთ და მსოფლიო კულტურის წარმოდგენა უნგრეთში, აგრეთვე კულტურის დაფინანსების რეფორმა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ყურადღება მახვილდება ამ საქმეში საქმიანი წრების ჩართვაზე.

2008 წელს კულტურული ინვესტიციისა და ადამიანის განვითარების რამდენიმე ფართომასშტაბიანი პროექტი დაიწყო ეროვნული პროგრამის - „ახალი უნგრეთის განვითარების გეგმის“- ფარგლებში, რომელიც ევროპული სტრუქტურული ფონდების მიერ დაფინანსდა. ამ პროექტების უმრავლესობაზე ფაქტოური მუშაობა 2009 წელს დაიწყება. გეგმები მოიცავს ხუროთმოძღვრული ძეგლების აღდგენას, ბიბლიოთეკების სისტემის გაუმჯობესებას, კულტურის სახლებში არსებული უფროსების განათლების კურსების გაძლიერებას და ა.შ. ევროპული საინვესტიციო გრანტები ყველაზე აქტიურად ქალაქ პეტეში იქნება გამოყენებული, რაც „ევროპული კულტურის დედაქალაქის“ პროგრამისთვის მზადებას დაუკავშირდება, რომელიც 2010 წელს ტარდება.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კინოს პოლიტიკა

2003 წელს უნგრეთმა ფუნდამენტური რეფორმები დაიწყო კინოს ინდუსტრიასა და კულტურაში. გაცნობიერებული იქნა, რომ უნგრული კინემატოგრაფიული კულტურის და შესაბამისი პროფესიების განვითარება შეუძლებელი იყო კინოინდუსტრიის ერთდროული განვითარების გარეშე. 2003 წელს მიღებული აქტი კინემატოგრაფიის შესახებ (II აქტი კინემატოგრაფიის შესახებ - 2004 წ.) ითვალისწინებდა სპეციფიკურ მარეგულირებელ ბაზას რეფორმების გასატარებლად, რომლის მეშვეობითაც უნდა გამოცოცხლებულიყო კინოინდუსტრია როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი.

კანონი კინემატოგრაფის შესახებ 2004 წელს იქნა მიღებული. ამან შეცვალა კინოწარმოების გარემო. კანონმა გაითვალისწინა უნგრეთის ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები და ყურადღება გააძახვილა საერთაშორისო კონკურენტუნარიანი კინოსექტორის შექმნაზე, ეფექტური სახელმწიფო სუბსიდიების საშუალებით. .

კინოს დაფინანსების უნგრული მოდელი იცავს ევროპული ერთობლივი დაფინანსების („კოპროდუქციას“) კონკურენციას და ფილმების კლასიფიკაციას იძლევა ქულებით შეფასების საფუძველზე. სულ იდენტიფიცირებულია სამი კატეგორია:

- უნგრული კინოწარმოება
- კოპროდუქცია უნგრეთის მონაწილეობით
- სხვა სახის პროდუქცია უნგრეთის მონაწილეობით

ეს კლასიფიკაცია აადგილებს ეროვნული და ერთობლივი წარმოების ფილმებს შორის განსხვავების დადგენას და განსაზღვრავს სუბსიდიის ტარიფებს. უნგრულ კინოწარმოებას და კოპროდუქციას უნგრეთის მონაწილეობით ერთნაირი სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ. მესამე კატეგორია მაშინ განიხილება, როდესაც არაპირდაპირ სუბსიდირებასთან გვაქვს საქმე, როგორიც არის გადასახადებისგან გათავისუფლება.

ის ნაწარმოები, რომლებშიც უნგრეთის მონაწილეობა ვერ აღწევს კანონით მოთხოვნილ დონეს, მხოლოდ არაპირდაპირ სუბსიდიას მიღებს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ფილმებისთვის ფინანსური კოპროდუქციის კვალიფიკაციის მინიჭება, რომელიც საერთაშორისო კონტრაქტის საფუძველზე ხორციელდება. აქტში მოცემული ქულების სისტემა საშუალებას იძლევა კინონაწარმოები კლასიფიცირებული იქნეს უნგრულ ნაწარმოებად მაშინაც კი, თუ პროდიუსერი უცხოელია. ასეთ შემთხვევაში ერთი პირიბა უნდა დაკმაყოფილდეს - უნგრეთის მონაწილეობის დონე (მწერლები, მსახიობები, გადაღებული ნატურა) საკმარისად მაღალი უნდა იყოს, რომ ფილმმა საჭირო ქულები დააგროვოს და კვალიფიცირებული იქნეს როგორც ეროვნული ნაწარმოები.

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდი

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდი 1998 წელს შეიქმნა. ამ უწყების ცენტრალური როლი 2004 წელს მიღებულმა კანონმა განამტკიცა. მისი მთავარი პრინციპებია: ყველა უანრის უნგრული ფილმების წარმოების მხარდაჭერა, როგორც უნგრული, ასევე მსოფლიო კინოს ნაწარმოებების დისტრიბუციის გაძლიერება და უნგრული კინემატოგრაფიული პროფესიების წარდგენა უნგრეთში და მის ფარგლებს გარეთ.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდი მხარს უჭერს ყველა ინიციატივას, რომელიც წელს უწყობს ზემოხსენებული მიზნების მიღწევას. საკუთარი სახსრების ეფექტიანი და სამართლიანი განაწილებისთვის ფონდმა საკონკურსო სისტემა შექმნა, რომლის ფარგლებშიც წდება განაცხადების შეფასება პროფესიონალებით დაკომპლექტებული ჟიურის მიერ.

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდი სხვადასხვა კომპანიებს გამოყოფს სახელმწიფო სახსრებს. მას შეუძლია დააფინანსოს წარმოების ბიუჯეტის 80 %-მდე. 100%-იანი დაფინანსება მაშინ არის შესაძლებელი, თუ ეს დასაბუთებულია სათანადო შემოქმედებითი და ფინანსური მოსაზრებებით. ეს პროცენტები მხოლოდ მაქსიმუმს აღნიშნავს და დამფინანსებელ ორგანიზაციას თავად შეუძლია განსაზღვროს სუბსიდიის უფრო დაბალი განაკვეთი საკუთარი შიდა განაწესის საფუძველზე.

აქტის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები მხოლოდ უნგრული წარმოების და უნგრეთის მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი წარმოების ფილმებზე მიმდართება. მაგრამ ვინაიდან ხშირ შემთხვევაში უნგრელი კინომწარმოებლების მონაწილეობა მხოლოდ ფინანსური შენატანით გამოიხატება და ქველებით შეფასების სისტემის ფარგლებში ეს ვერ იქნება კლასიფიკირებული როგორც კოპროდუქცია, აქტი ამ ტიპის წარმოებასაც აძლევს პირდაპირი სუბსიდიის მიღების საშუალებას, თუ მოცემული სახელმწიფო ურთიერთობის ფარგლებში შესაძლებელია ფილმის კიპროდუქციად მიჩნევა (ევროპული კოპროდუქციის კონკურენცია სამუალებას იძლევა ასეთი სახის ნაწარმოებები განხილული იქნეს როგორც ფინანსური კოპროდუქცია).

არსებობს მუხლი, რომელიც დამფინანსებელ ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მოითხოვოს, რომ გრანტის მიმღებმა მიღებული სუბსიდიის სულ მცირე 80 % უნგრეთში დახარჯოს. ეს მუხლიც ევროკავშირის კონტექსტში განიხილება.

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდმა 1992 წელს დაარსა **Magyar Filmunió**, რომელიც მიზნად ისახავს უნგრული ფილმების პროპაგანდას საზღვარგარეთ. ამ კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- უნგრული ფილმების (სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების) საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობის ორგანიზება;
- უნგრული ფილმების რეტროსპექტიული ჩვენებებისა და კვირეულების ორგანიზება საზღვარგარეთ;
- უნგრული ეროვნული კინოფესტივალების ორგანიზება;
- საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კინემატოგრაფიულ და აუდიოვიზუალურ ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარება და თანამშრომლობა;
- კონფერენციების, ვორეშოპების და შეხვედრების ორგანიზება აუდიოვიზუალური სფეროს მოღვაწეთათვის;
- საკომუნიკაციო ფუნქციის განხორციელება უნგრული კინოწარმოების პროფესიონალებსა და მათ უცხოელ პარტნიორებს შორის.

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდმა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს წელშეწყობით 1998 წელს დაარსა, აგრეთვე, უნგრული კინოს კომისია, რომლის მიზანია ნატურაზე გადაღებასთან დაკავშირებული მომსახურებების უზრუნველყოფა და უნგრეთის, როგორც ნატურაზე კინოგადაღების წარმოების ადგილის, პროპაგანდა.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

1999 წლის იანვარში უნგრული კინოს კომისია პირველი იყო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, რომელიც AFCI-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა. აღნიშულ კომისიას აქვს შტაბბინა ბუდაპეშტში და მუდმივი წარმომადგენლობა ჰოლივუდში. იგი ყოველწლიურად მონაწილეობს ლოს-ანჯელესის კინოჩვენებებში, სადაც კინოკრიტიკოსებს და დისტრიბუტორებს ახალ ფილმებს აჩვენებენ. ამის მიზანია, რომ დამოუკიდებელ პროფესიონალებში და სტუდიებში პროპაგანდა გაუწიონ უნგრეთის შესაძლებლობას უზრუნველყოს ნატურაზე კინოგადაღების აღგილები და ფილმწარმოების სხვა მომსახურება და შეინარჩუნონ უნგრეთის, როგორც ფილმწარმოებისთვის ხელსაყრელი ადგილის, იმიჯი.

ეროვნული კინოს სამინისტრო

ეროვნული კინოს სამინისტროს შექმნა განპირობებულია კინემატოგრაფის რეგულირების აუცილებლობით. სამინისტრო ორი ტიპის მოვალეობას ასრულებს. ერთი მხრივ ის ახდენს ფილმების კლასიფიცირებას, რეგისტრაციას და მონაცემთა დადასტურებას; მეორე მხრივ იგი ასრულებს სხვა პროფესიულ ამოცანებს კინემატოგრაფის სფეროში.

კინოს სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობაა სუბსიდიების და ინესტიციაზე ნებართვის გაცემა, რაც უზრუნველყოფს გადასახადებისგან გათავისუფლებას. კომპანიები, რომლებიც კინოწარმოების ან კინოწარმოებაში ინვესტირების მიზნებისთვის გასცემენ სუბსიდიებს, აყენებენ პირობას, რომ მათზე ვრცელდებოდეს აქტში დაფიქსირებულ გათავისუფლება გადასახადებისგან. სწორედ ზემოაღნიშვნულ ნებართვებში, კერძოდ, ყოველი კონკრეტული ფილმის ბიუჯეტშია დაფიქსირებული ფილმწარმოების პირდაპირი ხარჯები, რომლებიც უნგრეთში იქნება გაწეული.

ეროვნული კინოარქივი

ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული იმ ფილმების რწმუნებულ განმკარგავ დაწესებულებას წარმოადგენს, რომლებიც ეროვნული კინოაქტივების ნაწილს შეადგენს. მისი რწმუნებულება გულისხმობს შემდეგს: მოპოვებული უნდა იქნეს უნგრელი კინო მწერლების საკვორო უფლებების და იმ ასლების საკუთრების უფლება, რომლებიც დღეს სხვადასხვა სტუდიების და კინოორგანიზაციების საკუთრებაა და ერთად SPE Ltd-ს საწარმოთა აქტივებს შეადგენს; ხოლო მას შემდეგ, რაც ამ კინოაქტივების იურიდიული და საბუღალტრო შემოწმება და შეფასება მოხდება, მათი საკუთრების უფლება უნგრეთის კინოარქივებს უნდა გადაეცეს.

სპეციული ჩარევა კინოს სფეროში

2008 წელს კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერა შეიცვალა ევროკომისიასთან მოლაპარაკებების კონტექსტში, მათ შორის საგადასახადო შედაგათების გუთხით. წლის შუა პერიოდში მიღწეული იქნა შეთანხმება. სახელმწიფო მხარდაჭერის რამდენიმე კრიტერიუმი უფრო გამჭაცრდა და დაწესდა სახელმწიფო სუბსიდიების ლიმიტები მომავალი წლებისთვის. მთლიანობაში მიჩნეული იქნა, რომ კინოს შესახებ კანონი მიესადაგება ევროკავშირის შესაბამის დებულებას.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

საგადასახადო სტიმული და ანაზღაურება

უნგრული კინოს სტიმულირების სისტემა მიზნად ისახავს გაზარდოს, ნაწილობრივ ან მთლიანად, უნგრეთში წარმოებული ფილმების რიცხვი. ამასთან ერთად ის ესტრაფვის გაზარდოს ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ამ დარღვი დასაქმებული ექსპერტების რიცხვი და ამ გზით დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე მთლიანად.

საგადასახადო სტიმულირების სისტემა შემდეგი საშუალებებით აღწევს ამას:

- ფინანსური ანაზღაურების და საინვესტიციო შესაძლებლობების შეთავაზებით, რომ უცხოელინვესტორებს ფილმების გადასაღებად უნგრეთში ჩამოსვლის სტიმული პქონდეთ, რითაც ისინი ფილმწარმოების სარჯებს შეამცირებენ;
- კოპროდუქციებისა და ეროვნული ფილმებისთვის დამატებითი რესურსების შექმნით, უნგრული საწარმოების წახალისებით, რომ ინვესტიციები ჩადონ ფილმწარმოებაში;
- საგადასახადო სტიმულირების ისეთი სისტემით, რომლის ფარგლებში უნგრეთში ხელმისაწვდომი შემოწირულობის/ინვესტიციის მოცულობა ადგილობრივი კინოწარმოების 20 %-ს შეადგენს (უნგრეთში);
- შემოწირულობებით და ინვესტიციებით, რომლებიც იმ უნგრული ბიზნესგაერთიანებების დაბეგვრამდე მოგებიდან მოდის, რომელთა მიზანია შეამცირონ თავიანთი კუთვნილი გადასახადების მოცულობა. ამისთვის ისინი მზად არიან შემოწირულობები/ინვესტიციები გაიღონ უნგრეთში კინოწარმოების მიზნებისათვის.

გადასახადების ასეთ კორპორაციულ გადამხდელებს შეუძლიათ:

- შეამცირონ საგადასახადო ბაზა თავიანთი შემოწირულობის/ინვესტიციის თანხით (ან ამ თანხის 50 %-ით)
- შეამცირონ კუთვნილი გადასახადის თანხა თავიანთი შემოწირულობის/ინვესტიციის თანხით და ამით მნიშვნელოვანი საგადასახადო დანაზოგი შექმნას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია ორი წარმოსახვითი საწარმოს მაგალითი და ნაჩვენებია შემოწირულობის/ინვესტიციის მნიშვნელობა საგადასახადო დანაზოგის შესაქმნელად. ორივე საწარმომ შექმნა 1000 ერთეული მოგება დაბეგვრამდე, მაგრამ ერთი საწარმო სთავაზობს შემოწირულობას ფილმის წარმოებისთვის, ხოლო მეორე არა.

	გადასახადის გადამხდელი რომელიც შემოწირულობას უზრუნველყოფს ფილმწარმოების მიზნებისთვის	გადასახადის გადამხდელი რომელიც არ უზრუნველყოფს შემოწირულობას ფილმწარმოების მიზნებისთვის
გადასახადის გადამხდელის მოგება დაბეგვრამდე	1,000	1,000
ფილმწარმოების მიზნებისთვის გადამხდელი შემოწირულობის მოცულობა	100	0
საგადასახადო ბაზა	900	1,000

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

გადასახდელი გადასახადი	$(900 \times 0.16) - 100 = 44$	$1,000 \times 0.16 = 160$
გადახდილი თანხების მოცულობა	144	160
დანაზოგი	16	


თუ გადასახადის გადამხდელი მის მიერ ჩადებული ინვესტიციის სანაცვლოდ გარკვეულ წილს იღებს ფილმის მოგებიდან, საგადასახადო ბაზა შეიძლება შემცირდეს ინვესტირებული თანხის 50 %-ით.

კინემატოგრაფის შესახებ აქტი ორი ტიპის პროდუქციას განიხილავს საგადასახადო სტიმულის გუთხით:

1. დაკვეთით შექმნილი ფილმები (საწარმოო მომსახურება): უცხოელი კინემატოგრაფისტების მიერ უნგრეთში გადაღებული ფილმები უნგრელი საპროდიუსერო კომპანიის მონაწილეობით.

ეს მოდელი იმ ფილმების მხარდასაჭერად არის გამიზნული, სადაც ფილმის ბიუჯეტი მთლიანად ხელმისაწვდომია (ჩვეულებრივ, უცხოელი კინემატოგრაფისტის ან სტუდიის წყალობით), მაგრამ მის მიზანს წარმოადგენს, რომ თანხის დაბრუნების გზით უცხოელმა კინერმატოგრაფისტმა შეამციროს უნგრეთში წარმოების ხარჯები.

ამ შემთხვევაში დაბრუნებულ თანხას პირდაპირ უცხოელი კინომწარმოებელი იღებს და ეს თანხა უზრუნველყოფილია ადგილობრივი კორპორაციული გადასახადის გადამხდელის მიერ. გადასახადის გადამხდელი უზრუნველყოფს აღნიშნულ დაბრუნებულ თანხას ფილმის პროდიუსერისთვის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გადასახადის შემცირების მიზნით.



მხარეები ურთიერთვალდებული არიან კონტრაქტის საფუძველზე. უნგრელი კინოსაპროდიუსერო კომპანია კისრულობს: დარეგისტრირდეს თვითონ და დაარეგისტრიროს ფილმი ეროვნული კინოს სამინისტროში; შეუკვეთოს და უზრუნველყოს მომსახურება და საქონელი, რომელიც ფილმწარმოებისთვის არის აუცილებელი, უცხოელ რეჟისორთან დადგებული კონტრაქტის საფუძველზე და გამოიყენოს უნგრეთში უზრუნველყოფილი მომსახურება.

უნგრელი გადამხდელი ვალდებულებას კისრულობს გადაუხადოს უნგრეთში ფილმის წარმოების ხარჯების 20 % ფილმის უცხოელ შემქმნელს, რომელმაც დაასრულა გადაღება (ან მისი ფაზა) და მიიღო ეროვნული კინოს სამინისტროს გაცემული საგადასახადო სერტიფიკატი. უნგრელი


ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ო-უ-პი კონსალტინგი, 2009”

გადასახადის გადამხდელი, რომელიც უზრუნველყოფს ასეთ შემოწირულობას, შეიძლება ჩართული იქნეს ამ სქემაში როგორც უნგრული საპროდიუსერო კომპანიის, ასევე ფილმის უცხოელი შემქმნელის მიერ.

2. ფილმების, რომლებიც დაკვეთით არ არის შექმნილი (კოპროდუქციები ან უნგრული ფილმები): პროდუქციები, რომლებიც მხოლოდ უნგრული საპროდიუსერო კომპანიის შექმნილია, ან კოპროდუქციას წარმოადგენს ადგილობრივი ინვესტორების მონაწილეობით.

ეს მოდელი იმ ფილმების მხარდასაჭერად არის გამიზნული, რომლის პროდიუსერებს არ შეუძლიათ ფილმის მთლიანი ბიუჯეტის უზრუნველყოფა და ცდილობებს გარეშე კერძო სპონსორების ჩართვას. ასეთ შემთხვევაში დაფინანსებას (ინვესტიციას) უნგრული საპროდიუსერო კომპანია (თანა-პროდიუსერი) იღებს ადგილობრივი კორპორაციული გადამხდელისგან. ინვესტიციის სანაცვლოდ გადამხდელი იღებს არამარტო საგადასახადო შეღავათს, არამედ წილს ფილმის მოგებიდან (მინიმუმი არ არის განსაზღვრული).



ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია

კინოწარმოების ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის წასახალისებლად ახალი სისტემა იყენებს საგადასახადო სტიმულს. კომპანიები, რომლებიც სულ მცირე 100 მილიონი უნგრული ფორინგის ინვესტიციას ჩადებენ, მიღებენ საგადასახადო შეღავათს ინვესტირებული თანხის 35-დან 50 %-ის ჩათვლით, რაც განისაზღვრება ქვეყნის რეგიონის მიხედვით, სადაც ინვესტიცია ჩაიდო (ბუდაპეშტი: 35%, პესტი: 40%, დასავლეთ ტრანსდანუბია: 45%, დანარჩენი უნგრეთი: 50 %).

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის ფილმწარმოების მიზნებისთვის გამოყენებულ შენობებს (სტუდიებს, ხმის ჩამწერ პავილიონებს და ა.შ.) და მანქანა-დანადგარებს ცვეთის შეღავათიანი წესები მოუყენონ. მხოლოდ ფილმწარმოების მიზნებისთვის გამოყენებული მანქანა-დანადგარების შემთხვევაში ცვეთა 50 %-ია, ხოლო შენობების შემთხვევაში – 15%.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

განხორციელება

შედეგები / ზემოქმედება

უკვე გამოცხადდა, რომ აშშ-უნგრეთის ერთობლივი საწარმო დიდ კინოსტუდიას ააშენებს სოფლად. გაიზარდა უნგრეთში გადაღებული ერთობლივი წარმოების ფილმების რაოდენობა.

ახალი კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა კინოწარმოებისთვის საგადასახადო შედავათის დაწესება. ამის შედეგად ფილმწარმოებაში დაბანდებული ფულის მოცულობა სამჯერ და მეტჯერ გაიზარდა ჯერ კიდევ კანონის დატექიცებამდე და 2006 წელს 24 000 მილიონ უნგრულ ფორინტს მიაღწია (96 მილიონი ევრო). ამ დაფინანსების დაახლოებით ორი მესამედი უნგრული პროდუქციის მთლიან ან ნაწილობრივ დაფინანსებას მოხმარდა.

სასარგებლო ბმულები

ქვემოთ მოცემული ბმულები წინამდებარე დოკუმენტის დასკვნით ეტაპზე იქნა შეთანხმებული.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ:

განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურული პორტალი

<http://www.culture.hu/>

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდი

<http://www.mmi.hu/inter/english.htm>

უნგრეთის სახელმწიფო კინოფონდი

<http://www.mmka.hu/object.02d0495a-6147-4ebf-9f28-1a501e159618.ivy>

განათლების და კულტურის სამინისტრო

<http://www.okm.gov.hu/main.php?folderID=137&articleID=6915&ctag=articlelist&iid=1>

ეროვნული კულტურული ფონდი

<http://www2.nka.hu/OPPortal/portal/cn/DefaultContainerPage/Kezdolap>

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ირლანდია

ირლანდიის შესახებ

ირლანდია დასავლეთ ევროპაში მდებარეობს. მას დიდი პრიტანეთის დასავლეთით, ჩრდილოატლანტიკის ოკეანის კუნძულ ირლანდის 5/6 უკავია. მოსახლეობა უდრის 4 156,119-ს. ირლანდია 26 საგრაფოდა დაყოფილი.

ირლანდია საპარლამენტო დემოკრატიაზე დაფუძნებული რესპუბლიკაა. ის პატარა, თანამედროვე და ვაჭრობაზე დამოკიდებული ეკონომიკაა. ირლანდია მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ქალაქაა. აქ ცხოვრების დონე საქმაოდ მაღალია და Economist Intelligence Unit's Quality-of-life index-ის თანახმად პირველ ადგილზეა ამ თვალსაზრისით. ოფიციალურ საგალურო კურსზე (შემსყიდვებულიანობა) დაფუძნებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 285 მილიარდი დოლარია.⁴² 1995-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოდ 6 %-იანი ზრდა დაფიქსირდა, თუმცა 2008 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებიდან დაახლოებით ათწლეულის შემდგა მან ირლანდიაშიც შეაღწია. უძრავი ქონებისა და სამშენებლო სექტორებში რეგრესი აღინიშნა.

ერთ დროს ირლანდიაში ერთერთი მთავარი სფერო სოფლის მეურნეობა იყო, თუმცა ახლა მრწეველობა და მომსახურება ღომინირებს. ექსპორტში უდიდესი წილი უცხოურ კომპანიებს აქვთ და ეს სფერო ქამნის ეკონომიკის ძირითად კომპონენტიად რჩება. ადსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს სამშენებლო ბიზნესში დიდ პროგრესი იყო და სოლიდური ინვესტიციებიც ხორციელდებოდა. ირლანდიაში უძრავი ქონების ფასი 2006 წლამდე ყველაზე სწრაფად იზრებოდა ვიდრე სხვა დანარჩენ განვითარებულ ქვეყნებში. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტიც მნიშვნელოვნად იზრდებოდა და 2007 წელს აშშ-ს მშპ-ს გადააჭარბა.

ირლანდიის მთავრობამ მთელი რიგი ეროვნული პროგრამები განახორციელა ფასებისა და ინფლაციის შესახერებლად, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩასაძებად, დასაქმებულთა კალიფიკაციის ასამაღლებლად და უცხოური ინვესტიციების მხარდასაჭერად. 2008 წელს მთავრობა აქტიურად მუშაობდა საბანკო დეპოზიტების გარანტიებზე, ახალი კაპიტალის მოძიებაზე საბანკ სისტემაში და სარისკო კაპიტალის ფონდების შექმნაზე ქამნის ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მიზნით. 2002 წლის 1 იანვარს ირლანდია ევროს საგალურო ზონას შეუერთდა ევროკავშირის 11 სხვა ქვეყანასთან ერთად.

საგადასახლო სისტემის მიმოხილვა

ირლანდიაში საგადასახლო განაკვეთი 20-დან 41%-მდე მერყეობს და საშემოსავლო გადასახადზეა დამოკიდებული. 2009 წლის იანვრიდან მოქმედებს საშემოსავლო გადასახადი - 1% 100 000 ევროს ოდენობის წლიურ შემოსავალზე, 2%-100,101-250,120 ევროზე და 3%- 250,120 ევროზე მაღალ შემოსავალზე. გარკვეულ საშემოსავლო ჯგუფზე გათვალისწინებულია გადასახადების შემცირებული განაკვეთები. 2009 წელს ირლანდიაში სტანდარტული კორპორატიული საგადასახლო განაკვეთი 12.5%-ს უდრის.

კაპიტალის ზრდით მიღებული ქონების გადასახლი 22%-ია.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი ქონსალტინგი, 2009”

შემოსავლის შემდეგი ფორმები თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან:

- შემოსავალი მეჯინიბეობიდან და მონადირე ძაღლების შეჯიბრიდან;
- შემოსავალი ხელოვნების ან კულტურის ნიმუშზე საავტორო უფლებებიდან;
- შემოსავალი სატყეო მეურნეობიდან.
- შემოსავალი საცხოვრებელი ფართში ოთახებსი გაქირავებიდან
- ერთი ირლანდიული კომპანიიდან მეორე ირლანდიური კომპანიისთვის
გადაცემული დივიდენდი
 - კერძო პირებისთვის, შემოსავალი საცხოვრებელი ფართის გაყიდვიდან
 - კერძო პირებისთვის, ყოველწლიურად კაპიტალის ზრდით მიღებული ქონებიდან
1270 ევროს ოდენობით გადასახადისგან გათავისუფლება
 - საიჯარო შემოსავალი სოფლის მეურნეობის მიწიდან

უმეტეს შემთხვევაში დღგ 21,5%-ს უდრის. ზოგჯერ არის შემცირებული განაკვეთიც-4.8% ან 13.5%. დღგ გაისრება აქტივებს და სერვისებს, ისევე როგორც იმპორტს. მინიმალური საქონელბრუნვა დღგ-ს კატეგორიაში დასარეგისტრირებლად არის 37 500 ევრო (სერვისებზე) და 75 000 ევრო (პროდუქტებზე). საგადასახდო დეკლარაცია თვეში ერთხელ კვიდება. შემდეგ პროდუქტებს არ გაისრება დამატებითი ღირებულების გადასახადი:

აქსპორტი

- ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება
- საბავშვო ტანსაცმელი
- დაზღვევა და საბანკო მომსახურება.
- საკვები პროდუქტები.
- სასოფლო სამეურნეო სასუქები

ირლანდიაში არსებობს გადასახადი მემკვიდრეობაზე და
საჩუქარზე. დეტალებისთვის იხილეთ [## კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა](http://www.worldwide-</p>
</div>
<div data-bbox=)

თავისი არსებობის პირველი 30 წლის განმავლობაში ირლანდიის სახელმწიფოს არ ჰქონდა ოფიციალური მექანიზმები კულტურული პოლიტიკის განვითარებისთვის. ამ პატარა ქვეყანაში კულტურა აღიქმებოდა, როგორც ფუფუნება, რომლის მხარდაჭერას ახალი სახელმწიფო ვერ მოახერხებდა. თუმცა, 1951 წელს მიიღეს აქტი ხელოვნების შესახებ და შეიქმნა ხელოვნების საბჭო-ავტონომიური სააგენტო. 1975 წელს ხელოვნების საბჭოს გადაეცა

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

უფლებამოსილება ხელოვნების სფეროს დაფინანსებაზე და ის სახელმწიფო მექანიზმად გარდაიქმნა.

1987 წელს გამოვიდა სამთავრობო დოკუმენტი “თეთრი წიგნი,” რომელმაც კიდევ ერთხელ განამტკიცა ხელოვნების საბჭოს როლი, მაგრამ საბჭომ ვერ მიიღო დაპირებული გაორმაგებული დაფინანსება, რომელიც ეროვნული ლატარებიდან უნდა მიედო 1990 წლისთვის. თუმცა, 1987 წლიდან საბჭომ დაიწყო შემოსავლის მიღება ეროვნული ლატარებიდან. 2001-2006 წლებში საბჭოს დაფინანსების 28% სწორედ ეროვნული ლატარებიდან მოდიოდა.

1990 წელს ხელოვნებისა და კულტურის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა, რაც სერიოზული წინადაღმული ნაბიჯი იყო ქვეყნისთვის. ამ დეპარტამენტის შექმნა იყო მთავრობის პირველი მნიშვნელოვანი მცდელობა, რომ ერთი სამთავრობო უწყებისთვის ჩაებარებინა კულტურის მხარდაჭერის საქმე. ამჟამად ფუნქციონირებს ხელოვნების, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ირლანდიური ხელოვნებისა და კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციაზე, კინოინდუსტრიაზე და ეროვნულ კულტურულ ინსტიტუტებზე. მისი მოვალეობაა კულტურის სფეროში პოლიტიკის ფორმულირება, განვითარება და შეფასება. ადგილობრივი მთავრობის ინიციატივებიც მნიშვნელოვან მხარდაჭერას უზრუნველყოფს რეგიონალურ დონეზე. 2008 წელს მთავრობამ სახელმწიფო მინისტრს დაავალა კულტურის მინისტრს დახმარებოდა მოვალეობის წარმატებით შესრულებაში.

ხელოვნების საბჭო კურირებს ისეთ სფეროებს, როგორიცაა მაუწყებლობა, კულტურული მემკოდრეობა, კინოინდუსტრია, ქნის საკითხები. 1995 წელს საბჭოს დაევალა პირველი გეგმის შემუშავება ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებით. საბჭოს დაფინანსება გაორმაგდა. გარდა ამისა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მთავრობამ დაიწყო ახალი პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც ითვალისწინებდა ინვესტიციებს ხელოვნების ინფრასტრუქტურაში. 1990-იანი წლებიდან გააქტიურდა ტენდენცია ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ ხელოვნების სფეროს სპეციალისტების დანიშვნასთან დაკავშირებით.

მთავრობის მიერ ხელოვნების სფეროს დაფინანსება ეფუძნებოდა ხელოვნების საბჭოს გეგმას. ირლანდიაში ეკონომიკური ბუმის პერიოდში მთავრობამ ისე გაზარდა დაფინანსება, რომ 2006 წელს ხელოვნების ფონდმა ზუსტად იმდენი მიიღო, რამდენსაც ითხოვდა ხელისუფლებისგან. 2007-2013 წლების ეროვნული განვითარების გეგმის მიხედვით ხელოვნებისა და კულტურის სფეროსთვის 1.13 მილიარდია გათვალისწინებული. თუმცა, ხელოვნების საბჭოს აქტიური კამპანია ბიუჯეტის 100 მილიონამდე გაზრისათვის 2008 წელს წარუმატებელი აღმოჩნდა. ხელოვნების სფეროში მოღვაწე ზოგიერთმა ორგანიზაციამ ეს ჯაჭრი გლობალურ კრიზისს დაუკავშირდა. ბოლოდროინდედელი პროგრესის მიუხდავად, ხელოვნების დაფინანსებაში სხვა სამთავრობო დეპარტამენტების ჩართვა ერთერთ უმთავრეს საკითხს წამოადგენს ირლანდიაში.

კინოინდუსტრიის პოლიტიკა

ბოლო წლებში ირლანდიის კინოინდუსტრია მნიშვნელოვნად განვითარდა. ქვეყნაში შემუშავდა საკმაოდ კარგი პოლიტიკა, რომელიც ეფუძნებოდ ეხმარება ეროვნულ წარმოებას. თუმცა, წარმატებების მიუხდავად, ბოლო 5 წლის განმავლობაში გარკვეული დაბრკოლებებიც იყო, რადგან ცვლილებები

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

მოხდა საგადასახადო შედაგათვების სქემაში და გამოჩნდა უფრო იაფი ალტერნატივა ფილმების გადასაღებად აღმოსავლეთ ეკონომიკური 8 გვიჩვენებს სახელმწიფოს მიერ 2006-2007 წლებში კინოინდუსტრიაზე გაწევდ ხარჯებს.

ცხრილი 8: სახელმწიფოს დანახარჯები კულტურის სფეროში; სექტორების მიხედვით, ევროში, 2006 და 2007 წლების მონაცემები

სექტორი/სფერო/ქვე-სფერო სულ 2006 სულ 2007 % total

კულტურის ინსტიტუტები	47 956 000	50 297 000	14.86
მეცნიერება	87 690 000	98 182 000	29.00
ბიბლიოთეკები	12 316 000	17 949 000	5.30%
სელოვნების საბჭოს მხარდაჭერის სფეროები (ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, თეატრი, მრავალფუნქციური ხელოვნება)	75 849 000	77 329 000	22.84 %
კულტურული განვითარების პროექტები	27 444 000	44 774 000	13.23
კინო	19 426 000	22 159 000	6.55%
კულტურული ღონისძიებების ხარჯი საზღვარგარეთ	2 327 000	4 202 000	1.22%
კულტურული ღონისძიებების სხვა ხარჯები	23 552 000	23 645 000	6.98%
სულ	296 200 000	338 537 000	100.0%

ირლანდიის მთავრობა ფლობს ან ეხმარება კინოინდისტრიასთან დაკავშირებულ შემდეგ კულტურულ საგენტოებს:

ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო-რომლის მიზანია ირლანდიური ფილმების წარმოება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის შიგნით დამ ის ფარგლებს გარეთ. ეს საბჭო უზრუნველყოფს სესხებს და სააქციო ინვესტიციას ირლანდიური ფილმების წარმოებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

“Access Cinema” (ხელმისაწვდომი კინო) ეხმარება კინოინდუსტრიის საზოგადოებას ქვეყნის მასშტაბით.

“Filmbase”- ეხმარება ფილმების დამოუკიდებლად მწარმოებლებს ირლანდიაში. ეს სააგენტო თავის ფუნქციებს სხვადასხვა მომსახურებით ასრულებს-ზრუნავს ტრენინგებზე, საინფორმაციო სერვისზე, დაბალბიუჯეტიანი ფილმების ლობირებაზე. სააგენტო გამოსცემს შეაწილებს “ირლანდიული კინო” და ხელმძღვანელობს მოკლემეტრაჟიანი ფილმების ორ ფესტივალს.

ირლანდიის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი- საქვემდებრებო სტარუსის მქონე კომპანია. ხელოვნების საბჭოდან მიღებული დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარება ირლანდიული კინოს არქივს და წვლილი შეაქვს კინემატოგრაფიის ცენტრის მართვაში. 2007 წელს ხელოვნების საბჭომ ინსტიტუტს 867 000 გადაურიცხა. 2008 წელს ამ თანხამ 898 148 შეადგინა. 2007 წელს ირლანდიის კინამატოგრაფიის ინსტიტუტმა დაფინანსება მოიპოვა ხელოვნების, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტისგან, რაოდ ნაწილობრივ დაეფინანსებინა ინსტიტუტის ცენტრის სარემონტო სამუშაოები და არქივის გადაადგილების პროცესი.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

“Cinemobile”- ეროვნული მიღენიუმის კომიტეტის ერთეულთი აგენტაზე საინტერესო პროექტი. ესაა 100- ადგილიანი მობილური კინოთეატრი. დღემდე ამ კინოთეატრს უკვე 100 000 ადამიანი ეწვია.

ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო

ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო ეროვნული სააგენტოა, რომელიც მხარს უჭერს და პოპულარიზაციას უწევს ირლანდიულ კინოინდუსტრიას და მის გამოყენებას საერთაშორისო წარმოებისთვის,

ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო პირდაპირად ჩართული შემოქმედებით პროცესში, იქნება ეს მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაფიანი, საჩელებელი თუ ანიმაციური ფილმების სცენარის შექმნა, ინვესტიციების განხორციელება, წარმოება, გამოშვება, ა.შ. ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო 100-ზე მეტი ჯილდო აქვს აღებული სხვადასხვა მნიშვნელოვან ფესტივალზე, როგორიცაა კანის, ბერლინის, ვენეციისა და ტორონტოს ფესტივალები.

სააგენტოს კინემატოგრაფიის კომისია პირდაპირ ინვესტიციებს იზიდავს და ეხმარება უცხოელ პროდიუსერებს ირლანდიაში ფილმის გადაღების პროცესში. ლოკაციის მომსახურების განყოფილება უზრუნველყოფს სრულ ინფორმაციას ფილმის გადაღების სხვადასხვა ასპექტებზე, როგორიცაა საგადასახადო შედაგათები, კასტინგი, გადამდები ჯგუფი, აღჭურვილობა, ა.შ.

1993 წლის აპრილში ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო აღდგა 1980 წლის აქტის საფუძველზე, რომელშიც კვლილებები შეიტანეს 1993, 1997 და 2000 წლებში. საბჭოს წლიური ბიუჯეტი ერთხმად იქნა დამტკიცებული და მისი მოცულობა 20.4 მილიონით განისაზღვრა 2009 წელს. ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო ფუნქციონირებს ხელოვნების, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ეგიდით.

სპეციფიკური ინტერვენციები

2008 წელს ხელოვნების, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტმა ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭოს 20 000 000 გადასცა სუბსიდიის სახით. ამ თანხიდან 3 000 000 დაიხარჯება ტრენინგზე და ფილმის წარმოების სხვადასხვა აქტივობაზე. 17 000 000 კი მოხმარდება წარმოებასა და დისტრიბუციას.

44

ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო მთავარი ორგანიზაციაა, რომელიც კინოინდუსტრიაში სპეციფიკურ ინტერვენციებს უზრუნველყოფს:

განვითარება

სესხი მხატვრული ფილმის განვითარებისთვის

პროდიუსერების დაფინანსება, რათა მათ შეძლონ ყველა პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და მხატვრული ფილმი პროექტი განსახორციელებლად მომზადონ

სესხი პირველი პროექტისთვის

სცენარისტების და რეჟისორების დაფინანსება, რათა შეიქმნას სცენარის პირველი ვერსია

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

- სესხი ანიმაციის განვითარებისთვის
- ანიმაციური კომპანიების დაფინანსება, რათა მათ შეიმუშავონ კონკრეტურა, სიუჟეტი და შესარულონ ყველანაირი სამუშაო ანიმაციური ფილმის შესაქმნელად.
- მრავალფეროვანი პროექტის განვითარება დაფინანსების მაქსიმალური დოზით შერჩეული მხატვრული და ანიმაციური ფილმების მწარმოებელი კომპანიების დაფინანსება, რათა მათ განვითარონ პროექტები, აქცენტი გააკეთონ მხატვრულ ფილმებზე. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის დასაწყისში 10-მა კომპანია, მიიღო მაქსიმალურად დასაშვები ოდენობის დაფინანსება და ამჟამად ეს პროგრამა დროებით დახურულია ახალი მსურველებისთვის.

წარმოება

- მხატვრული ფილმი
ირლანდიის კინემატოგრაფიის ცენტრი აფინანსებს მხატვრული ფილმების დაფინანსებას გარკვეული კატეგორიების გათვალისწინებით;

1.

ირლანდიური

წარმოება ირლანდიული რეჟისორების, სცენარიტების, პროდიუსერების მიერ გადაღებული ფილმები, რომელთა შინაარსი ძირითადად ირლანდიულ კულტურას გამოხატავს და რომელთა მენეჯმენტი ირლანდიულთა ხელშია

2. **შემოქმედებითი თანაწარმოება** ირლანდიის ფარგლებს გარეთ შექმნილი ფილმი, სადაც ირლანდიული პროდიუსერი მუშაობს, როგორც შემოქმედებითი პარტნიორი და საჭირო ფინანსების მინიმალურ ნაწილს უზრუნველყოფს. ფილმი არის ოფიციალურად გაფორმებული ერთობლივი წარმოების პროდუქტი. დამფინანსებელი მხარე ვალდებულია მხარი დაუჭიროს ირლანდიურ ფილმს.

3. **საერთაშორისო წარმოება** უცხოური ფილმები და სატელევიზიო სპექტაკლები, რომლებიც ირლანდიაშია შექმნილი/გადაღებული, სადაც არის ირლანდიული პროდიუსერის მუშაობის წვლილიც აღვილობრივი მომსახურების თვალსაზრისით

4. **ანიმაცია** ანიმაციური მხატვრული ფილმებისა და ტელესერიალების წარმოების დაფინანსება

5. **დოკუმენტური ფილმები** დოკუმენტური ფილმების წარმოების დაფინანსება და ძირითადი აქცენტის გაკეთება შემოქმედებითი ხასიათის დოკუმენტურ ფილმებზე, რომლებიც შესაფერისი იქნება საერთაშორისო მაყურებლისთვის ფესტივალებზე წარსადგენად.

6.

რაჟიანი ფილმები

მოკლემეტი

ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭოს აქც 5 მოკლემეტრაჟიანი ფილმების წარმოებისფილა:

- **Signatures** (ცოცხალი მოქმედება, მაქსიმუმ 12 წუთი)
- **Frameworks** (ანიმაცია, 5-6 წუთი)
- **Reality Bites** (დოკუმენტური, მაქსიმუმ 12 წუთი)
- **Short Shorts** (ცოცხალი მოქმედება ან ანიმაცია, 3 წუთამდე)
- **Virtual Cinema** (ცოცხალი მოქმედება ან ანიმაცია, 2 წუთამდე)

რეგიონალური მხარდაჭერა

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრის მიერ დაფინანსებული მხატვრული და ტელეფილმების დამატებითი დაფინანსება სტიმულირების სახით, რათა მოხდეს გადადება დუბლინისა და უიკლოუს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ

დაფინანსება მხატვრული, დოკუმენტური თუ ანიმაციური ფილმისთვის (და არა სატელევიზიო სპექტაკლისთვის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის), რომლებმაც წარმოების ბოლო ფაზას მიაღწიეს ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრის დაფინანსების გარეშე, თუმცა თანხები გაუთავდათ

პროექტი კატალიზატორი

2007 წელს ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრმა (ბისიასთან, ხელოვნების საბჭოსთან და მესამე არხთან თანამშრომლობით) 3 მხატვრული ფილმის ძირითადი ხარჯები დააფინანსა ტრენინგისა და წარმოების სქემის ფარგლებში, რომელიც შეიმუშავა Screen Training Ireland-თან და Filmbase-თან ერთად.

- დოკუმენტური ფილმების ხელოვნების თემაზე
- ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრი ხელოვნების საბჭოს დახმარებით აფინანსებს 6 დოკუმენტურ ფილმს ხელოვნების თემაზე

დისტრიბუცია

- დაბეჭდვა
მხატვრული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმების დაბეჭდვის დაფინანსება (ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრის დახმარებით ან მის გარეშე), რათა მოხდეს ამ ფილმების ოფიციალური ჩამონიშვნის დაბეჭდვის დაფინანსება, რომლებიც ირლანდიაში იქნება ნაჩვენები.

დაბეჭდვა და რეკლამირება

ირლანდიელი დისტრიბუტორების დაფინანსება, რათა მათ დაფარონ ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრის მიერ დაფინანსებული მხატვრული ფილმის ჩვენების ხარჯები

- ახალი ფილმების დისტრიბუცია/ჩვენება/მხარდაჭერა
- ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრი განიხილავს ინტერვენციის ახალ გზებს, რათა გაზარდოს ირლანდიური ფილმების მაყურებელთა რიცხვი ქვეყნის მასშტაბით და ელის შემოთავაზებებს კინოიდუსტრიის წარმომადგენლებისგან.

საგადასახადო შედავათები

ირლანდიის კინემატოგრაფიის კენტრი ირლანდიაში მოდგაწევ კინოკომპანიებს საგადასახადო შედავათებს სთავაზობს სპეციალური სქემის მიხედვით. ეს სქემა მოიცავს მხატვრულ ფილმებს, შემოქმედებით დოკუმენტურ ფილმებს, სატელევიზიო სპექტაკლებს და ანიმაციურ ფილმებს. სქემა №481 ითვალისწინებს საგადასახადო შედავათებს (28%-მდე). შედავათები ხელმისაწვდომია, როცა ეკრონიკული რომელიმე ქალების შემოქმედებითი ჯგუფი ფილმს იდებს ირლანდიაში და იყენებს ადგილობრივ მომსახურებას.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

თუმცა განსაზღვრულია ხარჯის მაქსიმალური ოდენობა- თითოეულ პროექტზე 50 მილიონი.

შედეგები/გავლენა

ირლანდიის კინოინდუსტრიაში 4300-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული და ამ სფეროდან ქვეყნის ეკონომიკაში უოველწლიურად 107 მილიონი შედის. 43

მას შემდეგ, რაც ინდიკიდუალური ინვესტორებისთვის საგადასახადო შედაგათხბი დაწესდა და 1993 წელს ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო გახსახლდა, 400-მდე მხატვრული ფილმი, საჩელევიზიო სპექტაკლი, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი გამოვიდა. ირლანდიულმა მხატვრულმა ფილმებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და კანდაზე მნიშვნელოვან ფესტივალებზე დაჯილდოვდნენ. ირლანდიის შემოქმედებითი გუნდი უმაღლესი დონისაა და ბევრ კნობილ მსახიობსა თუ რეჟისორს მოიცავს- კოლინ ფარელი, სილიან მერფი, ჯონათან რის მეიერსი, ლიან ნისონი, ფიონუალა ფლანაგანი, ნეილ ჯორდანი, ჯიმ შერიდანი, ჯონ მური, კირსტენ შერიდანი და დამიან ოდონელი.

1993 წლის აპრილიდან მოყოლებული ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭო პირდაპირად ჩართული შემოქმედებით პროცესში, იქნება ეს მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი, საჩელევიზიო თუ ანიმაციური ფილმების სცენარის შექმნა, ინვესტიციების განხორციელება, წარმოება, გამოშვება, ა.შ. ირლანდიის კინემატოგრაფიის საბჭოა 100-ზე მეტი ჯილდო აქვთ აღიბული სხვადასხვა მნიშვნელოვან ფესტივალზე, როგორიცაა კანის, ბერლინის, ვენეციისა და ტორონტოს ფესტივალები.

ირლანდიაში მულტიპლექსის უდიდესი ქსელია გარდ ანდერსონი. სხვა კინოთეატრების მფლობელები არიან კომპანიები United Cinemas International, Cineworld, და Vue. ერთეული უდიდესი დამოუკიდებელი კინოთეატრების ქსელი ეკუთვნის Storm Cinemas-ს, რომლის კინოთეატრები მდებარეობს ბელგასტში, ლიმერიკში, უოთერფორდში, ნავანში, ნაასში, ა.შ. 2005 წლის შემოდგომაზე ბაზარზე მულტიპლექსის ახალი ქსელი გამოჩნდა სახელწოდებით Movies@. Blockbuster Video-ს შვილობილი კომპანია Xtravision ვიდეო გაქირავების ბაზარზე დომინირებს.

ამ ბოლო დროს ირლანდიულ კინოინდუსტრიას მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა. მაგალითად 2006 წელს გამოსულმა ფილმმა *The Wind That Shakes the Barley* დიდ წარმატებას მიაღწია და 3.5 მილიონზე მეტი შემოსავალი მოუტანა კინოთეატრებს. წარმოების ხარისხი უფრო და უფრო იზრდება. ირლანდრიის კინემატოგრაფიის საბჭომ საგრძნობლად გაზარდა დაფინანსება. 2005 წელს დაფინანსება 35 მილიონი ოყო, 2006 წელს კი 120 მილიონს გადაჭარბა. თუმცა კინოთეატრების მაყურებელთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად აღნიშნულ ბაზარზე წარმატება არც თუ ისე დიდია. წინასწარი პროგნოზით 2010 წლის პროგნოსის მიხედვით კინოთეატრებში 20 მილიონი ადამიანი წავა (85%-ით მეტი დასწრება, უფრო მაღალი ვიდრე მთლიანად ევროპავშირში).⁴⁴

გაერთიანებულ სამეცნიერო საგადასახადო შედაგათების ცვლილება და 2006 წელს ახალი საგადასახადო სქემა იმის მანიშნებელია, რომ გაერთიანებული სამეცნიერო აღარ იქნება თანადამტინანსებელი, ის იქნება კონკურენტი, რომელსაც ბოლო წლებში დიდი გავლენა ჰქონდა ირლანდიურ კინოინდუსტრიაზე. ამ

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ცვლილებების შემდეგ უცხოეთის ქვეყნებმა ძალიან მცირე ოდენობის ფილტი გადაიღეს ირლანდიაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ადგილობრივი კინოწარმოების ბაზარი სუსტია გლობალური ტენდენციების მიმართ.

ბოლოდროინდელი კვლევა გვიჩვინებს კინოინდუსტრიის დამატებით ეკონომიკურ სარგებელს ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში. მაგალითად იმ ტურისტთა 10%, რომელმაც პირველად მოინახულეს ირლანდია, აცხადებს, რომ ქვეყანაში მოგზაურობის სურვილი განაპირობა ირლანდიის კურანზე ნახევად.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ახალი ზელანდია

ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

მოსახლეობა: 4,280,000 (გაერო, 2008)

ფართობი: 268,680 კვადრატული კილომეტრი

დედაქალაქი: ველინგტონი

მშპ: 128.7 მილიარდი ლირა (2008)

ეკონომიკის ძირითადი დარგები: მომსახურება, წარმოება, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა
ძირითადი საგარენო პარტნიორები: ავსტრალია, აშშ

ახალი ზელანდია წარმოადგენს დამოუკიდებელ საპარლამენტო დემოკრატიულ სახელმწიფოს ბრიტანეთის თანამეგობრობის ფარგლებში. ახალ ზელანდიას აქვს თანამედროვე, მაღალგანვითარებული ეკონომიკა რომლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ფულადი გამოსახულება შეადგენს 128.1 მილიარდ აშშ დოლარს (2008). ეკონომიკის უდიდესი დარგია მომსახურების სექტორი (მშპ-ს 68.8%), ამას მოსდევს წარმოება და მშენებლობა (მშპ-ს 26.9%) და სოფლის მეურნეობა/ნედლეულის მოპოვება (მშპ-ს 4.3%). ახალი ზელანდია არის ქვეყნა, რომელიც მთლიანად არის დამოუკიდებული თავისუფალ ვაჭრობაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა

უკანასკნელ წლებში ახალ ზელანდიაში გაიზარდა კულტურის დარგის მნიშვნელობა. ამ დარგში დასაქმებულია მუშახელის დასახლოებით 6 % და დასაქმების ეს მაჩვენებელი იზრდება ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით. ყველა სახის ბიზნესის დაახლოებით 5%-ზე მეტი ამ დარგზე მოდის.

კულტურის დარგის დახმარების მარეგულირებელი სისტემა ახალ ზელანდიაში ეფუძნება თანამეგობრების სხვა ქვეყნების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს ისეთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობას, რომლებსაც არ აკავშირებთ ერთმანეთთან რაიმე სახის საერთო ინტერესები ("arm's length" model). ამ მოდელის მიხედვით კულტურის სფეროს დაწესებულებებს ფლობს და აფინანსებს მთავრობა, რომელიც ნიშნავს მათ მმართველ საბჭოებს და მოითხოვს მათგან პარლამენტის ნორმატიული აქტით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას. აღნიშნული ნორმატიული აქტის ფარგლებში თითოეული ასეთი დაწესებულება ავტონომიურად განსაზღვრავს და განახორციელებს საკუთარ სტრატეგიას. მთავრობა აფინანსებს, აგროთვე იმ ორგანიზაციებსაც, რომლებიც არ არის მის მფლობელობაში, როგორიც არის ახალი ზელანდიის ინდუსტრიული კონფერენცია.

იმისათვის, რომ გაეზარდა კულტურის დარგის მხარდაჭერა 2008 წელს მთავრობამ შემოიღო კულტურული აღორძინების პაკეტი, რომლის საფუძველზე თავდაპირველად მოხდა დარგში 80 მილიონი ლირარის ინვესტირება და დამატებით დაპირდნენ მომავალი სამი წლის განმავლობაში ყოველ მომდევნო წელს 20 მილიონი ლირარის ინვესტირებას. აღნიშნული დაფინანსების გამოყოფით მთავრობამ გამოკვეთა ის პრიორიტეტები, რასაც ინვესტიციები მოხმარდებოდა, კერძოდ შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, განვითარდებოდა ტურიზმის სექტორი, გამოიკვეთებოდა ახალი ზელანდიის ეროვნული თვითმყოფადოება.

1991 წელს შეიქმნა კულტურის და მემკვიდრეობის სამინისტრო, რომელსაც კულტურის დარგებზე მთავარი პასუხისმგებლობა დაეკისრა. მას აქვს მანდატი შემდეგი მიზნების მისაღწევად:

"სახელმწიფო რესურსების კველაზე ეფექტური გამოყენება, ახალი ზელანდიის კულტურის გავებისა და დაფასების უნარის ამაღლება, ახალი ზელანდიის კულტურული მიღწევების

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

"ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009"

საყოველთაობის და მის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, ახალი ზელანდის კულტურული თვითმყოფადობის გაძლიერებისთვის ზრუნვა.”

სამინისტრო ახდენს კულტურის დარგის ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების აღმინისტრირებას და არეგულირებს მათ ურთიერთობას დიდი ბრიტანეთის უზენაეს ხელისუფლებასთან. ამ ტიპის კინორგანიზაციებია:

- [Creative New Zealand](#) (ახალი ზელანდის ხელოვნების საბჭო)
- [New Zealand Film Commission](#) (NZFC) ახალი ზელანდის კინოკომისია

კულტურული დაფინანსების ნაწილს (რომელიც დღეს 5 %-ს შეადგენს) უზრუნველყოფს ახალი ზელანდის „სახელმწიფო ლატარიის საბჭო“, რომლის მოვალეობას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გათამაშებული ეროვნული ლატარით შემოსული მოგების განაწილება საქველმოქმედო მიზნით. მთავრობის მოთხოვნით სახელმწიფო ლატარიის საბჭო გამოუყოფს ახალი ზელანდის ხელოვნების საბჭოს, ახალი ზელანდის კინოკომისიას და ახალი ზელანდის სპორტისა და რეკრეაციის ორგანიზაციას თავისი შემოსავლის ფიქსირებულ პროცენტს. წარსულში ამ ორგანიზაციებს გაცილებით დიდი გრანტები ეძლეოდათ, ვიდრე ის, რომელსაც ისინი ორგანიზაცია Vote Arts, Culture and Heritage-ის მეშვეობით იღებდნენ. 2000 წლიდან Vote Arts Culture and Heritage-ის დაფინანსება გაუტოლდა „სახელმწიფო ლატარიის საბჭოს“ დაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში კიდეც გადაჭარბა მას.

კინოს პოლიტიკა

უკანასკნელ წლებში ახალი ზელანდის კინოინდუსტრია მნიშვნელოვნად გაიზარდა. კინოინდუსტრიის პირველმა ოფიციალურმა წლიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს დარგი აერთიანებდა 2,058 ბიზნესს, რომელთა 90 % წარმოებაში ან წარმოების შემდგომ ფაზაში (პისტპროდუქცია) იყო ჩამული.

ახალი ზელანდის ხელისუფლება ფლობს და ფინანსურ დახმარებას უწევს რამდენიმე კონკრეტულ კინოროგანიზაციას, კერძოდ:

- [New Zealand Film Commission](#) (ახალი ზელანდის კინოკომისია) ვალდებულია წახალისოს ახალ ზელანდიური ფილმების წარმოება და დისტრიბუცია და მათი განვითარება. იგი არ აწარმოებს ფილმებს, მაგრამ ეხმარება მათ წარმოებას ინვესტიციების და მარკეტინგის საშუალებით; აგრეთვე ინფრასტრუქტურული და განვითარების ინიციატივების მხარდაჭერით.
- [New Zealand Film Archive](#) (ახალი ზელანდის კინოარქივი) აგროვებს, ინახავს და ახდენს ახალი ზელანდის კინემატოგრაფიულ მემკვიდრეობის დემონსტრირებას. არქივი საქველმოქმედო ტრასტია, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. იგი თავად ნიშნავს სამურველ საბჭოს.
- [Film New Zealand](#) (კინოგადაღება ახალ ზელანდიაში) არის საერთაშორისო ორგანიზაციის [Association of Film Commissioners International](#) (AFCI) წევრი. ეს არის უწყება, რომელიც კინოფილმების გადაღებას არეგულირებს ახალ ზელანდიაში. იგი ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი კინოგადაღებების, ასევე საერთაშორისო კინოგადაღებების წარმოებას ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია კინოგადაღების თვალსაზრისით. ეს არის დამოუკიდებელი სამრეწველო ორგანიზაცია. მას სამურველ საბჭო განაგებს, სადაც წარმოდგენილი არიან როგორც კინემატოგრაფისტები, ასევე ხელისუფლება. .

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

- **The New Zealand Screen Council** (ახალი ზელანდის კინოსაბჭო) არის დარგობრივი ორგანიზაცია, რომელსაც კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა უვალება. იგი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, რომელთა შორის არის ბიზნესის განვითარება, „ბროუდბენდი“ (broadband - ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხმის, მონაცემების, ვიდეოს ერთდროულ გადაცემას. ჩვეულებრივ ეს მიიღწევა მულტიპლექსური გადაცემით, სიხშირების გაყოფით), გადასახადებით დაბეგვრა, განათლება და ტრენინგი, ახალი მედია, სახელმწიფო დაფინანსება და კვლევა.
- **Creative New Zealand** წარმოადგენს ახალი ზელანდის ხელოვნების საბჭოს. იგი ინვესტირებას ახდენს ხელოვნებისა და შესაძლებლობათა განვითარებაში, რათა სურვილისამებრ ქვეყნის ყველა მოქალაქემ შეძლოს შემოქმედებითი საქმიანობა და ხელოვნებასთან ზიარება. იგი ახალ აუდიტორიას და ბაზრებს ქმნის ახალ ზელანდიური ხელოვნებისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

ახალი ზელანდის კინოკომისია

ახალი ზელანდის კინოკომისია (The New Zealand Film Commission (NZFC)) 1978 წელს დაარსდა პარლამენტის აქტის საფუძველზე.

კინოკომისია თავად არ აწარმოებს ფილმებს. იგი ახალ ზელანდიულ კინემატოგრაფისტებს უზრუნველყოფს სესხებით და საკუთარი სახსრების ხარჯზე დაფინანსებით (equity financing), რომ დაეხმაროს მათ ახალი შხატვრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმების დამუშავებასა და წარმოებაში. კინოკომისია ორგანიზებას უკეთებს ახალი ზელანდის ღირსულ მონაწილეობას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კინოფესტივალებში და კინობაზრებში. საკუთარი სავაჭრო საგენტოს - NZ film –ის სამუალებით კინოკომისია მონაწილეობს ეროვნული ფილმების რეალზაციასა და მარკეტინგში. იგი ხელს უწყობს დარგის ფარგლებში ტრენინგს და პროფესიულ განვითარებას, რისთვისაც თანამშრომლობს სხვა კინემატოგრაფიულ ორგანიზაციებთან. კინოკომისიას კანონით ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ „წაახალისოს, ახალ ზელანდიაში ახალ ზელანდიულების მიერ ახალ ზელანდიურ თემებზე შექმნილი ფილმების მარკეტინგი, „პრომოუშენი“, დისტრიბუცია და დემონსტრირება, თავად მიიღოს ამაში მონაწილეობა და უზრუნველყოს სათანადო დახმარება.“ იგი უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას მხოლოდ იმ ფილმებისთვის, რომელთა შინაარსი მნიშვნელოვანწილად ახალ ზელანდიურია, როგორც ეს აქტშია განმარტებული; ეს განმარტება ოფიციალურ ერთობლივი წარმოების ფილმებსაც მოიცავს.

კინოკომისიის მიზანია ყოველწლიურად სულ მცირე ოთხ მხატვრულ ფილმში (როგორც ციფრულ, ასევე მსხვილბიუჯეტიან) და ცხრა მოკლემეტრაჟიანი ფილმში ინვესტირების განხორციელება. 2008 წელს ეს მიზანი გადაჭრებით შესრულდა და 12 მხატვრულ ფილმს მიაღწია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი ინვესტიციების ხარჯზე.

კინოკომისიის წლიური ბიუჯეტი დამოკიდებულია სახელმწიფო დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე და კინოში ჩადებული ინვესტიციების ამონაგებზე. 2008/2009 ფინანსური წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავალი შეადგინ 15.778 მილიონ ლონარს. კინოკომისიის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავალის 23% სახელმწიფოსგან მოდის, 61% - სახელმწიფო ლატარიის მოგებადან, ხოლო დანარჩენი მოგებიდან და პროცენტებიდან. კინოკომისიამ მიმღისარე 2008/2009 წელს ბიუჯეტით გაითვალისწინა 10.07 მილიონი დოლარის ინვესტირება მხატვრული ფილმების წარმოებასა და დამუშავებაში. გარდა ამისა, მან 1.6 მილიონი დოლარი დაგეგმა მოკლემეტრაჟიანი ფილმების წარმოებისთვის და 2.5 მილიონი დოლარი - მხატვრული ფილმების „პრომოუშენის“ და მარკეტინგისთვის.

კინოკომისია გადაწყვეტილებებს იღებს რვაწევრიანი საბჭოს საშუალებით, რომელსაც ხელოვნების, კულტურის და მემკვიდრეობის მინისტრი ნიშნავს. საბჭოს წევრები წარმოადგენენ როგორც

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ო-უ-პი კონსალტინგი, 2009”

კინოინდუსტრიას, ასევე ბიზნესის და ხელოვნების მუშაკთა ფართო წრეებს. მას ჰყავს 19-კაციანი პერსონალი, რომელსაც აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხელმძღვანელობს.

ერთობლივი წარმოების შესახებ ხელშეკრულებები

ამჟამად ახალ ზელანდიაში არსებობს შეიძი თრმზრივი ხელშეკრულება ან შეთანხმება ერთობლივი წარმოების შესახებ ავსტრალიასთან (1986), კანადასთან (1987), საფრანგეთთან (1987), გაერთიანებულ სამეფოსთან (1993), იტალიასთან (1997) განახლდა 2004), სინგაპურთან (2004) და გერმანიასთან (2005). გარდა ამისა, ახალ ზელანდიას თანამშრომლობის შესახებ არასავალდებულო შეთანხმებები აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას (2005) და კორეასთან (2005), რომელიც აუდიოვიზუალურ დარგებში ერთობლივი წარმოებას ეხება.

ერთობლივი წარმოების ფილმების შესახებ ხელშეკრულებები ხელს უწყობს დამტკიცებულ პროექტებს, რომ ოფიციალური ერთობლივი წარმოების სტატუსი მოიპოვონ. ეს მათ საშუალებას მისცემს ეროვნული ფილმებისთვის განსაზღვრული შეღავათები მიიღონ ერთობლივი წარმოების მონაწილე თითოეულ ქვეყანაში. შეღავათები ითვალისწინებს ფილმის დაფინანსების მიღებას და შესაბამის სტიმულირებას თითოეული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აგრეთვე, სახელმწიფო ხელშეწყობას, როგორიც არის მეორე ქვეყნის მოქალაქეების დროებითი იმიგრაცია და აპარატურის დროებით შემოტანა. ახალი ზელანდიის მთავარი შეღავათი ეროვნული ფოლმის მიმართ არის ფინანსური დახმარების მისაღებად კვალიფიკაციის მინიჭება ახალი ზელანდიის კინოკომისიის 1978 წლის აქტის 18 პუნქტის თანახმად.

კონკრეტული ჩარევა (დახმარება)

ახალი ზელანდიის კინოკომისია არის წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვემოთ მითითებულ კონკრეტულ ჩარევას (დახმარებას):

- **კინოკომისიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფონდი** – იმართება სამი აღმასრულებელი საპროდიუსერო ჯგუფის მიერ, რომლებსაც ყოველწლიურად ნიშნავენ სულ მცირე სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმის შესარჩევად დაახლოებით 100 000 დოლარის ბიუჯეტით. აღმასრულებელი საპროდიუსერო ჯგუფები იდებენ დოკუმენტაციას უშუალოდ ფილმის შემქმნელთა ჯგუფებისგან და ეხმარებიან მათ ფილმის განვითარებაში, წარმოებაში და კინოკომისიისთვის მიწოდებაში.
- **მოკლემეტრაჟიანი ფილმების წარმოების შემდგომი პერიოდის ფონდი** ყოველწლიურად 110,000 დოლარს უზრუნველყოფს, რომ დააფინანსოს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ჩვენება საკვალიფიკაციო ფესტივალებზე. განაცხადი მიიღება 30 000-მდე დოლარის მოცულობის თანხაზე.
- **კინემატოგრაფიული ინოვაციების საპროდიუსერო ფონდი** წარმოადგენს ამსანავობას ახალი ზელანდიის კინოკომისიის და ახალი ზელანდიის ხელოვნების საბჭოს მონაწილეობით. მისი მიზანია ახალი და განუმეორებელი კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შექმნის ხელშეწყობა. ეს ფონდი გასცემს გრანტებს ახალბედა ან გამოცდილ კინემატოგრაფისტებზე ინოვაციური ფილმების შესაქმნელად. 25,000 დოლარია მაქსიმალური თანხა, რომელზეც განაცხადი შეიძლება წარადგინოთ. დებიუტანტებს, რომლებსაც პირველად შეაქვთ განაცხადი, შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტები 15,000-დან 17,000-მდე დოლარის ბიუჯეტით.
- **დამოუკიდებელი კინემატოგრაფისტების ფონდი** არის ახლებური ტიპის თანამშრომლობა ახალი ზელანდიის კინოკომისიის და ახალი ზელანდიის ხელოვნების საბჭოს მონაწილეობით. მისი დაარსების მიზანი იყო ინვესტიციების ჩადება გამოცდილი კინემატოგრაფისტების

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

განსაკუთრებულ, ინოვაციურ, მაღალხარისხოვან, არაკომერციულ პროექტებში, რომლებიც მიისწრაფიან მოიზიდონ აუდიტორია ახალ ზელანდიასა და მის ფარგლებს გარეთ. ყოველწლიურად ეს ფონდი გასცემს გრანტებს კინოფილმების წარმოების და/ან წარმოების შემდგომი პერიოდების დასაფინანსებლად. ახალი ზელანდიის კინოკომისიის და ახალი ზელანდიის ხელოვნების საბჭოს მიერ გრანტების სახით გაცემული თანხა 2009 წლის ივნისის დაფინანსების რაუნდისთვის სულ 540,000 აშშ დოლარს შეადგენს.

- ერთი პროექტის განვითარების (*development*) განაცხადები მიიღება ახალზელანდიელი პროდიუსერებისგან, რომელებსაც სათანადო გამოცდილება აქვთ **დრამატული კინოფილმების** (film drama) შექმნაში. გადაწყვეტილებების მიღება სამ დონეზე ხდება:
 - ✓ საკადრო კომიტეტი (*Staff Committee*) – წამყვანი სპეციალისტების ჯგუფი განიხილავს დამუშავების აღრეულ ეტაპზე მყოფი პროექტების განაცხადებს, რომელთა ღირებულება მაქსიმუმ 40,000 დოლარია; ჩვეულებრივ თითოეული განაცხადი არ აღემატება 20,000 აშშ დოლარს.
 - ✓ განვითარების კომიტეტი (*Development Committee*) – ეს არის წარმოების ორი პროფესიონალისგან შემდგარი ჯგუფი, რომელთაგან ერთი საბჭოს წევრია, ხოლო მეორე აღმასრულებელი დორექტორი. ეს კომიტეტი განვითარების დეპარტამენტთან ერთად განიხილავს პროექტებს, რომელთა წარმოების ჭეშმარიტი პოტენციალი მაქსიმუმ 110,000 დოლარია.
 - ✓ საბჭო - ახალი ზელანდიის კინოკომისიის საბჭო, რომელიც განიხილავს განაცხადებს იმ პროექტების განვითარების ბოლო სტადიასთან, „**შეფუთვასთან**“ (packaging) და დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომელთა წარმოების სავარაუდო ხარჯები არ აღემატება განვითარების დაფინანსებას მაქსიმუმ 150,000 დოლარის ფარგლებში.
- "მწერალთა I ინიციატივა" – იმართება ყოველი წლის სექტემბერში. ნებისმიერ სცენარისტს, რომელსაც მანამდე არ მოუღია განვითარების დაფინანსება, შეუძლია წარმოადგინოს თავისი სცენარი იმის მიუხედავად, ჰყავს თუ არა მას პროდიუსერი. სცენარებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებს „ვორკშოპში“, არჩევს ახალი ზელანდიის კინოკომისიის განვითარების სამსახური სცენარების ექსპერტ კონსულტანტთან და სამ დამოუკიდებელ შემფასებელთან ერთად. ხდება ექვსი სცენარისტის შერჩევა 2-დღიან „ვორკშოპში“ მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ყოველი წლის სექტემბერში იმართება.
- ზელმისაწვდომია სამი ტიპის გადაცემული ფონდები:
 - გადაცემული განვითარების ფონდი-** განკუთვნილია გამოცდილი კინოპროდიუსერებისთვის, რომლებსაც არაერთი წარმატებული ფილმი აქვთ შექმნილი. მისი მოცულობაა დაახლოებით 250,000 დოლარი. გაიცემა ორი წლით, რომ მწერლებს და სცენარების განვითარებას მოხმარდეს.
 - საპროდიუსერო ზედნადები ხარჯების ფონდი** – განკუთვნილია პროდიუსერებისთვის, რომლებსაც სულ მცირე ერთი წარმატებული მხატვრული ფილმი აქვთ შექმნილი. 50,000 დოლარი გაიცემა ერთი წლით და უნდა მოხმარდეს ზედნადებ ხარჯებს, დაკავშირებულს სცენარისა და პროექტის განვითარებასთან.
 - მწერალთა ფონდი** – ეს პროგრამა გამოცდილი მწერლებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც სულ მცირე ერთი ახალზელანდიური მხატვრული ფილმის სცენარი აქვთ დაწერილი, რომელიც კინოთეატრებში იყო დემონსტრირებული. მწერლებს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი 50,000 დოლარზე ერთწლიანი პერიოდისთვის, რომელიც არ ექვემდებარება განახლებას.
- ახალი ზელანდიის კინოკომისია ვალდებულებას კისრულობს, რომ თავისი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიმართოს მხატვრული ფილმების წარმოებაზე. ამის მიზანია უზრუნველყოს

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

მაღალხარისხოვანი ახალზელანდიური ფილმების წარმოება, რომლებიც მრავალფეროვან კინოაუდიტორიას მოიზიდავს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. განაცხადებს წარმოების დაფინანსების შესახებ განიხილავს ახალი ზელანდიის კინოკომისიის საბჭო, რომელიც ითვალისწინებს ექსპერტი კონსულტანტებისა და დამოუკიდებელი შემფასებლების რეკომენდაციას. გადაწყვეტილება საბჭოს რეგულარულ სხდომებზე მიღება, რომლებიც წელიწადში ექვსჯერ იმართება.

- **კინოფონდი 2** ახალი ზელანდიის კინოკომისიის მიერ შეიქმნა 2006 წლის ივლისში როგორც ახალი სტრუქტურა, რომელიც შესხვილბოუჯეტიან ახალზელანდიურ მხატვრულ ფილმებში ინვესტიციებს აფინანსებს და მართავს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ნიჭიერ შემოქმედთა ბაზის შექმნას გამოცდილი და წარმატებული ახალზელანდიელი კინემატოგრაფისტების მონაწილეობით, რისთვისაც მათ შესაძლებლობა მიეცმათ შექმნან უფრო დიდმასშტაბიანი მხატვრული ფილმები, ვიდრე ეს ახალი ზელანდიის კინოკომისიას შეუძლია. **კინოფონდი 2-** ის მიზანია:

- ✓ ხელი შეუწყოს ახალზელანდიური შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას, რათა საერთაშორისო კომერციულ ინვესტორებს სურვილი გაუჩნდეთ დააფინანსონ ახალზელანდიელი კინემატოგრაფისტების მიერ დაგევმილი კინოპროდუქცია.
- ✓ მოიზიდონ დაფინანსების სხვა წყაროები ახალზელანდიურ კინოწარმოებაში, მათ შორის ოფშორული კაპიტალი.
- ✓ ხელი შეუწყონ წარმატებული პროდიუსერებისთვის, რეჟისორებისთვის, მწერლებისთვის, მსახიობებისთვის და კინოგადამღები ჯგუფებისთვის სამუშაო ადგილების გაჩენას, რომ ისინი იძულებული არ გახდნენ სხვა შესაძლებლობები ექცევნ საზღვარგარეთ.

მხატვრული ფილმის პროექტის წარმოების ბოლო სტადიის (ან განვითარების ბოლო სტადიის) დაფინანსების შესახებ საკითხების განიხილვის დროს კინოფონდი 2 უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ მოცემულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც მოქნილად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა იქნეს გამოყენებული (ქვემოთ მოცემული სია არ არის ამომწურავი):

- ა) კინოფილმის შემქმნელების რიცხვში უნდა შედიოდეს ახალზელანდიელი პროდიუსერი და ახალზელანდიელი რეჟისორი;
- ბ) თითოეულ კინემატოგრაფისტს მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული სულ მცირე ერთი მხატვრული ფილმის დასრულებულ პროექტში;
- გ) ჩვეულებრივ, ფილმის ბიუჯეტი უნდა აღემატებოდეს 6 მილიონ ახალზელანდიურ დოლარს;
- დ) კინოფონდი 2 განიხილავს წინადადებებს ბიუჯეტის 20 %-ის ან მეტის დაფინანსების შესახებ ისეთი ფილმებისთვის, რომელთა ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონი დოლარია;
- ე) ჩვეულებრივ, ბიუჯეტის სულ მცირე 40 %-ის დაფინანსება ხდება ოფშორული მონაწილეობით (სულ მცირე ერთი კარგი რეპუტაციის მქონე **თეატრალური კომერციული დირექტორის** მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებით);
- ვ) კინოფონდი 2 წახალისებს დაფინანსებას სხვა წყაროებიდან;
- ზ) დაფინანსება შეიძლება მოხდეს კაპიტალით, სესხით, კონტრაქტის საფუძველზე გადახდით, **საავანსო რეალიზაციით**, ან სხვა საშუალებით, რომელსაც კინოფონდი 2-ის წევრები მიზანშეწონილად მიიჩნევთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
- თ) ჩვეულებრივ, წარმოების პირობითი დაფინანსების ვალდებულებას საწყისი 4-თვიანი პერიოდისთვის იღებენ, და 6 თვემდე აგრძელებენ, თუ პროგრესია მიღწეული;

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

o) როგორც წესი, კინოფონდი 2 გეგმავს ინვესტიციას ერთ ან ორ მხატვრულ ფილმში, რომელიც დაფინანსებას იღებს რომელიმე ერთი წლის განმავლობაში.

გადაწყვეტილების მიღების დროს კინოფონდი 2 ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებსაც:

- i. სცენარის და პროექტის ხარისხი;
 - ii. ბაზრის პოტენციალის არსებობა წამყვან საერთაშორისო ბაზრებზე (ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში დისტრიბუციის ხელშეკრეულებების არსებობა);
 - iii. ახალ ზელანდიურ კინემატოგრაფში შეტანილი წვლილი;
 - iv. რეალიზაციის უფლების გადაცემა სავაჭრო სააგენტოს - NZ film –ისთვის;
 - v. საკრედიტო რისკები, დაკავშირებული დამფინანსებელ პარტნიორებთან;
 - vi. კინოფონდი 2-ის მონაწილეობის დონე ბიუჯეტის მოცულობასთან მიმართებაში; და
 - vii. შემოთავაზებული გარიგების კომერციული პირობები და ანაზღაურების პერსპექტივები კინოფონდი 2-სა (და შესაბამისად ახალი ზელანდიის კინოკომისიისთვის);
- კინოფონდი 2 არის ახალი ზელანდიის კინოწარმოების ფონდის უფლებამონაცვლე, რომელიც ტრასტის სახით დაარსდა 2000 წელს და ხელისუფლებისგან მიიღო 22 მილიონი დოლარის მოცულობის გრანტი.
- ახალი ზელანდიის კინოკომისიია განიხილავს მხატვრული ფილმების წარმოების შემდგომი დაფინანსების განაცხადებს შემდეგ კატეგორიებში, როდესაც ფილმის ბაზარი უკვე განსაზღვრულია:
- ციფრული მხატვრული ფილმები**, რომლებსაც წარმოების შემდგომი პერიოდი სჭირდება, რათა ჩვეულებრივი ან ციფრული ფილმის დასრულებული სახე მიიღოს.
- მხატვრულ-დოკუმენტური ფილმები** რომლებსაც წარმოების შემდგომი დაფინანსება სჭირდება.
- მხატვრული ფილმები** გადაღებული ისეთ ფირზე, რომელსაც წარმოების შემდგომი დაფინანსება და/ან 35 მმ-ზე გადატანა სჭირდება.
- **გრანტი მსხვილბიუჯეტიანი კინოფილმის წარმოებისთვის.** ეს გრანტი შეიძლება გაიცეს ნებადართული წარმოებისთვის მაშინ, როდესაც საკვალიფიკაციო ახალ ზელანდიური საწარმოო ხარჯები (QNZPE) აღწევს შემდეგ ზღვარს:
- საკვალიფიკაციო ახალ ზელანდიური საწარმოო ხარჯები (QNZPE) უნდა იყოს სულ მცირე 15 მილიონი ახალ ზელანდიური დოლარი. საკვალიფიკაციო ახალ ზელანდიური საწარმოო ხარჯები (QNZPE) - არის საწარმოო ხარჯები, რომლებიც გაწეულია ან დაკავშირებულია: ახალ ზელანდიაში შეძენილ საქონელთან ან მომსახურებასთან; მიწის გამოყენებასთან ახალ ზელანდიაში; საქონლის გამოყენებასთან, რომელიც ფილმის შექმნის პროცესში ახალი ზელანდიის ტერიტორიაზე. საკვალიფიკაციო ახალ ზელანდიური საწარმოო ხარჯები (QNZPE) არ მოიცავს მსახიობების და გადამღები ჯგუფის ხარჯებს, გაწეულს ახალ ზელანდიაში.

სატელევიზიო სერიალების შემთხვევაში, ყოველი კონკრეტული ეპიზოდი, რომლის ძირითადი გადაღებები რომელიმე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში დასრულდა და მინიმალურმა დანახარჯმა საშუალოდ შეადგინა 500,000 ახალ ზელანდიური დოლარი ყოველ კომერციულ საათზე, შეიძლებაგაერთიანდეს, რომ მიაღწიოს 15 მილიონ ახალ ზელანდიურ დოლარს.

მსხვილბიუჯეტიანი კინოპროდუქცია თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ო-უ-პი კონსალტინგი, 2009”

- ფესტივალების და პრიზების პროგრამები ფინანსურად ეხმარება დარგის აღიარებულ სპეციალისტებს ან ორგანიზაციებს ფესტივალების ჩატარებაში, სადაც საზოგადოებას შესაძლებლობა ეძღვა გაეცნოს მხატვრული ფილმების მრავალფეროვან პროგრამებს, იმართება ინფორმაციული დებატები და წარმოჩნდება ახალი ტალანტები; ან ღონისძიების დაგეგმვაში, სადაც მიღწევების და ღვაწლის აღიარება ხდება მხატვრული ფილმების წარმოების ყველა ასპექტში.
- საპროდიუსერო ბაზრის დახმარება ითვალისწინებს პროდიუსერებისთვის ხელშეწყობას, რომლებსაც სურთ განვითარების ბოლო ფაზაში მყოფი მხატვრული ფილმების პროექტები, წარადგინონ კანში, AFM-ის და სხვა წამყვან ბაზრებზე, სადაც კინოკომისიას აქვს წარმომადგენლობა.
- დარგის ინფრასტრუქტურის პროფესიონალური კინოორგანიზაციები, რომლებიც უშეალოდ წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ კინოპროდიუსერების, მწერლების და რეჟისორების კონკრეტულ ინიციატივებს ან საქმიანობას.
- ახალზელანდიური ფილმების რეალიზაციის სააგენტო წარმოადგენს კინოკომისიის გაყიდვების მთავარ სამსახურს, რომელიც უკვე 30 წელია აფინანსებს და ყიდის ახალზელანდიული რეჟისორების ფილმებს. ის უზრუნველყოფს დაფინანსებას გაყიდვებიდან გადახდილი აკნსებით, სტრატეგიული გაყიდვებით და მარკეტინგული მომსახურებით. ამ სააგენტოს მოვალეობაა რეალიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეგროვება და გაფორმება, რასაც მისი იურისტების ჯეშუა აკეთებს.

სერტიფიცირება და დაბეგვრა

კინოკომისია საკუთარ სახსრებს იყენებს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რომლის მოთხოვნას წარმოადგენს დაფინანსების გამოყოფა მხოლოდ იმ ფილმებისთვის, რომლებსაც მნიშვნელოვანწილად ახალზელანდიური შინაარსი აქვთ. შესაბამისად, კინოკომისია განაცხადებს იღებს მხოლოდ ახალზელანდიული პროდიუსერებისგან.

კინოკომისია უფლებამოსილია დროებით ან საბოლოოდ მიანიჭოს ოფიციალური ერთობლივი ნაწარმოების სტატუსი ფილმს ან სატელევიზიო პროექტს, თუ პროექტი ყველა საჭირო კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

სანამ მხატვრული ფილმის წარმოება კინოკომისიის დაფინანსებას მიიღებს, მან ჯერ ახალზელანდიური ფილმის კვალიფიკაცია უნდა მიიღოს. ეს მაშინ მოხდება, როდესაც კინოკომისია მისცემს მას მნიშვნელოვანწილად ახალზელანდიური შინაარსის მქონე ფილმის შეფასებას, როგორც ეს ახალი ზელანდის კინოკომისიის 1978 წლის აქტის 18 პუნქტშია განსაზღვრული.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

1. თავისი ფუნქციების განხორციელების დროს კომისიაში არ უნდა გაუწიოს ფინანსური დაბარებია რომელიმე პირს ფილმის გადაღებასთან, „პრომოუშენთან“, დისტრიბუციასთან ან დემონსტრირებასთან დაკავშირებით, თუ დაწმუნებული არ არის რომ ფილმის მიზნებით გამოიყენება ან კერძება ახალზელანდიური შინაარსი.
2. იმისთვის, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა ფილმს მნიშვნელოვანწილად ახალზელანდიური შინაარსი, კომისიაში უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:
 - ა. ფილმის სავანი.
 - ბ. კინოგადაღების ადგილი, სადაც ფილმი არის ან იქნება გადაღებული.
 - გ. ქვემოთ მოცემული პირების ეროვნება და საცხოვრებელი ადგილი.
 - i. ავტორები, სცენარის ავტორები, კომპოზიტორები, პროდიუსერები, რეჟისორები, მსახიობები, ტექნიკური პერსონალი, მემორტაუები და სხვა ადამიანები, ვინც მონაწილეობა მიიღო ან მთავრების ფილმის შექმნაში; და
 - ii. ის პირები, რომლებსაც აქვთ ან მომვალში ექნებათ ფილმის შექმნასთან დაკავშირებული რომელიმე კომპანიას, ამსანაცობის ან ერთობლივი საწარმოს წილი ან კაპიტალი; და
 - iii. ის პირები, რომლებსაც აქვთ ან ექნებათ ფილმის საავტორო უფლება.
 - დ. წყარო, საიდანაც მიღის ფილმის შექმნისთვის უკვე გამოყენებული ან მომვალში გამოსუნის უფლება.
 - ე. საქუთრების უფლება ფილმის შესაქმნელად გამოყენებული ან მომვალში გამოსუნის უფლება აღჭურვილობასა და ტექნიკურ საშუალებებზე და მათი აღიღილდებარება.
 - ვ. ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც კომისიის აზრით ამ აქტის მიზნებთან შესაბამისობაშია.

სერტიფიცირება ორ ეტაპად განხორციელდება. წარმოდგენილი კინოპროექტის განხილვის შემდეგ კინოკომისია გასცემს „დროებით სერტიფიკატს“. დროებითი სერტიფიკატის მიზანია გასცეს გარანტია, რომ ფილმი დაუკვემდებარება ერთწლიან ჩამოწერას თუ ის წარმოდგენილი და კინოკომისიის მიერ სერტიფიცირებული განაცხადის მიხედვით შეიქმნება. „დროებითი სერტიფიკატი“ ძალაშია 12 თვის განმავლობაში და წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება გაგრძელდეს.

საბოლოო სერტიფიკატი გაიცემა ფილმის დასრულების შემდეგ, როდესაც პროდიუსერი დაასაბუთებს, რომ ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა. არა ახალზელანდიური ფილმის წარმოების ხარჯების 50 % ფილმის დამთავრების წელს გამოიქვითება, ხოლო მეორე 50 % - მომდევნო საშემოსავლო წელს.

ახალზელანდიური ფილმის წარმოების ხარჯები მთლიანად გამოიქვითება ფილმის დამთავრების წელს. სხვა ფილმების წარმოების ან შემენის ხარჯები გამოიქვითება ორი წლის განმავლობაში, რომლის ათვლაც იმ წელს იწყება, როდესაც ფილმი დასრულდა.

შედეგები / ზემოქმედება

კინოკომისიის შექმნიდან 30 წლის განმავლობაში ახალ ზელანდიაში 200 მხატვრული ფილმი შეიქმნა, აქედან 140-ზე მეტი – ახალი ზელანდიის დაფინანსებით, მაშინ, როცა ამ ორგანიზაციის შექმნამდე 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში 20-ზე ნაკლები მხატვრული ფილმი გაკეთდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ტრილოგია „ბეჭდების მბრძანებელი“ იყო მიუხედავად იმისა, რომ კინოწარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხვის გაზრდას სხვა ფილმებმა უფრო მეტად შეუწყო ფილმი.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

პოლონეთი

პოლონეთის შესახებ

პოლონეთი ცენტრალურ ეკონომიკურ მდებარეობს, მას დასავლეთით გერმანია ესაზღვრება, სამხრეთით - ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი, აღმოსავლეთით - უკრაინა, ბელორუსია და ლიტვა და ჩრდილოეთით - ბალტიის ზღვა და კალინინგრადის ოლქი. პოლონეთის მთელი ტერიტორია 312,679 კვადრატული კილომეტრია. ის სიდიდით 69-ე ქვეყნაა მსოფლიოში და მე-9 ეკონომიკური. პოლონეთში 38 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის რაოდენობით პოლონეთი მერვე ქვეყნაა ეკონომიკური და 33-ე მსოფლიოში. მოსახლეობის სიმჭიდროვე უდრის- 122 მოსახლე 1 კვადრატულ კილომეტრზე.

პოლონეთი დემოკრატიული ქამანაა, რომელსაც მართავს არჩეული პრეზიდენტი. ქამანის მოქმედი კონსტიტუცია 1997 წლით თარიღდება. მთავრობას წარმოადგენს მინისტრთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტის არჩევა ხდება საყოველთაო არჩევნების გზით, 5 წლიანი ვადით. ამჟამად ქამანის პრეზიდენტია ლეჩ კაჩინსკი, პრემიერ-მინისტრი კი დონალდ ტასკი.

პოლონეთი ერთეულთი ქანდაზე ჯანსაღი ეკონომიკის მქონე ქვეყნად ითვლება პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებს შორის. 2006 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 6.1%-ით გაიზარდა. კომუნისტური წელის დამხობის შემდეგ პოლონეთი ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზას დაადგა და ახლა წარმოადგენს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებულ მაგალითად.

საგადასახადო სისტემის მიმოხილვა

პოლონეთის საგადასახადო სისტემა ითვალისწინებს ინდივიდუალური შემოსავლის 18% და 32%-იან დაბეგვრას. გარკვეულ შემთხვევებში ინდივიდუალურ პირს შეუძლია არჩევანი შეაჩეროს ბიზნესის შემოსავლის 19%-იან დაბეგვრაზე. კორპორატიული გადასახადი პოლონეთში 19%-ს უდრის.

კაპიტალის ზრდის შემოსავალზე რაიმე განსაკუთრებული გადასახადი არ არსებობს. როგორც წესი, კაპიტალის ზრდის შემოსავალი ემაჩება ინდივიდუალური პირისა თუ კომპანიის რეგულარულ შემოსავალს და ჩატულებრივი წესით დაბეგვრას ეჭვიმდებარება. მიუხედავად ამისა, თუ უძრავი ქონება გაიყიდა მისი შეძენიდან 5 წლის და უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, კაპიტალის ზრდის შემოსავალი არ დაიბეგვრება. თუ ეს პერიოდი 5 წელზე ნაკლებია, შემოსავალი 19%-ით დაიბეგრება.

ინდივიდუალური პირის კაპიტალის ზრდის შემოსავალი გაყიდული წილიდან 19%-ით იბეგრება. პოლონეთში დიჭიდენტური შემოსავალიც 19%-ით იბეგრება.

2008 წლის მონაცემებით კორპორატიული გადასახადი 19%-ს უდრიდა.

კომპანია პოლონურად ითვლება, თუ ის პოლონეთშია დარეგისტრირებული ან

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

პოლონეთში ფუნქციონირებს.

შემდეგი სახის შემოსავალი არ იძეგრება:

უძრავი ქონების გაყიდვა გარკვეული პერიოდის მფლობელობის შემდეგ

ლატარიები

საცხოვრებელი ბინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი იმ პირობით, რომ
ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შესაძენად 2 წელია გათვალისწინებული.

ერთი კომპანიიდან თავისიგვე ჯგუფის მურა კომპანიისთვის დივიდენდის გადაცემა.

■ შემოსავალი დაზღვევიდან

■ შემოსავალი შემოწირულობებიდან

საგადასახადო შეღავათების უმეტესობა საშემოსაჭლო გადასახადის დაქვითვის
სახით ხორციელდება.

ხშირ შემთხვევაში დამატებითი დირებულების გადასახადი 22%-ია. ზოგიერთ
პროდუქტსა და მომსახურებაზე დღგ შეიძლება იყოს 3% ან 7%. თუ წლიური ბრუნვა
10 000 ევროზე ნაკლებია, ბიზნესის მფლობელი დღგ-სგან თავისუფლდება.

დღგ-ს-სგან თავისუფალია შემდეგი პროდუქტები და სერვისები:

■ ჯანდაცვის სერვისი

■ რძის პროდუქტები

■ დაზღვევა და საბანკო მომსახურება

■ ფოსტა და საფოსტო მარკები.

■ განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების სერვისები.

■ ექსპორტის სერვისი

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.worldwide-tax.com/poland/indexpoland.asp>

პულტურული პოლიტიკის მიმოხილვა

1989 წელს პოლონეთი დამოუკიდებელი ქაიანა გახდა. მას შემდეგ ქაიანის კულტურული პოლიტიკა ნეო-ლიბერალური მოდელით განვითარდა, რომელიც საბაზრო ეკონომიკას ეფუძნებოდა. პოლონეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებები მოხდა, რამაც შესაბამისი ტრანსფორმაცია გამოიწვია, რადგან ქაიანაში 1989 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კომუნისტური ხელისუფლება დასრულდა.

1993 წელს შემუშავდა კულტურული საქმიანობის ორგანიზებისა და დაფინანსების ახალი პრინციპები. ეს პრინციპები აისახა სამთავრობო დოკუმენტში - სახელმწიფო კულტურული პოლიტიკის პრინციპები. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია პოლონეთის მთავრობის გეგმები:

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი ქონსალტინგი, 2009”

დემოკრატიის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ხელშეწყობა, ხელოვანი ხალხისთვის და შესაბამისი ორგანიზაციებისთვის საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის გამარტივება;

■ გელაზე ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

სათანადო კანონმდებლობის შემოღება კულტურული საქმიანობის ახალი ფორმების მხარდასაჭერად;

პოლონეთის კულტურული პოლიტიკა შემდეგ ამოცანებზეა ორიენტირებული:

დეკინგრალიზაცია- კენტრალური ადმინისტრაციიდან ძალაუფლების რეგიონალურ, ხოლო რეგიონალურიდან ადგილობრივ დონეზე გადანაწილება' სახელმწიფოს ფინანსური დახმარება შერჩეული კულტურული ინსტიტუტებისა და ღონისძიებების მიმართ;

არასახელმწიფო კულტურული ინსტიტუტების მხარდაჭერა, დაფინანსების მექანიზმების შემუშავება, რაც დამატებითი რესურსი იქნება სახელმწიფო დაფინანსებისთვის

ეს მიზნები 1993 წელს ჩამოყალიბებულ პრინციპებს შეესაბამება. 2003 წელს იქმ მცდელობა ეგროკავშირის ფონდების მოზიდვის თვალსაზრისით. ამ კონტაქტებში, აქცენტი გაძითდა კულტურის განვითარების მიმართ რეგიონალურ მიდგრმაზე. აულტურული თვითმყოფადობა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა უმთავრეს პრიორიტეტებად ითვლება 2005 წლის შემდეგ. 2006 წელს კიდევ გაგრძელდა კვლილებები სახელმწიფო პოლიტიკაში კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

კინოინდუსტრიის პოლიტიკა

პოლონეთის კინემატოგრაფიის პოლიტიკის მიზანია ახალი კინოინდუსტრიის განვითარება და ინვესტიციების მოზიდვა პოლონეთში ფილმების გადაღებისა და ერთობლივი წარმოების თვალსაზრისით.

1987 წლის ივნისში მიიღეს აქტი კინემატოგრაფიის შესახებ. ამის შემდეგ შესრულდა სამუშაო ახალი საბაზო პრინციპების და დაფინანსების მოღებების შემუშავების თვალსაზრისით. თუმცა, აქტში ცვლილებების შეტანაა დაგეგმილი.

პოლონეთში ბოლო წლების განმავლობაში კერძო სექტორის კინოინდუსტრიით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. სახელმწიფოს კონტროლის ქავეშ მყოფმა კინოინდუსტრიამაც ტრანსფორმაცია განიკადა და სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანო გახდა. კერძო სექტორის დაინტერესება კინოინდუსტრიაში ინკუსტიციის ჩადებით არა დაკავშირებული რაიმე სპეციალურ სამართლებრივ ან საგადასახადო შედეგათთან.

წარსულში კინემატოგრაფიის კომიტეტი ანაწილებდა საბიუჯეტო თანხებს ფილმების წარმოებისთვის და შესაბამის სუბსიდიებს გასცემდა. 2000 წელს დაახლოებით 20 მხატვრული და 546 მოკლემეტრაჟიანი ფილმი შეიქმნა. ძირითადი თანამშარმოებლები იყვნენ საზოგადოებრივი მაუწყებლები ან უცხოური

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

"ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009"

კომპანიები. 2003 წლის გაზაფხულზე კომიტეტი დაიშალა. ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე წამოაყენეს ინიციატივა კინემატოგრაფიის შესახებ აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ, თუმცა უშედეგოდ.

2005 წელს ახალი კანონპროექტი შემუშავდა, მაგრამ ამავე წლის 30 ივნისს მას კინტი არ უყარა სოციალ-დეკომკრატიულმა მთავრობამ ლაშია მიღერის მეთაურობით.

აღნიშნული აქტი, თავისი ამჟამინდელი სტატუსით სახელმწიფო დახმარებით უზრუნველყოფს კინოინდუსტრიას და მის მთავარ პირობას წარმოადგენს ფილმის წარმოებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა.

პოლონეთის მთავრობა ფლობს ან ეხმარება შემდეგ კულტურულ სააგენტოებს:

პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი დაარსდა კინემატოგრაფიის შესახებ აქტის საფუძველზე, რომელიც პასუხისმგებელია კულტურულ პოლიტიკაზე და ფუნქციონირებს როგორც უახლესი ევროპული კინემატოგრაფიის ინსტიტუტის 2005 წელს დაარსდა. ინსტიტუტის დაარსებას წინ უძღვდა პოლონეთის პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონი კინოინდუსტრიის შესახებ. ეს ინსტიტუტი თავისი ფუნქციებით ჰგავს ევროპაში არსებულ სხვა უწყებებს, რომლებიც ემსახურება კინოინდუსტრიას.

კრაკოვის კინემატოგრაფიის ფონდი-კრაკოვის კინოფესტივალის მთავარი

ორგანიზატორია, რომელმაც 2003 წლის დეკემბერში დაიწყო ფუნქციონირება.

მისი დაარსების მიზანი იყო დაფინანსების გაზრდა და დონისძიებების ორგანიზება.

ფონდი ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას. ფონდის მიერ ფესტივალის ორგანიზების ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ ერთმანეთს ხვდებიან რეჟისორები და პროდიუსერები და ხშირ შემთხვევაში საინტერესო შეთანხმებებსაც აღწევენ.

ფილმების პოპულარიზაციის სააგენტო-ამ სააგენტოს მთავარი მიზანია

პოლონური დოკუმენტური, ანიმაციური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების

პოპულარიზაცია ევროპაში. ეს სააგენტო კრაკოვის კინემატოგრაფიის ფონდმა შექმნა.

მისი ამოცანებია:

- შეიქმნას ვიდეო ბიბლიოთეკა კინოინდუსტრიისა და ტელევიზიისთვის
- მომზადდეს სარეკლამო მასალები სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ფილმებისთვის
- ფილმების წარდგენა საერთაშორისო ფესტივალებზე და საერთაშორისო ბაზარზე უფასოდ
- მომზადდეს ჟურნალური საინტერესო პოლონური ფილმები, რომლებსაც აჩვენებენ პოლონეთშიც და საზღვარგარეთაც, მოხდეს ფილმების პოპულარიზაცია დისტრიბუტორებსა და სატელევიზიო კომპანიების რედაქტორებს შორის;
- კრაკოვის ფილმების ბაზის მომზადება;
- კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა საერთაშორისო ტრენინგების, სტიპენდიების, კონკურსების შესახებ და ჟურნალური მომხმარებელს გაეგზავნოს ინფორმაცია ამის შესახებ;
- დოკუმენტური, ანიმაციური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების მონოგრაფიული ჩანაწერის მოგზაურება
-

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი

პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი

დაარსდა კინემატოგრაფიის შესახებ აქტის საფუძველზე, რომელიც პასუხისმგებელია კულტურულ პოლიტიკაზე და ფუნქციონირებს როგორც უახლესი ევროპული კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსებას წინ უძღვდა პოლონეთის პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონი კინოინდუსტრიის შესახებ. ეს ინსტიტუტი თავისი ფუნქციებით ჰგავს ევროპაში არსებულ სხვა უწყებებს, რომლებიც ემსახურება კინოინდუსტრიას. ინსტიტუტი თავად განაგებს ფონდებს და გრანტებს, რომელსაც თავისი ინიციატივით იღებს. ინსტიტუტი ანგარიშვალდებულია კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრის წინაშე. აქ ფუნქციონირებს საბჭო, რომელსაც ნიშნავს მინისტრი. საბჭოში 11 წევრია. ინსტიტუტის შემოსავლის წყაროებია: საბიუჯეტო სუბსიდიები, შემოსავალი ფილმიდან, როცა ინსტიტუტი საავტორო უფლებების მფლობელია და შემოწირულობები. გარდა ამისა, “ეისით” ამტკიცებს, რომ ინსტიტუტი სარგებელს იღებს სახელმწიფო და კერძო შემოსავლიდან 1.5%-ის ოდენობით. აღნიშნული

შემოსავლის წყაროებია: კინოთვარების მფლობელთა შემოსავალი ფილმებიდან და რეკლამებიდან, დისტრიბუტორების შემოსავალი ფილმების გაყიდვიდან და გაქირავებიდან, სატელევიზიო მაუწყებლების შემოსავალი რეკლამებიდან, ციფრული პლატფორმის შემოსავალი პროგრამული გადასახადიდან, საკაბელო ტელევიზიის ოპერატორებისგან შემოსავალი, საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური შემოსავლისგან. პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტს აქვს შემდეგი კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები: შესაძლებლობების შექმნა პოლონური ფილმების წარმოებისა და თანაწარმოებისთვის; ყველა ქანრის ფილმის სტიმულირება და მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ხელოვნების შესახებ ფილმებისთვის; პოლონელი მაყურებლისთვის პოლონური, ევროპული და ნემისმიერი უცხოური ფილმების ჩვენების ხელშეწყობა; ფილმების დებიუტების და ახალგაზრდა რეჟისორების ხელშეწყობა, პოლონური ფილმების წარმოების ხელშეწყობა; ფილმების პროექტების, წარმოების, დისტრიბუციისა და პოპულარიზაციის დაფინანსება, თანამედროვე პოლონური კინოინდუსტრიის დახმარება, არქივების სათანადო მოვლა, დამოუკიდებელი კინოთვარების პოტენციალის ხელშეწყობა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო კომპანიების დახმარება, რომლების კინოინდუსტრიაში მუშაობენ.

სპეციფიკური ინტერვენციები

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

ამ მიზნების მისაღწევად პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი
შემდეგ პროგრამებს გვთავაზობს, რომლებიც მე-9 ცხრილშია მოცემული:

ცხრილი 9

პროგრამა	პრიორიტეტი	გამოყოფილი თანხა (მილიონი ზლოტი)	სულ (მილიონი ზლოტი)	%
პრექტის განვითარება	განვითარება	3.5	4.3	4.8
	გრანტები სცენარისტებისთვის	0.8		
ფილმის წარმოება	სარეჟისორო დებიუტები	11.3	62	68.7
	მხატვრული ფილმის წარმოება	40.2		
	დოკუმენტური ფილმის წარმოება	3.5		
	ანიმაციური ფილმის წარმოება	4.0		
	პოლონური კინოინდუსტრიის მხარდაჭერა	3.0		
ფილმის გავრცელება		7.5	7.5	8.3
პოლონური ფილმის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია	საზღვარგარეთ პოპულარიზაცია	3.5	3.5	3.9

მილიონი ზლოტია მხატვრული ფილმების შემთხვევაში, 500 000 დოკუმენტური ფილმების და ანიმაციური ფილმების შემთხვევაში, ხოლო 2 მილიონი ისეთი დოკუმენტური ფილმების შემთხვევაში, რომლებიც კინოთეატრებისთვისაა გამოზნელი. არსებობს თანადაფინანსების შემდეგი კრიტერიუმები: დამსახურება ხელოვნების სფეროში, კულტურული მნიშვნელობა, ტრადიციებზე, ეკონომიკური მრავალფეროვნებაზე და ეკონომიკურ პირობებზე ორიენტირება.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

შედეგები/გავლენა

პოლონეთის სახელმწიფო პოლიტიკას კინოინდუსტრიის მიმართ სხვადასხვანაირი შედეგები აქვს. ქვეყანაში წარმოებული ფილმების რაოდენობა, რომლის მონაცემებს კინემატოგრაფიის ინსტიტუტი უზრუნველყოფს, მე-10 ცხრილშია მოცემული. როგორც ჩანს, მხატვრული ფილმების რაოდენობა გაიზარდა 2004-2006 წლებში, მაგრამ შემცირდა დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების წარმოება.

ცხრილი 10: 2004-2006 წელს პოლონეთში წარმოებული ფილმების რაოდენობა

წელი	მსატერული ფილმი	დოკუმენტური ფილმი	ანიმაციური ფილმი	საგანმანათლებლო ფილმი	სულ
2004	19 (3)*	36	10	1	66
2005	28 (4)	35	26	4	93
2006	37 (2)	30	6	0	73

წყარო: პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. ფრჩხილებში ჩასმული ციფრები საერთაშორისო, ერთობლივად ნაწარმოებ ფილმებს აღნიშნავს.

ევროპის აუდიოვისუალური ობსერვატორის კვლევა ცხადჰყოფს, რომ პოლონეთის კინოთვატრებში დასწრება მხოლოდ ოდნავ გაიზარდა ბოლო წლებში (ცხრილი 11).

ცხრილი 11: კინოთვატრებში დასწრების მაჩვენებლები ევროპის ქვეყნებში (2004-2008 წლებში)
Cinema Attendance in European Countries (2004 - 2008 provisional)
in millions

Country	2004	2005	2006	2007	2008 prov	% change	Source	
European Union member countries (EU 27)								
AT*	Austria	19,4	15,7	17,3	15,7	15,5	-1,3%	FAFO / Österreichisches Filminstitut / OBS
BG	Bulgaria	3,1	2,4	2,4	2,5	2,8	12,1%	National Film Center
CZ	Czech Republic	12,0	9,5	11,5	12,8	12,9	0,4%	Ministry of Culture / UFO
DE	Germany	158,7	127,3	136,7	125,4	129,4	3,2%	FFA
DK	Denmark	12,8	12,2	12,8	12,1	13,2	8,9%	Danish Film Institute
EE	Estonia	1,2	1,1	1,8	1,6	1,6	0,2%	Estonian Film Foundation
ES*	Spain	143,9	127,7	121,7	116,9	108,0	-7,8%	ICAA / OBS
FI	Finland	6,9	6,1	6,7	6,5	7,0	7,4%	Finnish Film Foundation
FR	France	195,5	175,5	189,8	177,7	188,8	8,2%	CNC
GB	United Kingdom	171,3	164,7	156,8	162,4	164,2	1,1%	Cinema Advertising Association / Nielsen EDI
HU	Hungary	13,7	12,1	11,7	11,1	10,2	-8,5%	National Film Office
IE	Ireland	17,3	16,4	17,9	18,4	18,2	-0,7%	Carlton Screen Advertising / Nielsen EDI
IT*	Italy	116,3	105,8	106,1	116,4	111,8	-4,1%	Centro Studi Cinecittà Holding / Cinetel / OBS
LT	Lithuania	1,5	1,2	2,5	3,3	3,3	-1,4%	Baltic Films
LV	Latvia	1,7	1,7	2,1	2,4	2,4	-2,7%	National Film Centre
NL	The Netherlands	23,0	20,8	23,4	23,1	23,5	1,7%	NFC / NFF / MaccsBox - NVB & NVF
PL	Poland	33,4	23,8	32,0	32,6	33,8	3,4%	boxoffice.pl
PT	Portugal	17,1	15,8	16,4	16,3	15,9	-2,5%	Instituto do Cinema e do Audiovisual
SE	Sweden	16,6	14,8	15,3	14,9	15,2	1,5%	Swedish Film Institute
SK	Slovakia	2,9	2,7	3,4	2,8	3,3	18,2%	Slovak Film Institute
EU 27 - est. total	1013	899	932	917	920	0,3%	European Audiovisual Observatory	
Other European countries								
CH	Switzerland	17,2	15,0	18,4	13,8	14,0	1,5%	Swiss Federal Statistical Office
NO	Norway	12,0	11,3	12,0	10,8	11,9	9,7%	Film & Kino
RU	Russian Federation	87,4	83,8	91,8	106,8	123,9	16,2%	Russian Film Business Today
TR	Turkey	29,7	27,3	34,9	31,2	38,5	23,8%	Sinema Gazetesi

* 2008 estimated by European Audiovisual Observatory

Source: European Audiovisual Observatory

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

პოლონური ფილმების საბაზო წილი მნიშვნელოვნად გირ გაიზარდა 2004-2008 წლებში (ცხრილი 12).

**ცხრილი 12: ეროვნული ფილმების საბაზო წილი ევროპის ქვეყნებში
ეროვნული ფილმების საბაზო წილი ევროპის ქვეყნებში (2004-2008 წლები)**

in %

Country	2004	2005	2006	2007	2008 prev	change percentage points	Source
European Union member countries (EU 27)							
AT Austria	-	2,7%	2,8%	1,9%	8,0%	4,1%	Osterreichisches Filminstitut
BE* Belgium	8,3%	5,8%	8,5%	7,5%	10,0%	2,5%	Ministère de la Communauté Française
BG Bulgaria	-	-	-	1,2%	4,8%	3,8%	National Film Center
CZ Czech Republic	23,8%	25,1%	30,1%	35,2%	38,8%	4,4%	Ministry of Culture / UFD / OBS
DE Germany	23,8%	17,1%	25,8%	18,9%	26,8%	7,7%	FFA
DK Denmark	23,7%	32,4%	24,8%	27,0%	33,0%	8,0%	Danish Film Institute
EE Estonia	5,4%	5,1%	9,2%	14,3%	7,3%	-7,0%	Estonian Film Foundation
ES* Spain	13,4%	18,7%	15,5%	13,4%	14,2%	0,7%	ICAA / OBS
FI Finland	17,0%	15,0%	23,9%	20,0%	22,8%	2,8%	Finnish Film Foundation
FR France	38,4%	38,6%	44,8%	36,5%	45,7%	8,2%	CNC
GB* United Kingdom	23,4%	33,0%	19,1%	28,5%	31,0%	2,5%	UK Film Council
HU Hungary	10,3%	15,4%	18,7%	13,3%	10,2%	-3,1%	National Film Office
IT* Italy	21,6%	25,7%	26,8%	32,0%	29,3%	-2,7%	Centro Studi Cinecittà Holding / Cinetel
LT Lithuania	2,9%	8,3%	1,1%	2,8%	5,5%	2,9%	Statistics Lithuania / Baltic Films
LV Latvia	3,7%	1,8%	1,7%	7,4%	8,8%	-0,8%	National Film Center
NL The Netherlands	9,2%	13,2%	11,3%	13,5%	17,8%	4,2%	NFF / MaccsBox - NVB & NVF
PL Poland	8,7%	3,4%	15,9%	24,7%	25,4%	0,7%	Min. Cult / boxoffice.pl / OBS
PT Portugal	1,3%	3,2%	2,7%	2,8%	2,5%	-0,3%	Instituto do Cinema e do Audiovisual
SE Sweden	23,3%	22,8%	18,8%	21,6%	20,0%	-1,8%	Swedish Film Institute
Other European countries							
CH Switzerland	2,5%	5,9%	9,5%	5,1%	3,0%	-2,1%	Swiss Federal Statistical Office
NO Norway	14,8%	14,0%	16,8%	17,2%	22,5%	5,3%	Norwegian Film Institute / Film & Kino
RU Russian Federation	12,1%	29,7%	25,7%	26,3%	25,5%	-0,8%	Russian Film Business Today
TR Turkey	38,4%	41,8%	51,8%	38,0%	59,2%	21,2%	Sinema Gazetesi

* estimated data

Source: European Audiovisual Observatory (OBS)

თურქეთი

თურქეთის შესახებ

თურქეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც ძალაუფლება შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საკანონმდებლო ხელისუფლება-პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო, სასამართლო ხელისუფლება- დამოუკიდებელი სასამართლოები და უზენაესი სამართლებრივი ორგანოები. თურქეთში 75.8 მილიონი (გაეროს 2008 წლის მონაცემები) ადამიანი ცხოვრობს. ედაქალაქია ნარი, მაგრამ ყველაზე დიდი ქალაქია სტამბოლი. თურქეთის ტერიტორია მოიცავს 779,452 კვადრატულ კილომეტრს.

თურქეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა: ტანისაცმელი, ტექსტილი, ხილი, ბოსტნეული, რკინა, ფოლადი, აგრომობილები, საწვავი და ნაკონბპროდუქტები. ქვეყნის ძირითადი ენაა თურქული.

1999 წელს თურქეთი ეკონომიკურში გაწევრიანების პანდიდატი გახდა და ეკონომიკის მოთხოვნების თანახმად ის კვლავ აგრძელებს რეფორმების განხორციელებას ადამიანის უფლებებისა და ეკონომიკის სფეროში.

საგადასახადო სისტემის მიმოხილვა

თურქეთში საგადასახადო სისტემა საკმაოდ პროგრესულია- რაც უფრო მაღალია შემოსავალი, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი. 2008 წლის ინდივიდუალური საგადასახადო განაკვეთები 15-დან 35%-მდე მერყეობს.

თურქეთში კორპორაციებს 20%-იანი გადასახადი ეკისრებათ. კაპიტალის გაზრდით მიღებული შემოსავლის გადასახადი კორპორაციაში ემარტება მის რეგულარულ შემოსავალს. ზოგადად, კაპიტალის გაზრდით მიღებული შემოსავალი (ინდივიდუალური პირის თუ კომპანიის) გარება რეგულარულ გადასახადს.

სტანდარტული საგადასახადო განაკვეთი ინდივიდუალურ პირზე დაკისრებული საშემოსავლო გადასახადის იდენტურია და 15-დან 35%-მდე მერყეობს.

სტანდარტული საგადასახადო განაკვეთი კორპორაციისთვის 20%-ია. ქონების გასაყიდი ფასზე უნდა აისახოს ის სხვაობა, რაც ყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორისაა დაფიქსირებული. კაპიტალის გაზრდის შემოსავლის გადასახადი მხოლოდ უძრავი ქონებიდან მიღებულ მოგებასთან მიმართებაში იანგარიშება.

დამსაქმებლის სოციალური დაზღვევის წილი ხელფასის 19.5%-ია. დასაქმებული ადამიანის შემოხვევაში კი-ხელფასის 14%. დამსაქმებელი დამატებით 2 %-ს, ხოლო დასაქმებული 1%-ს იხდის უმუშევრობის ფონდში.

ბეგარა უნდა დაექვითოს ქამანის დროებით მაცხოველებს შემდეგი გადასახადებიდან:

- დივიდენტი - 15%.
- პროცენტი - 10%.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

- ჰონორარი - 20%.
 - პროფესიული მომსახურება - 20%
- თურქელი კანონმდებლობა შემდეგი სახის შემოსავლებს ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახდისგან:
- მოგება კერძო საპენსიო ფონდიდან .
 - გაყიდული აქციების შემოსავალი კერძო პირებისთვის
 - დივიდენდის შემოსავალი, წელიწადში 19 800-მდე, კერძო პირებისთვის.

კერძო პირის მოგება ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან, თუ ეს ფასიანი ქაღალდები მის მფლობელობაში იყო მინიმუმ 1 წლის განმავლობაში კერძო პირის მოგება მოძრავი ქონების გაყიდვიდან, თუ ეს ქონება მის მფლობელობაში იყო 5 წლის ან მეტი წესის განმავლობაში ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიისთვის გადახდილი დივიდენდი თურქეთი აწესებს საგადასახადო შეღავათებს შემდეგ შემთხვევებში:

საზღვარგარეთ, უცხოურ ვალუტაში გაწეული არაოფიციალური ხარჯი, სუფთა შემოსავლის 0.5%-მდე

გადაუხდელი ვალი გარკვეულ სიტუაციებში

შემოწირულობა გარკვეული ორგანიზაციებისთვის, საშემოსავლო გადასახადის 0.5%-მდე

დასაქმებული ადამიანების სამედიცინო მომსახურების ხარჯები

ქირის გადასახადი.

ხშირ შემთხვევაში დღგ 18%-ს უდრის. დღგ ეკისრება ქონებას, მომსახურებას და იმპორტს. ექსპორტს ეს გადასახადი არ ეხება.

საგადასახდო განაკვეთი საჩუქრებისთვის 10-დან 30%-მდე მერყეობს, მემკვიდრეობაზე-1-დან 10%-მდე. მემკვიდრეობაზე გადასახადი 3 წლის განმავლობაში იფარება. გადახდა წელიწადში ორჯერ ხდება.

წლიური ქონების გადასახადი 0.1-0.3%-ია და ეკისრება მიწას და შენობას. უძრავი ქონების გაყიდვაზე 1.5%-იანი გადასახადია. გადასახადს ორიგე მხარე იხდის, მყიდველიც და გამყიდველიც.

შესავალი

რთულია ინფორმაციის მოძიება თურქეთში კულტურისა და კინოინდუსტრიის შესახებ. ერთი მხრივ, ინგლისურ ენაზე ძალიან მცირე ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, მეორე მხრივ, კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს პეტკერლზე გამოქვეყნებული მონაცემები მოიცავს თურქელი კინემატოგრაფიის ისტორიის მიმოხილვას.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

წარმატებული თურქები ფილმების სია თითქმის ყველგანაა, მაგრამ კონკრეტული მონაცემები სახეებში სუბსიდიების ან სხვა ინტერვენციების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.

ამ მიზეზის გამო, ამ ანგარიშში მხოლოდ ის ინფორმაციაა მოცემული, რაც ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. ეს მონაცემები ინგლისურენოვანი საიტებიდან, არაფიციალური კონსულტაციებიდან და პრესიდანაა ამოდებული.

კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა

პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურის, ხელოვნების, კულტურული მემკიდრეობის სფეროში. კულტურისა და ტერიტორიული სამინისტრო არის ძირითადი სამთავრობო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია კულტურული პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე. ლულტურის მხარდაჭერის პოლიტიკის მიზნებია:

ეროვნული კულტურის დაცვა და განვითარება

კულტურის სტრუქტურის გაძლიერება და გაფართოება

■ კულტურული დონისძიებების ჩატარება

არის მცდელობა იმისა, რომ თურქეთის კულტურული პოლიტიკა ეკრანზე კულტურულ პრიორიტეტებს შეუსაბამონ და გაფართოვდეს თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის ეკროგაგშირის წევრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა იუნესკო და ეკროსაბჭო. თურქეთი აპირებს კულტურის სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდას საზოგადოების ნებისმიერი ფენისთვის. ამ თვალსაზრისით, ერთეული პრიორიტეტია შესაბამისი სტატუსის მიზნები მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ეკროგაგშირის ანალოგიური ინიციატივის შესაფერისი იქნება.

კინოინდუსტრიის პოლიტიკა

თურქეთის კულტურისა და ტერიტორიული სამინისტროში არის გენერალური დირექტორატი, რომელიც კინოინდუსტრიასა და საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობს. 1986 წლის 23 იანვარს მიიღეს ახალი კანონი კინემატოგრაფიის შესახებ. ამ კანონის მიზანი იყო მხარდაჭერის უზრუნველყოფა კინოსა და მუსიკის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის. 1987 წელს დაიწყო კინოინდუსტრიის რეორგანიზაცია. ამავე წელს კულტურისა და ტერიტორიული სამინისტრომ ჩამოაყალიბა თურქეთის კინემატოგრაფიისტთა პროფესიული კავშირი.

კინოინდუსტრიისა და საავტორო უფლებების გენერალური დირექტორატი 1989 წელს დაარსდა. ამავე წელს დაარსდა მუსიკისა

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

და კინოხელოვნების მხარდაჭერის ფონდი. ეს ფონდი კინემატოგრაფიის სექტორს აფინანსებდა.

არაოფიციალური ინტერვიუ კოდაკის რეგიონალურ მენეჯერთან, გოხან ოზდემირთან

2002 წლიდან მხარგრული ფილმების პაზარი მნიშვნელოვანდ იზრდება. 2002 წელს მწარმოებელმა კომპანიებმა გააცნობიერეს ის ფაქტი, რომ თუ ისინი მაღალი ხარისხის ფილმებს შექმნიდნენ თურქი მოსახლეობა უფრო დიდი სიამოგნებით ნახავდა მათვების დამახასიათებელ ეროვნულ ფილმს, ვიდრე უცხოელი მაყურებელი. ასეთმა კომპანიებმა უფრო მეტი მხარე ვრული ფილმის წარმოება დაიწყეს და სერიოზული ძაგილიც დაიმკვიდრეს.

ადგილობრივი ფილმების რაოდენობისა და ხარისხის ზრდასთან ერთად, კინოთეატრებში სულ უფრო აქტიურად ჩნდებოდა თურქული პროდუქცია. ამასობაში მთავრობაში მიიღო კანონი, სადაც გარკვეული საგადასახადო შედაგათები იყო გათვალისწინებული ფილმების დამფინანსებელი კომპანიებისთვის. ამ კანონმა ისეთი კომპანიები მოიზიდა, როგორებიც არიან ქოგაკოლა, შელი, თურქებელი, ა.შ.

დიდი კონკურენცია დაიწყო ტელეარხებს შორის სატელევიზიო სერიალებთან დაკავშირებით. 1 წლის განმავლობაში სერიალების რაოდენობა 10-დან 80-მდე გაიზარდა. ყოველივე ამან კი რეგულარული შემოსავალი მოუზანა მწარმოებელ კომპანიებს. მათ შემცირდებოდა დამფინანსებელი შემთხვევა მხარგრული ფილმების წარმოებაზე.

თურქეთში დაახლოებით 1400 კინოთეატრი გარემონტდა. ბოლო 3 წლის განმავლობაში 1000-მდე კინოთეატრი გარემონტდა. თურქული კინოინდუსტრია ეტაპობრივად ვითარდებოდა და ახლა ის კარგად ჩამოყალიბებული ინდუსტრია. 2008 წელს 230 უცხოური მხარგრული ფილმი გამოვიდა. ადგილობრივი ფილმების რაოდენობა 50 იყო, მაგრამ ამ ფილმების შემოსავალმა კინოთეატრების შემოსავლის 60% შეადგინა. ეს ძალიან დიდი ციფრია და უპრეცენტო შემთხვევა.

კინოს ასოციაცია კულტურის სამინისტროს გადასტუმს სიახ, სადაც ჩამოთვლილია დასაფინანსებელი პროექტები. სამინისტრო არჩევს პროექტს, რომელსაც დააფინანსებს. სამინისტროს მიერ წელიწადში გაცემული თანხა 6 მილიონ ლოდარს შეადგენს. ამ სიაში სხვადასხვა სეგმენტია გაერთიანებული. ყველაზე დიდი მხარდაჭერა განკუთვნილია გამოცდილი მწარმოებელი კომპანიებისთვის. სხვა სეგმენტიც არის ჩამონათვალში: ახალი რეჟისორის, დოკუმენტური ფილმი, მოკლემეტრაჟიანი ფილმი. მაგრამ მათი დაფინანსება გაცილებით ნაკლებია.

სუბსიდია პირდაპირ არ გაიცემა. არსებობს საეკიალური კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაა საჭირო. მაგალითად,

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

თუ იწყებ წარმოებას იდებ X% დახმარებას, თუ წარმოების ბოლო ფაზაში ხარ, იდებ Y%, ხოლო თუ უშესებ ფილტს იდებ-Z%. დაფინანსება ნაწილნაწილ მოდის. მას შემდეგ, რაც ფილტი გამოვა, მოელი თანხა უნდა დაუბრუნდეს მთავრობას 6 თვის განმავლობაში, თუ ფილტი გრ გაიმარჯვებს ადგილობრივ ფესტივალში ან ვერ წარსდგება საერთაშორისო ფესტივალზე.

ბევრი მწარმოებელი არც მიმართავს მთავრობას დახმარებისთვის. როგორც სხვა ქავებში, ასევე თურქეთში, დახმარებას ძირითადად ფესტივალზე წარსადგენი ფილტები იდებენ. ერთერთმა თურქელმა ფილმმა 2008 წლის კანის ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურის ჯილდო მიიღო. მაგრამ რაც შეეხება თურქ მაყურებელს, მათვის კიფრები არაფერს ნიშნავს. უფრო და უფრო მეტ მხატვრულ ფილმს იდებენ და ამის შემდეგი მიზეზები არსებობს:

- სატელევიზიო ფილმებს დიდი შემოსავალი მოაქვს
- სოლიდური შემოსავალია კინოთეატრებიდან
- სპონსორ კომპანიებს აქვთ საგადასახადო შეღავათები მთავრობა ძირითადად ფესტივალზე წარსადგენ, არაკომერციულ ფილმებს აფინანსებს.

ზოგადი კულტურული პოლიტიკის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, მთავრობა შემდეგი მიზეზების გამო ეხმარება კულტურის სფეროს

- მათ სურთ, რომ დირსეულად წარმოჩინდნენ მსოფლიოში მათ სურთ იმ პოტენციალის მხარდაჭერა, სადაც შესაძლებელია ხალხის დასაქმება
- მათ სურთ დაუმტკიცონ ევროკავშირს, რომ სათანადოდ აფასებენ ხელოვნებას ..

ამჟამად მხატვრული ფილმების ძირითადი დანიშნულება გართობაა ან რომელიმე რეჟისორის ოცნების განხორციელება. 50-დან 40 ფილმი კომედია ან რომანტიული კომედიაა.

სპეციფიკური ინტერვენციები კინოინდუსტრიაში

თურქეთში რამდენიმე ორგანიზაციაა, რომელიც კინემატოგრაფიის სკელორთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი მათგანი მჯიდრო კავშირშია კულტურის სამინისტროსთან:

თურქეთის კინემატოგრაფიის საბჭო არის ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ფილმების წარმოებას და წარმოიდინება შეაქვს თურქეთის კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში. ის აგრეთვა წარმოადგინს დამაკავშირებელ ქსელს აშშ-სა და თურქეთის კინოინდუსტრიებს შორის. საბჭო ღირებული ინფორმაციას სთავაზობს ფილმების მწარმოებლებს, რომლებსაც სურთ ფილმის გადაღება თურქეთში, ან მისი დისტრიბუცია აშშ-ში. აშშ-სთან ურთიერთობით საბჭო აძლიერებს პარტნიორობას ორ ქვეყანას შორის.

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

კინემატოგრაფიის საბჭოს მოვალეობებია:

კონტაქტების უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიწოდება
ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისთვის;

ფილმების მწარმოებელთა და ზოგადად, კინოინდუსტრიის
პრობლემების წარდგენა მუნიციპალურ და სახელმწიფო
სტრუქტურებში;

მუშაობის კოორდინირება ორგანიზაციების, კომპანიებისა და
კინოინდუსტრიაში ჩართული ადამიანებისთვის, რომლებიც
უცხოელ მწარმოებლებს გარკვეულ მომსახურებას უწევენ;

შუამდგომლობა კონფლიქტურ სიტუაციებში.

ფილმების მწარმოებელთა ასოციაცია 2005 წლის აგვისტოში
ანკარაში დაფუძნდა. ასოციაციაში 28 დამფუძნებელი წევრია,
რომელთა მიზანია ფილმების მწარმოებელთა ერთმანეთთან
დაკავშირება და ქალაქის კინოინდუსტრიის გაუმჯობესება და
მისი საზღვარგარეთ პოპულარიზაცია. ასოციაციის საქმიანობას
პულტურისა და ტურიზმის სამინისტრო აკონტროლებს.
როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, ფილმების მწარმოებელთა
ასოციაცია მხარს უჭირს მწარმოებელთა უფლებების დაცვას
ინტელექტუალური საკუთრების დაცვის (№5846) შესაბამისი
კანონის თანახმად.

- კინოსა და აუდიოვიზუალური კულტურის ფონდი
ავტონომიური, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 1991
წელს დაარსდა 275 წევრის მონაწილეობით. ეს წევრები
მოღვაწეობენ კინოინდუსტრიის, ტელევიზიის, სახვითი
ხელოვნების, ლიტერატურის, მასშედის, ბიზნესისა და
პოლიტიკის სფეროებში. ფონდის მიზანია მხარი დაუჭიროს
კინოინდუსტრიას და აუდიოვიზუალურ ხელოვნებას
შეიმუშავოს რა შესაბამისი კონცეფცია ხელოვნების, როგორც
პულტურის უმნიშვნელოვანების ასპექტის შესახებ. მისი
ამოცანაა აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენება
კულტურული თვითმყოფადობის გამდიდრებისა და
გამრავალფეროვნების მიზნით.

სფეროში მოღვაწეობენ სხვა ორგანიზაციებიც:

- **SODER** — კინომსახიობთა ასოციაცია
- **SESAM** — ფილმების მწარმოებელთა, იმპორტიორთა, კინოთეატრების
მფლობელთა პროფესიული კავშირი
- **FILM YON** — რეჟისორთა კავშირი

SINEKAM-DER — ოპერატორთა, ტექნიკურ მუშაკთა და
სტუდიის ოსტატთა ასოციაცია

ფილმების მწარმოებელთა, იმპორტიორთა, კინოთეატრების
მფლობელთა და კიდევ დისტრიბუტორთა პროფესიული
კომიტეტი

ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრია: სტრატეგიული მიმოხილვა

“ბი-ოუ-პი კონსალტინგი, 2009”

შედეგები/ გავლენა

პრესის თანახმად, თურქული კინოინდუსტრია ყოველწლიურად 15 მილიონ დოლარს იზიდავს კერძო სექტორის ინვესტიციების სახით.

გასულ წელს თურქეთში 38 ფილმი გადაიღეს და საგარაუდოდ, წლის ბოლომდე 40 ფილმს გადაიღებენ. 40 ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით 50 მილიონი დოლარია. სპონსორები ამ თანხიდან დაახლოებით 10 მილიონ დოლარს იხდიან და 5 მილიონი დოლარის დირექტულებსი ტექნიკურ აღჭურვილობასაც უზრუნველყოფილია. აგრძა ფილმს ჰყავს სპონსორი. საშუალოდ, ფილმის გადაღება თურქეთში 1-2 მილიონი დოლარი დირს.

ფილმების მწარმოებელთა პროფესიული ასოციაციის ხელმძღვანელი აკხადებს, რომ საჭიროა რეფორმების გატარება, რათა თურქულმა კინოინდუსტრიამ კერძო სექტორის კიდევ უფრო დიდი მხარდაჭერა მოიპოვოს. მისი თქმით, საჭიროა საგადასახადო რეფორმების ჩატარებაც ამ საკითხზე.⁴⁷